# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№213(12588) 11 სექტემბერი ხუთშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი




საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოგება დუბლინში, მარცხი უდინეში


ვიქტორ სანიკიძემ ყველაზე მეტი ჩაყარა


საქართველო დე როსიმ დაამარცხა

## კალათბურთში ორიდან ყველაფერი

13

## ფეხბურთში ორიდან არაფერი

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2010. საკვალიფიკაციო მატჩი. ევროპა. VIII ჯგუფი

# ლოგიკური ამბები

**იტალია-საქართველო**

**2:0**

10.09. უდინე. ფრიული.
22 900 მაყურებელი

1:0 დე როსი (17), 2:0 დე როსი (88)

იტალია (4-4-2): ბუფონი - ძამბროტა, კანავარო, ლეგროტალიე, დოსენა - პირლო (46. პალომბო), დე როსი, აკვილანი, კამორანეზი - დი ნატალე (56. დელ პიერო), ტონი (71. იაკვინტა).

*სათადარიგოები: დე სანქტისი, ბარძალი, კასეტი, დელ პიერო, ჯილარდინო, პალომბო, იაკვინტა.*

საქართველო (4-5-1): ლორია - ლობჟანიძე, სალუქვაძე, კალაძე, ელიავა (46. კვირკველია) - კობიაშვილი, ხმალაძე, მენთეშაშვილი (68. ოდიკაძე), ყენია, იაშვილი - მჭედლიძე (55. სირაძე).

*სათადარიგოები: კვასხვაძე, შაშიაშვილი, კვახაძე, ოდიკაძე, კვირკველია, ალექსიძე, სირაძე.*

გაფრთხილება: პირლო (45), აკვილანი (54), ყენია (67)

არბიტრი: თ. აინვალერი (ავსტრია)

**სტატისტიკა**

| | | |
|---|---|---|
| 12 | კარში დარტყმა | 3 |
| 8 | მიზანში | 2 |
| 12 | ჯარიმა | 19 |
| 2 | კუთხური | 2 |
| 3 | თამაშგარე | 6 |
| 34% | ბურთის ფლობა | 66% |

**საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი მარცხით დაიწყო და მარცხითვე გააგრძელა. იტალიური მატჩის წინ ჩვენი ფეხბურთელები და მათი მწვრთნელი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ არაფრის დათმობას არ აპირებდნენ და რომ უდინედან ქულას მაინც წამოიღებდნენ, მაგრამ ერთია სურვილი და მეორე - შესაძლებლობა. გუშინ „ჯვაროსნებს" ქულამდე ორი გოლი დააკლდათ...**

„ფრიული" თითქმის სრულად შეივსო და სასიამოვნო იყო, რომ იქაური პუბლიკა საქართველოს ჰიმნს ტაშით შეეგება. ბოლოდროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე, ეს მოსალოდნელიც გახლდათ - მატჩის წინ ხომ იტალიური პრესა ბევრს წერდა რუსულ-ქართულ კონფლიქტზე და ჩვენი ქვეყნის პრობლემებზე... თუმცა მსაჯის სასტვენთან ერთად მთელი ყურადღება უშუალოდ თამაშზე გადავიდა.

**მარჩელო ლიპიმ** პროგნოზირებული ტაქტიკა აირჩია და აძურა 4-3-3 სქემით დაგვიპირისპირა. დაცვის ცენტრში **კანავარო** და **ლეგროტალიე** გაამწესა, ხოლო ფლანგებზე **ძამბროტა** და **დოსენა**; ნახევარდაცვაში **დე როსი**, **პირლო** და **აკვილანი** იყვნენ, შეტევაში კი **კამორანეზი**, **დი ნატალე** და **ტონი**. ლუკას სასტარტოში მოხვედრა გასაკვირი იყო. ყველანაირი პროგნოზით ძირითადში მოიაზრებოდა **ალბერტო ჯილარდინო**, ვინაც კვიპროსში ბაიერნელზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა.

რაც შეეხება **ექტორ კუპერს**, მან საირლანდიო შემადგენლობაში რამდენიმე შეცვლა გააკეთა. კარში კვლავ **გიორგი ლორია** დადგა, რაც მოსალოდნელიც იყო კუპერის მატჩისწინა განცხადებებიდან გამომდინარე. დაცვის ცენტრი **კალაძე-სალუქვაძის** დუეტით გამაგრდა, მარჯვენა ფლანგზე კვლავ **უჩა ლობჟანიძე** ვიხილეთ, მარცხნივ კი მოულოდნელად გამოჩნდა **ზაალ ელიავა**, რომელიც ტრავმის გამო ფეხბურთს კარგა ხანს ჩამოშორებული იყო. ნახევრდაცვაში კუპერმა ხუთი ფეხბურთელი გამწესა: ცენტრში **ლევან ხმალაძე**, **ლევან კობიაშვილი** და **ლევან ყენია** მოქმედებდნენ, მარჯვნივ **ზურაბ მენთეშაშვილი**, ხოლო მარცხნივ **ალექსანდრე იაშვილი**. ბუნებრივია, ეს უკანასკნელი შეტევაზე იყო ორიენტირებული და მეტწილად გარემარბის ფუნქციებს ასრულებდა. შედარებით წინ იყო ყენიაც და ცდილობდა, ნახევარდაცვასა და ერთადერთ გამოკვეთილ ფორვარდს შორის „შუამავლის" ფუნქცია შეესრულებინა. ეს გამოკვეთილი ფორვარდი კი ან უკვე პალერმოელი **ლევან მჭედლიძე** გახლდათ. ერთი სიტყვით, არგენტინელმა საკმაოდ ფრთხილი 4-5-1 აირჩია და გუნდი კონტრშეტევაზე სათამაშოდ განაწყო...



ლუკა ტონი და კახა კალაძე

იტალიელებმა თავიდანვე იერიშებს მიჰყვეს ხელი და მალევე გაგვიტანეს კიდეც. ნათელი იყო, რომ **მარჩელო ლიპიმ** გუნდს სწრაფი გოლი დაავალა. ლორიას კართან პირველი ხიფათი მე-5 წუთზე შეიქმნა, როცა **კამორანეზიმ** შეუცვალა ბურთს მიმართულება და კინაღამ კარშიც მოარტყა. ორიოდე წუთში უკვე **აკვილანიმ** დაგვირტყა ასე 25 მეტრიდან, თუმცა არც ისე ძლიერად და ბურთს „ჯვაროსანთა" მეკარე დაეუფლა. მოკლედ, ეს რაღაც შტურმის მაგვარი იყო.

„სკუადრა აძურამ" სანადელს მე-17 წუთზე მიაღწია. ყველაფერი ძალიან მარტივად მოხდა: მოედნის ცენტრთან ახლოს ბურთი **დანიელე დე როსის** მიუვიდა, „რომანისტამ" თავი ასწია, რამდენიმე ნაბიჯით წინ წაიწია, ისე, რომ ხელი არავის შეუშლია (დერეფანიც გაუხსნეს) და უძლიერესი დარტყმით ბურთი „ცხრიანში" გაახვია - 1:0. ალბათ, ბევრს გაახსენდა მისი თბილისური გოლი **გიორგი ლომაიას** კარში, თუმცა ეს ბურთი იმასთან შედარებით ძნელი ასაღები იყო. შეეძლო კი ლორიას გუნდის გადარჩენა? მიუხედავად ბრწყინვალე შესრულებისა, ვფიქრობ, შეეძლო, რადგან დარტყმა დაახლოებით 30 მეტრიდან იყო და რეაგირებისთვის საკმარისი დრო ჰქონდა...

გოლმა „აძურა" დააწყნარა და ეს მოსალოდნელიც იყო. იტალიელებმა თავიანთ ლოკალურ მიზანს მიაღწიეს. ჩვენი გუნდის დამრიგებელს კი თამაშში კორექტივების შეტანა არ უცდია. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები ძირითადად მოედნის ცენტრსა თუ საკუთარ ნახევარზე იყვნენ გამაგრებულნი და ხეირს კონტრშეტევაში ეძებდნენ.

...და ლამის ვიხეირეთ კიდეც: შანსი მოგვეცა, თანაც როგორი: 26-ე წუთზე იტალიელებმა მოედნის ცენტრში ბურთი დაკარგეს. მას ყენია დაეუფლა. ლევანმა ბურთი სიღრმიდან წაიღო, ისარგებლა იტალიელთა მიერ გამოთავისუფლებული ზონით და საჯარიმოს მისადგომებთან ზედმეტი დაბრკოლების გარეშე აღმოჩნდა, შემდეგ კი მარცხენა ფრთაზე გაჭრილ მჭედლიძეს გადააწოდა, ის დროულად შემოტრიალდა და კარის წინ სრულიად მარტოდ მდგომ ყენიას ჩინებული გადაცემით „ვალი" დაუბრუნა და... აქ კი ლამის გავთავდით: ყენიამ ბურთს ფეხი წესიერად ვერ მოარტყა და 100-პროცენტიანი შანსი გაანიავა. შესაძლოა, ეს მღელვარების ბრალიც იყო - მის წინ ხომ თვით ბუფონის კარი იყო...

ხუთიოდ წუთში ყენიას დე როსის იდაყვი „მოხვდა" სახეში. ეს ეპიზოდი მსაჯს „გამოეპარა", არადა, რომაელი მკაცრ სასჯელს იმსახურებდა...

შესვენებისას მწვრთნელებმა თითო ცვლილება განახორციელეს: ლიპიმ პირლო სამპდორიელი **ანჯელო პალომბოთი** ჩაანაცვლა, კუპერმა კი ელიავას ნაცვლად **დავით კვირკველია** გამოიყვანა. „რუბინის" ფეხბურთელს მარცხენა ფრთის გამაგრება და შეტევაში აქტიურად ჩართვა დაევალა. საერთოდ, ის ახლა ჩინებულ ფორმაშია და ამ ორ შეხვედრაში, ალბათ, მეტ სათამაშო დროს იმსახურებდა.

მეორე ნახევარი კიდევ უფრო ნელ ტემპში წარიმართა. კუპერის დავალებით ჩვენები უფრო დიდი ძალებით გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე, მაგრამ ეს უფრო ლიპის სტრატეგიის ნაწილი მგონია. მერე, საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა მჭედლიძე **დავით სირაძით** შეცვალა. მთლიანობაში, მჭედლიძეს ცუდად არ უთამაშია, შეცვლამდე რამდენიმე წუთით ადრეც გამოირჩა, როცა მეურვეს ტანი კარგად ჩაუდგა, შემოტრიალდა და შეტევაც გონივრულად გააგრძელა, მაგრამ... პარტნიორებმა მხარი ვერ აუბეს. ალბათ, მისი შეცვლა შეცდომა იყო, რადგან სირაძემ თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა...

მატჩის ბოლო ათ წუთში ჩვენები უფრო აქტიურად გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე და ხეირიანი შეტევისთვის შანსებიც იყო, მაგრამ საქმე რეალურ ხიფათამდე არ მისულა. ერთადერთი, ყენიას დარტყმას თუ გამოვარჩევთ.

ამასობაში კი „აძურამ" მეორედაც დაგვამწუხრა, და ისევ დე როსიმ - დელ პიეროს ერთი ჩინებული პასი და რომაელის ზუსტი დარტყმა შორეულ დაბალ კუთხეში. ლორია ამ შემთხვევაშიც უძლური იყო - 2:0.

რა შეიძლება ითქვას რეზიუმეს სახით. მთავარი რამ: საქართველოს ნაკრების თამაშში იკითხებოდა ტაქტიკა. დიახ, ტაქტიკას მორგებული საქართველოს ნაკრები უკვე მოსალოცი ამბავია. გახსოვთ, ალბათ, უელსური შეხვედრის შემდეგ კუპერის ნათქვამი - მხოლოდ პირველი 25 წუთი ვითამაშეთ ჩემი სქემის მიხედვით, მერე კი ყველაფერი თავდაყირა დადგაო. დავიტოვოთ იმედი, რომ „ჯვაროსნები" ისწავლიან კუპერის გეგმების მოედანზე გადატანას და იქნებ, შედეგსაც ვეწიოთ. ჯერჯერობით კი იტალიის დარ გუნდთან ორბურთიანი სხვაობით მარცხი სრულიად ლოგიკურია.



ალექსანდრე იაშვილი დანიელე დე როსის წინააღმდეგ

**ლაშა ნიკლაური**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**;
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

*ნომრის მორიგე რედაქტორი*
*გია თვალაბეიშვილი*

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია

*ექტორ კუპერი:*

# დრო მჭირდება და ამ ნაკრებს ძლიერ გუნდად ვაქცევ



ექტორ კუპერი

**- როგორ შეაფასებდით მატჩს?**

- მსოფლიოს ჩემპიონთან ვითამაშეთ. შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. იყო მომენტები, როცა იტალიას ქომაგებმა უსტვინეს კიდეც. მეორე ტაიმში უკეთ ვითამაშეთ. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ რესურსი გვაქვს. სწორი და გულიანი მუშაობაა საჭირო და ეს გუნდი წარმატებებს მიაღწევს.

**- იტალიაზე რას იტყოდით?**

- იტალიას თავისი მწვრთნელი შეაფასებს.

**- შეადარეთ ერთმანეთს თქვენი გუნდის ორი მატჩი - ირლანდიასთან და იტალიასთან.**

- ამ ორი თამაშის მნახველი, ალბათ, დამეთანხმება, რომ პროგრესი სახეზეა. ყოველ შემთხვევაში, ირლანდიასთან პირველ 15 წუთში როგორი ჩავარდნაც გვქონდა, დღეს მსგავსი აღარ ყოფილა. დიახ, ეს პროგრესის ნიშანია, მაგრამ მეტი მინდა გავაკეთო და ამით ვერ დავკმაყოფილდები. საქართველოს ნაკრებს შეუძლია, უკეთ და წარმატებით ითამაშოს. ამას კი დრო სჭირდება.

**- ცნობილ კლუბებში მუშაობდით, ახლა კი ნაკრებს წვრთნით. არ გაგიჭირდათ გადაწყობა?**

- ვინც მიცნობს, ეცოდინება, რომ მიყვარს ეს საქმე და შრომა არ მეზარება. დიდი მადლობელი ვარ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა, რომ ამ ნაკრებში მუშაობის შანსი მომცა. ეს ძალიან საინტერესო სამუშაოა, ჩემთვის ნამდვილად გამოწვევაა, ნაკრების თავკაცობა კი, რომელი ქვეყნის ნაკრებიც არ უნდა იყოს, ნებისმიერი მწვრთნელის ცხოვრებისეული ოცნებაა. დრო მჭირდება და ამ ნაკრებს ძლიერ გუნდად ვაქცევ.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ გია გეგუჩაძესთან

# რა თქმა უნდა, ნაკრებს პოტენციალი გააჩნია!

## გეგუჩაძეს მუშაობა სურს, მაგრამ წინადადება არ ჩანს

**თბილისის „დინამოს" წარმატებული მწვრთნელი საქართველოს ნაკრებების ბოლოდროინდელი გამოსვლების შესახებ გვესაუბრება...**

**- ბატონო გია, საუბრის დასაწყისში, თქვენ შესახებ გვითხარით ორიოდ სიტყვა. „გაგრიდან" წამოსვლის შემდეგ კვლავ უმუშევარი ბრძანდებით?**

- დიახ, ისევ ძველებურად ვარ.

**- გასაკვირია, თბილისის „დინამოში" წარმატებით იმუშავეთ. ამის შემდეგაც ბევრი ფიქრობდა, რომელიმე ნაკრებში მაინც მიგიწვევდნენ. ნუთუ არანაირი წინადადება არ მიგიღიათ?**

- შეთავაზება არ ყოფილა.

**- თქვენი აზრით, ასე რატომ ხდება? ან იმავე კობა ჟორჟიკაშვილის ნაკრებებიდან ჩამოშორება რას უნდა მივაწეროთ?**

- წარმოდგენა არ მაქვს. ეტყობა, მეც, კობაც, ფედერაციის აზრით, არაკომპეტენტური სპეციალისტები ვართ.

**- თქვენი აზრით, პეტარ შეგრტი კომპეტენტური სპეციალისტია?**

- ვერც ამ კითხვაზე გაგცემთ კომპეტენტურ პასუხს. შეგრტის კომპეტენცია იმ ადამიანებმა შეაფასონ, ვინც მწვრთნელს არჩევს და ნიშნავს. ჩემი მხრივ ვიტყვი, რომ ყოველთვის ვიყავი და ვარ მზად, ვიმუშაო. ისე კი არ გამიგოთ, თითქოს ჩემს თავს ვთავაზობ. სხვა რამეს ვგულისხმობ - სისხლი მიდუღს და მუშაობა მსურს, მაგრამ წინადადება არ მიმიღია.

**- ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების გამოსვლებზე ვისაუბროთ.**

- წაგება, ბუნებრივია, გულდასაწყვეტია, მაგრამ სასურველია, ყველაფერს ახსნა მოვუძებნოთ. ამის თავი და თავი საქართველოში არსებული საფეხბურთო მეურნეობაა. იქაურ გარემოში რთულია მუშაობა, სრულფასოვანი გუნდის ჩამოყალიბება, ძლიერი ნაკრების თუ გუნდის შექმნა. ერთი რომელიმე მინუსის ხაზგასმა უაზრობად მიმაჩნია, რადგან ეს კომპლექსურად მისახედი საკითხია. ამიტომაც, ჩემთვის უმთავრესია ამ წაგების მიზეზების გამოძიება და ვითარების დიაგნოზი - რა ხდება ბავშვთა ფეხბურთში, მსაჯებში, რა შესწორებებია შესატანი იურიდიულ საკითხებში. უნდა არსებობდეს გეგმა - როგორ ვაპირებთ ვითარებიდან გამოსვლას, რა გზით, საით მივდივართ და როდესაც ჩანაფიქრი ნაწილობრივ მაინც განხორციელდება, მერე ვილაპარაკოთ, უცხოელი მწვრთნელი გვჭირდება თუ ადგილობრივი. მდგომარეობის ანალიზი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შედეგებზე საუბარი.



გია გეგუჩაძე

**- რა თქმა უნდა, ობიექტურ სირთულეებს ვერსად გავექცევით, მაგრამ სუბიექტურ ფაქტორებსაც შევეხოთ.**

- მე ბრალს ვერავის წავუყენებ, მაგრამ ფაქტია, რომ ახალგაზრდული ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით არ არის დაკომპლექტებული.

**- შეგიძლიათ, რომელიმე მოთამაშე დაასახელოთ, რომელიც, თქვენი აზრით, დაუმსახურებლადაა იგნორირებული?**

- მე არ ვარ ნაკრების მწვრთნელი და შესაბამისად, დაკონკრეტებაც არ მსურს. ზოგადად კი ჩემს პოზიციას დაგიფიქსირებთ - ასე მგონია, გამართლებული პოზიციაა. ისეთი აზრი მუსირებს, თითქოს აზერბაიჯანში მოთამაშე ქართველების მოწვევა არ ღირს. თუკი მათი მომზადების დონე ეროვნულის დონეს დააკმაყოფილებს, რატომაც არ უნდა მოვიწვიოთ? საამისოდ კი მთავარი მწვრთნელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას. ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს სტიუარტ პირსი - ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ეხმარება, მათ შორის გარკვეული ჯაჭვი არსებობს. ასეთივე ჯაჭვი უნდა არსებობდეს ჩვენთან და კოორდინირებულად გადაწყდება საკითხი - ეროვნულში ახალგაზრდულიდან ვინ უნდა წავიდეს და ვინ დარჩეს, ერთი ალთას ექაჩებოდეს და მეორე - ბალთას, ასე არაფერი გამოვა. საერთოდაც, მიმაჩნია, რომ ბევრი ღირსეული ფეხბურთელია, რომელსაც გაცილებით უკეთ შეეძლო ეთამაშა ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში. ამ პროცესში ჩართული რომ ვიყო, დაკონკრეტებაც უფრო გამიადვილდებოდა. თუმცა ახლაც ვიტყვი, რომ ორივე ნაკრებში ბევრად უკეთესი სელექციის ჩატარება შეიძლებოდა. მე, როგორც ქართველი სპეციალისტი, შეურაცხყოფილი ვარ მომხდარით, მით უფრო, რომ ვგრძნობ და მჯერა - ბევრად უკეთესი თამაში შეგვიძლია.

**- ბოლო დროს ხშირად ისმის, რომ მეტი არ შეგვიძლია და ნაკრებს მეტი არ უნდა მოვთხოვოთ.**

- როგორ თუ მეტი არ შეგვიძლია?! ამ პესიმისტურ მოსაზრებას კატეგორიულად ვეწინააღმდეგები. პირიქით, მიმაჩნია, რომ ქართულ ფეხბურთში საკმაოდ დიდი პოტენციალი არსებობს, მაგრამ ამ ძალას სწორი მიმართულების მიცემა და გამოვლენა სჭირდება. მხოლოდ ფეხბურთელებს არ ვგულისხმობ. ბევრი ნიჭიერი სპეციალისტია, რომელსაც ნდობა და ისეთივე თანადგომა სჭირდება, როგორიც აქ ჩამოყვანილ უცხოელ მწვრთნელებს. საქართველოს ნაკრები თამაშს ბევრად გააუმჯობესებს, პოტენციალის ნახევარი მაინც რომ გამოიყენოს. სამწუხაროდ, ჩვენ ამას დღემდე ვერ ვახერხებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

*მარჩელო ლიპი:*

# გამარჯვება ტრავმირებულებს ეძღვნებათ



მარჩელო ლიპი

მატჩის შემდეგ ლიპი ძალიან კარგ ხასიათზე იყო და ამას არც მალავდა. ჟურნალისტებთან ზოგადი კომენტარით შემოიფარგლა: *"შეიძლება, არც დღევანდელ შეხვედრას დავარქვათ იდეალური და მით უმეტეს, არც კვიპროსთან პაექრობას, მაგრამ ფაქტია, რომ ორ შეხვედრაში ექვსი ქულა ავიღეთ, ეს კი საქმის ძალიან კარგი დასაწყისია. ნუ დაგავიწყდებათ, რომ საქართველოსთან მატჩს ბევრი სირთულე ახლდა თან, შემადგენლობაში იძულებითი ცვლილებების განხორციელება მოგვიხდა. ახალმა ფეხბურთელებმა ჩემი მოლოდინი გაამართლეს. კარგია, რომ გავიმარჯვეთ, ახლა დასვენებისა და მომავალ მატჩებზე ფიქრის დროა. განსჯისთვის ბევრი მასალა გვაქვს, დავჯდები და ყველაფერს გავაანალიზებ. ვის ვუძღვნით დღევანდელ გამარჯვებას? - ალესანდრო გამბერინის, ფაბიო გროსოსა და ჯენარო გატუზოს".*

ჩვენი კაცი ხორვატიაში

# შუშაკი ბილიჩის თანაშემწე ყოფილა

თბილისის „დინამოს" ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ივო შუშაკი** საკუთარ სამშობლოში დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს. საქართველოში მისი შესაძლო დაბრუნების თაობაზე რამდენჯერმე ითქვა და დაიწერა. თუმცა ვარაუდი ვარაუდად დარჩა. ის ქართველების წინადადებას დიდხანს ელოდა, მაგრამ ამაოდ. ჩვენგან განსხვავებით, შუშაკი ისევ ხორვატიაში დააფასეს.

სრულიად შემთხვევით, უკრაინულ „სპორტ-ექსპრესში" აღმოვაჩინეთ ინფორმაცია, რომლის თანახმადაც შუშაკი, თურმე, უკვე ორი წელია, ხორვატიის ნაკრებში მუშაობს და მთავარი მწვრთნელის, **სლავენ ბილიჩის** პირადი წარმომადგენელი და დამკვირვებელია. ის ბილიჩის დავალებით 6 სექტემბერს, კიევში, უკრაინისა და ბელარუსის ნაკრებთა შესარჩევ შეხვედრას დაესწრო. უკრაინელებმა მატჩი ბოლო წუთზე **ანდრეი შევჩენკოს** პენალტით მოიგეს.

„სპორტ-ექსპრესი" შუშაკს ესაუბრა. ბატონმა ივომ უკრაინის ნაკრების მიმართ კრიტიკა არ დაიშურა - უკრაინის ნაკრების სანახავად ჩამოვედი და ბელარუსის თამაში ვნახეო. ბილიჩისგან ნდობა კი გასაკვირი არაა: ფეხბურთელად მის ჩამოყალიბებაში ხომ შუშაკის დიდი წვლილია - ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებში დააწინაურა, მერე კი ეროვნულშიც გაუწია რეკომენდაცია.

**მერაბ მამულაშვილი**



ივო შუშაკი

ტრანსფერები

# ორნი არგენტინაში, დავითნიძე ისრაელში

„ამერი" ლიდერებისგან დაიცალა. უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი გამორჩეული კლუბი ფინანსური პრობლემების გამო პირველ ლიგაში გავარდა და დაიწყო შეუქცევადი პროცესი - წამყვანმა მოთამაშეებმა სხვა კლუბებს მიაშურეს. ნაწილი აზერბაიჯანში წავიდა, ძირითადი ბირთვი კი რუსთავის „ოლიმპმა" და ბოლნისის „სიონმა" გადაინაწილეს.

ჩვენთვის ცნობილი გახდა „ამერის" კაპიტან **გიორგი დავითნიძის** ამბავი. რამდენიმე დღის წინ 30 წლის ცენტრალური მცველი ისრაელის კლუბ ბნეიეჰუდას „ჰაპოელში" ჩაირიცხა. ეს გუნდი იქაურ მეორე დივიზიონში თამაშობს.

თბილისის „მერანის" ყოფილი მეკარე **კახა გლუნჩაძე** კი სომხეთში გადავიდა. ამ გუნდის კარს ის კარგა ხანს იცავდა **კოკა სეფიაშვილთან** ერთად. 20 წლის მეკარე საკმაოდ პერსპექტიული ჩანდა, მაგრამ შარშან „მერანში" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გოლკიპერ **რევაზ თევდორაძის** გამოჩენის შემდეგ სათადარიგოებში მოხვდა. წელს „მერანი" პირველ ლიგაში გავარდა და გლუნჩაძე ბედის საძიებლად სომხეთში წავიდა. როგორც დავადგინეთ, მან უმაღლესლიგელ კაპაანის „განძასართან" კონტრაქტი გააფორმა.

არგენტინაში კი ორი ქართველი გაემგზავრა: თენგიზ სულაქველიძის აკადემიის აღზრდილი **ხვიჩა მურღულია** და უგუნდო **ლადო ხარაიძე** „დეპორტივოში" ჩაირიცხნენ. არგენტინულ კლუბში მურღულია წელიწადზე მეტხანს ვარჯიშობდა და ეტყობა, კონტრაქტის გაფორმებაც დაიმსახურა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ჩემპიონატი. ლოკომოტივი. ინტერვიუ გიორგი კიკნაძესთან

# შეგვხვდეს კუპერი უმაღლესი ლიგის მწვრთნელებს

## ეს არგენტინელის ინტერესებშიცაა

„დინამო“, „ვიტ ჯორჯია“, „ზესტაფონი“ და „ოლიმპი“ - საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლ ამ კვარტეტს, კიდევ ორი, შემადგენლობით ძლიერი გუნდი, „ლოკომოტივი“ და „სიონი“ დაემატა. გიორგი კიკნაძის გუნდში ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებში ნათამაშები ფეხბურთელები და საქართველოს ჩემპიონატში გამოცდილი მოთამაშეები არიან. შესაბამისად, საინტერესოა, თუ რა მიზნებისთვის იბრძოლებს „ლოკომოტივი“. გუნდის თავკაც გიორგი კიკნაძესთან დაკავშირება სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ. საუბარში ეროვნული ნაკრების თავკაც კუპერსაც შევეხეთ და კიკნაძემ საინტერესო იდეა წამოაყენა, რომელსაც წესით, თავად არგენტინელი მწვრთნელი და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობაც უნდა მიესალმოს.



- რაც შეეხება მზადებას, ომმა, რა თქმა უნდა, ხელი შეგვიშალა. მართალია, სავარჯიშო პროცესი, ფაქტობრივად, არ შეგვიჩერებია, მაგრამ შეფერხებები გვქონდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეროვნული ჩემპიონატის დაწყება სამი კვირით მაინც გადაიდო. ამან კი განაპირობა ის, რომ პირველი წრე დეკემბრის ბოლოს მთავრდება. ომმა მხოლოდ ჩვენ კი არა, ყველა გუნდს და მთლიანად ეროვნულ ჩემპიონატს შეუშალა ხელი.

**- წამყვანი ფეხბურთელებით გუნდის გაძლიერება მაინც შეძელით. ყველა დაიმატეთ, ვინც გინდოდათ თუ დარჩა ვინმე?**

- ფაქტობრივად, ყველა ის მოთამაშე დავიმატეთ, ვინც გვინდოდა, ყველა სათამაშო რგოლი გავაძლიერეთ და გუნდში კონკურენცია საგრძნობლად გავზარდეთ.

**- ერთ ფეხბურთელზე ორი მოთამაშე მოდის?**

- საშუალოდ რომ ავილოთ, მართლაც ასეა. ყველა გუნდის წარმატების გარანტი სწორედ კონკურენციაა და ჩვენც ამაზე გავაკეთეთ აქცენტი.

**- დარასელია, ცქიტიშვილი, ალექსიძე, ლომაია... - და კიდევ სხვა კარგი ფეხბურთელები გყავთ. ბუნებრივია, ამბიციაც მეტი გექნებათ, არა?**

- რა თქმა უნდა. ზემოთ ჩამოთვლილ ფეხბურთელთა გარდა, კახელიშვილი, ჩირიკაშვილი, მახარაძე, ჭელიძე და სხვა მოთამაშეები გვყავს, რომლებიც ეროვნულ ჩემპიონატში გამოცდილ ფიგურებად მიიჩნევიან. რაც შეეხება ჩვენს მიზნებს, რაც შეიძლება მაღალი ადგილის დასაკავებლად ვიბრძოლებთ. ამავე დროს, თასის გათამაშებაზეც გვინდა შორს წავიდეთ. ორ ფრონტზე მოგვიწევს ბრძოლა, მაგრამ ამ შემადგენლობით ამასაც გაჭწვდებით.

**- ხშირად, ესა თუ ის გუნდი სეზონს ძლიერი შემადგენლობით იწყებს, მაგრამ ფეხბურთელებთან ხანგრძლივი კონტრაქტი არა აქვს დადებული და პირველი წრის შემდეგ თითქმის ნახევარ შემადგენლობას კარგავს. ეს მომენტი რამდენად გაითვალისწინეთ?**

- დიახ, ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია და ფეხბურთელთა კონტრაქტების შედგენისას გავითვალისწინეთ. ასე რომ, მსგავსი პრობლემა, ვფიქრობ, არ გვექნება. სამ-ოთხ ფეხბურთელს პირველ წრეში თავის წარმოჩენის შანსს ვაძლევთ, ვაკვირდებით, მაგრამ მათთანაც ისეთი ხელშეკრულება გვაქვს, რომ გადამწყვეტი სიტყვა კლუბს ეკუთვნის.

**- უმაღლეს ლიგაში 11 გუნდი იასპარეზებს. ამ ფორმატზე რა აზრისა ხართ?**

- ძალიან დამწყდა გული, „ამერი“ უმაღლეს ლიგაში რომ არ იასპარეზებს. 11-გუნდიანი პირველობა გვექნება. მართალი გითხრათ, ჩემპიონატის ეს ფორმატი ჩემთვის ახალია და ჯერჯერობით, გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. დავაკვირდები და მერე შევაფასებ.

ისე, მე თუ მკითხავთ, უმჯობესია, უმაღლეს ლიგაში მეტი გუნდი თუ იასპარეზებს, მაგრამ არც ძალიან ბევრი იქნება მისაღები.

**- მაინც რამდენს გულისხმობთ?**

- 14 ან 16-გუნდიანი ჩემპიონატი ჩინებული იქნებოდა, რა თქმა უნდა - ორ წრედ.

**- როგორ ფიქრობთ, ეს ჩემპიონატი წინა ჩემპიონატზე დაძაბული და უფრო მაღალი დონის იქნება თუ ისეთივე ან სულაც უარესი?**

- ვფიქრობ, უკეთესი იქნება. იცით, რატომ? საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი გუნდების რაოდენობა გაიზარდა. „დინამოს“, „ოლიმპის“, „ზესტაფონისა“ და „ვიტ ჯორჯიის“ გარდა, ჩვენ და „სიონიც“ ვიბრძოლებთ. თუმცა ამ ექვსეულს სხვა გუნდებს ძალიანაც ვერ დავაშორებ. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ „მესხეთს“, „ბორჯომს“, „მგლებს“ კარგი შემადგენლობები ჰყავთ და ფავორიტად მიჩნეული გუნდების გამწარებაც შეუძლიათ. მათ ეს წინა ჩემპიონატშიც დაამტკიცეს და სენსაციებზე ამჯერადაც არ იტყვიან უარს.

**- ნაკრების თავკაცმა ექტორ კუპერმა განაცხადა, რომ ეროვნული ჩემპიონატისა და სათასო მატჩებს სისტემატურად დაესწრება. ეროვნული ჩემპიონატის დონის ასამაღლებლად, ალბათ ესეც დამატებითი მოტივი იქნება...**

- დიახ. ეს ყველა გუნდისა და ფეხბურთელისთვის დიდი სტიმულია. საერთოდ, ყველგან, ეროვნული ნაკრების თავკაცი ჩემპიონატისა და თასის თამაშებს ხშირად ესწრება. ერთი იდეა მაქვს, რომელიც თავად კუპერისთვისაც მისაღები და საჭირო უნდა იყოს...

**- საინტერესოა, რა იდეა?**

- კარგი იქნება, თუ თვეში ან ორ თვეში ერთხელ მაინც, უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდების მწვრთნელები (ვისაც სურვილი ექნება), კუპერს შევხვდებით. ჩვენ მასზე მეტი ვიცით ეროვნულ ჩემპიონატზე, დონეზე, თავისებურებებზე, გამორჩეულ ფეხბურთელებზე. ჩვენც ქართული ფეხბურთის სამსახურში ვართ და ამ შეხვედრებზე მას ყველა საჭირო ინფორმაციას მივაწვდით. ვფიქრობ, ჩვენი წინადადება თავად კუპერისთვისაც მისაღები იქნება და წესით, უარი არ უნდა თქვას. ამის ორგანიზება კი ფეხბურთის ფედერაციას ან თუნდაც პროფესიული ფეხბურთის ლიგას ნამდვილად არ გაუჭირდება. ერთი სიტყვით, ინფორმაციებს გავცვლით და ეს ორმხრივად სასარგებლო იქნება.

**- ჩინებული იდეაა. დასასრულ, პირველ ტურზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. მზად ხართ სტარტისთვის?**

- ახალი სეზონი ძალზედ დაძაბული იქნება და ყველა ქულას ოქროს ფასი დაედება. ასე რომ, ის, ვინც მოდუნდება, ბევრს დაკარგავს. პირველი მატჩი შინ გვაქვს „მესხეთთან“. ახალციხელთა გუნდი შარშან დებიუტანტი იყო და მეექვსე ადგილზე გავიდა. „მესხებმა“ უმაღლესში ადაპტაცია გაიარეს და ამ სეზონში ალბათ უკეთ იასპარეზებენ. შაბათს რთულ მატჩს ველი. თუმცა იმედი მაქვს, შევძლებთ და წარმატებით დავიწყებთ ახალ სეზონს.

დავით ცაბაძე

ინტერვიუ ჯაბა დვალთან

# საქართველოში დაბრუნებაზე არც მიფიქრია

## მოლდოვურ ფეხბურთში იმდენი ფული იდება, ჩვენთან შედარებაც არ შეიძლება

შარშან „დაჩია“ მოლდოვის ვიცე-ჩემპიონი გახდა. ამაში დიდი წვლილი ქართველმა ფეხბურთელებმა შეიტანეს. მენეჯერმა მამუკა ჯულელმა იქ რამდენიმე ჩვენებური - ვიტალი დარასელია, სერგი ორბელაძე, დიმიტრი პარამონოვი და ლევან კორღალიძე ჩაიყვანა. დარასელია საქართველოში დაბრუნდა, პარამონოვი ტრავმამ შეაწუხა... მოკლედ, „დაჩიას“ ქართველებიდან სამეული (დვალი, კორღალიძე, ორბელაძე) შემორჩა. ზემოთ ჩვენების დამსახურებაზე რომ ვთქვით, არ ვაჭარბებთ: მაგალითად, დვალი კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. დღეს ჯაბა „ლელოს“ კითხვებს პასუხობს...

**- ჯაბა, გულწრფელად გვითხარი: მართალია, რომ საქართველოს ჩემპიონატი მოლდოვურზე დაბალი დონისაა?**

- შეიძლება, ოდნავ მაღალი დონის იყოს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მოლდოვაში გაცილებით მეტი კარგად დაფინანსებული და ძლიერი კლუბია, ვიდრე საქართველოში. ჩემპიონატის დონეს სწორედ ეს ფაქტორი ამაღლებს. მაგალითად, „შერიფში“ რომ პირობებია, მსგავსი საქართველოს არც ერთ კლუბს არ აქვს. ისე, სიმართლე გითხრათ, დანარჩენები თითქმის ისეთივე პირობებში არიან, როგორშიც საქართველოს წამყვანი კლუბები.

**- „დაჩიაში“ გადასვლით კმაყოფილი ხარ? გამართლდა შენი იმედები?**

- კი, რატომაც არა?! სავარჯიშო პირობები კარგია, თამაშს მოვუმატე, ფიზიკურადაც ახლა გაცილებით ძლიერი ვარ, ვიდრე საქართველოში ვიყავი... თუმცა, რა თქმა უნდა, თბილისის „დინამოში“ ნათამაშები ფეხბურთელი ყოველთვის უფრო ძლიერ, სახელოვან კლუბში მოხვედრაზე ფიქრობ. იმედია, გარკვეული დროის შემდეგ ასეც მოხდება.

**- შარშან საკმაოდ წარმატებული სეზონი გქონდა: კლუბის ბომბარდირი გახდი, რაც პირველსავე სეზონისთვის კარგი შედეგია: წესით, უფრო ძლიერ გუნდში გადასვლის შანსი უნდა გაგჩენოდა.**

- სხვათა შორის, იყო წინადადებები სერიოზული კლუბებისგან, მაგრამ არ გამოვიდა. რას ვიზამ, ამით ცხოვრება არ მთავრდება. იმედი მაქვს, მალე უკეთეს გუნდში ვითამაშებ.

**- რომელი კლუბები გიწვევდნენ?**

- ვერ დავაკონკრეტებ, მაგრამ მართლა საინტერესო წინადადებები მქონდა.

**- ვაჟა თარხნიშვილთან ურთიერთობა თუ გაქვს?**

- ურთიერთობა კი მაქვს, მაგრამ იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს. ის ტირასპოლის გუნდშია და ერთმანეთისგან შორს ვართ. ვაჟას წელიწად-ნახევარი დარჩა კონტრაქტის დასრულებამდე. არ ვიცი, აპირებს თუ არა კარიერის გაგრძელებას. რომ იცოდეთ, რამხელა სახელი და ავტორიტეტი აქვს მოლდოვაში...

**- კერძო პირები თუ ფირმები მოლდოვურ ფეხბურთში დიდ ფულს აბანდებენ?**

- აშკარაა, აქაური ბიზნესი საფეხბურთო კლუბებისადმი დიდ ინტერესს იჩენს. მაგალითად, „დაჩია“ საავტომობილო ქარხანას ეკუთვნის. საქართველოსთან შედარებაც კი არ შეიძლება. აქ ფეხბურთში გაცილებით მეტი ფული იდება.

**- საქართველოში დაბრუნება რომ შემოგთავაზონ, როგორი ვარიანტი იქნება ეს შენთვის? მიიღებ ამგვარ წინადადებას?**

- რაც მოლდოვაში ჩამოვედი, მას მერე უკან დაბრუნებაზე არც კი მიფიქრია. პირიქით, აქ იმიტომ ვარ, რომ ოდნავ მაინც გავიზარდო, როგორც ფეხბურთელი, და მერე უკეთეს კლუბში, უკეთეს ჩემპიონატში ვითამაშო.

**- შარშან ერთი ამბავი ატყდა: „დაჩიაში“ ლეგიონერები არალეგალურად არიან, ქვეყანაში მუშაობის უფლება არ აქვთო... ლამის დასაჭერად გაგიხდათ საქმე. როგორ მოგვარდა ეს პრობლემა?**

- დროებითი საბუთები გაგვიკეთეს და ახლა პრობლემა აღარ გვაქვს. მანამდე კი არც ვიცოდით, რომ ამგვარი საბუთი იყო საჭირო.

მერაბ მამულაშვილი



U 17. ევროპის ჩემპიონატი. საკვალიფიკაციო ეტაპი

# საქართველო უნგრეთით იწყებს

## ჯერ ავსტრიაში, მერე შტომპატელში



გელა შეყილაძე

დღეს, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები უცხოურ შეკრებაზე გაემგზავრა. გელა შეყილაძის გუნდი ავსტრიაში, კერნტენში დაბინავდება და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებას გააგრძელებს. შეყილაძემ ავსტრიაში 18 ფეხბურთელი წაიყვანა:

მეკარეები: გიორგი ნადირაძე (დინამო), არჩილ მაქაცარია (ბაია);

მცველები: ბაქარ მირცხულავა (ბენფიკა, პორტუგალია), ნიკა კვეკვესკირი, ნიკა აფაქიძე (ორივე ბაია), მინდია ფუტკარაძე (ბათუმი), ბესო ამაშუკელი, მამუკა კობახიძე (ორივე საბურთალო), თორნიკე ჯიმშელეიშვილი (ლოკომოტივი);

ნახევარმცველები: ჯანიკო ანანიძე (სპარტაკი, მ. რუსეთი), ლევან ელიზბარაშვილი (ნორჩი დინამოელი), ნიკა ძალამიძე (ბაია), კონსტანტინე გაბაშვილი, ნოშრევან ჯიშკარიანი (ორივე ოლიმპი);

თავდამსხმელები: ირაკლი შეყილაძე (ემპოლი, იტალია), ლაშა ჩაფიძე (ნორჩი დინამოელი), დავით ხოჭოლავა, გიორგი ჭანტურია (ორივე საბურთალო);

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ჩვენი ჯგუფის მატჩებს უნგრეთი მასპინძლობს. მასპინძელთა გარდა კი ჯგუფში მეტოქეებად ბოსნიისა და ჩეხეთის ნაკრებები გვყავს.

ჩვენი 17-წლამდელები 21 სექტემბერს ავსტრიიდან უნგრეთში ჩავლენ და შტომბატელში დაბინავდებიან. მომდევნო დღეს კი ჯგუფური ეტაპი იწყება. ჯგუფში, საიდანაც ელიტრაუნდში ორი გუნდი გადის, მატჩების ჩამონათვალი ასეთია:

**22 სექტემბერი**

უნგრეთი-საქართველო

ჩეხეთი-ბოსნია

**24 სექტემბერი**

საქართველო-ჩეხეთი

ბოსნია-უნგრეთი

**27 სექტემბერი**

უნგრეთი-ჩეხეთი

საქართველო-ბოსნია

დავით ცაბაძე

ტრანსფერი

# ქებაძე ერთი წლით მესხია

რამდენიმე დღეა, ნახევარმცველი ლაშა ქებაძე ახალციხის „მესხეთში“ ვარჯიშობს. მეტიც, მან მესხთა რიგებში, „ბორჯომის“ წინააღმდეგ, მეორე ამხანაგურ მატჩში ითამაშა კიდეც. ქებაძის საკითხი მაშინ ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრანსფერს წერტილი დაესვა: ლაშამ „მესხეთთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ ქებაძე „მცხეთა-არმაზში“, „ბათუმში“, „სიონსა“ და რუსთავის „ოლიმპში“ ასპარეზობდა.

დავით ცაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული ნაკრები

# ჯიგარო, მიდიხარ?!



მორჩა, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში **პეტარ შეგრტის** ნდობის მანდატი ამოიწურა! სამწუხაროდ, ხორვატმა მწვრთნელმაც ვერ აჩვენა შესაფერისი შედეგი და საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმაც მისთვის „ჩვეული", ბოლო ადგილი დაიკავა. ასეთ რამეებს დიდი ხანია მივეჩვიეთ - ეროვნულისგანაც, ახალგაზრდულისა თუ სხვა ასაკობრივი ნაკრებებისგან. უბრალოდ, ხანდახან იშვიათი გამონათებები რომ ხდება ხოლმე, აი, ის გვიკვირს; ეგ კი არა, რალაც ლოკალური წარმატება ხშირად ისეთ რანგში აგვყავს, ლამის საუკუნის მოვლენად შევრაცხოთ. იმ ლოკალური წარმატების მონაწილეებს კი „ეროვნულ გმირებად" გამოვაცხადებთ და ასე გრძელდება წლიდან წლამდე. შედეგი კი სავალალოზე მეტია - მორიგი ჩაგდებული შესარჩევი ციკლი და ამით გამოწვეული მორიგი იმედგაცრუება. ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ახალგაზრდა ფეხბურთელებს ნაგებულის მენტალიტეტი გამოუმუშავდათ; ალარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა შევსება სწორედ ახალგაზრდულიდან უნდა მიიღოს.

... ჩვენი ახალგაზრდულის ბოლო ორი შეხვედრა სირცხვილი და კატასტროფა იყო - არც ერთი გატანილი და ცხრა გაშვებული გოლი!

ალარ გვინდა იმაზე ლაპარაკი, თუ რა მოვლენები უძლოდა წინ ამ ორ შეხვედრას; არც იმას გავიხსენებთ, თუ რას ნიშნავდა თითოეული ჩვენგანისთვის რუსეთის ახალგაზრდულთან შეხვედრა; **ნურც იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომ პოლონელებს თბილისის** ნაცვლად მინსკში ვუმასპინძლეთ. ფაქტი და რეალობა მწარე სურათს ხატავს - ქვეჯგუფში ბოლო ადგილი და შესარჩევი ციკლის სამარცხვინოდ დასრულება! ცნობისათვის - ჩვენზე მეტი გოლი მხოლოდ ლიხტენშტეინმა, ლუქსემბურგმა, მალტამ და სან-მარინომ გაუშვა. ანუ, ევროპაში ოთხ გუნდზე უკეთესი შედეგი მაინც გვაქვს და პეტარ შეგრტსაც, ალბათ, ეს თუ ექნება საამაყო. ჰო - ხორვატი მწვრთნელი, ალბათ, ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ მის განვრთნილ გუნდს ასეთი ფინალი ელოდა. არადა, სულ ახლახან არ იყო, შეგრტი ლიად რომ აფიქსირებდა თავის გულისწყრომას - საქართველოს ეროვნული ნაკრები **კუპერს** რატომ ჩააბარეს, მე აქ არ ვიყავიო? ბარაქალა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის წევრებს და საერთოდაც, მათი ვინაობა სამშობლომ უნდა იცოდეს! თანაც, ჩვენი ალმასკომის წევრებზე არაფერმა გაჭრა - შეგრტის ჩინებულად წარმართულ პიარკამპანიას ვგულისხმობთ. აი, ამ საქმეში კი ხორვატს ბადალი არ ჰყავს: საქართველოში ჩამოსვლისთანავე უშუალო და უბრალო კაცის იმიჯი შექმნა; ბევრ ჩვენს კოლეგასაც დაუახლოვდა თუ „ჩაეხუტა", მერე, სულაც, ფაქტობრივად თვითონვე გამოძებნა თიკუნი - მსიამოვნებს, „ჯიგაროს" რომ მეძახიანო!..

... შეგრტი - მწვრთნელი მოულოდნელად შემოიჭრა ქართულ საფეხბურთო სამყაროში. აქ ვინ ჩამოიყვანდა, თუ არა **კლაუს ტოპმიოლერი**, ვისთანაც ურთიერთობა ჩვენს „ჯიგაროს" გერმანიაში ჩამოუყალიბდა. **შეგახსენებთ, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ჯერ რალფ მინგეს ჩააბარეს**, მაგრამ მისთვის ეს თანამდებობა, ალბათ, ეცოტავათ და უფრო „ზემოთ" გადაიყვანეს. მინგეს მერე დროებით ისევ **კობა ჟორჟიკაშვილი** იყო ახალგაზრდულის მწვრთნელი და აი, 2007 წლის 7 თებერვალს პეტარ შეგრტის დებიუტის დროც დადგა.

სამწუხაროდ, დებიუტი წარუმატებელი აღმოჩნდა - თურქ ახალგაზრდებთან დავმარცხდით (1:2); თუმცა, სტუმრებს ერთობ ძლიერი გუნდი ჰყავდა: სამი ფეხბურთელი დღეს ეროვნულ ნაკრებში თამაშობს - **მევლუთ ერდინჩი, არდა თურანი** და **ნური შაჰინი**. მატჩი ამხანაგური იყო და ჩვენთვის შედეგზე მეტად სხვა რამ იყო საინტერესო: რამდენად ობიექტური იქნებოდა ახალი მწვრთნელი ფეხბურთელების შერჩევაში. მანამდეც ხომ არაერთხელ მომხდარა, როცა საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში ზოგს დაუმსახურებლად იწვევდნენ, ზოგი კი, პირიქით - იმსახურებდნენ, მაგრამ იგნორირებას უწევდნენ. შეგრტის პირველსავე შეხვედრაშიც რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი გამოჩნდა, იმ დროს უკლუბოდ რომ იყო ან თავის გუნდში სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მაგრამ ესეც „ჩავყლაპეთ". სამაგიეროდ, პირველსავე მატჩში თვალში მოგვხვდა ხორვატის მეტისმეტი ემოციურობა - ხშირ შემთხვევაში, ზედმეტად არტისტულობაში რომ გადაიზრდებოდა ხოლმე. მერე, უკვე ოფიციალური მატჩების დროც დადგა, თუმცა მანამდე ისიც ვთქვათ, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ჩინებული პირობები ჰქონდა შექმნილი. უცხოურ შეკრებებს ხომ **თვლა ალარ ჰქონდა, თუმცა შესარჩევი ციკლი „ტრადიციულად" დავიწყეთ** - ზედიზედ ორი ნაგებით. ამისთვის შეგრტი არავის გაუკრიტიკებია - ჯერ ესპანეთთან წავაგეთ, მერე - პოლონეთთან. სამაგიეროდ, რუსთავში ყაზახებს დიდი წვალებით რომ მოვუგეთ, მაშინვე „დიდ გულზე" მოვიდა და თქვა - ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლის შანსი არ დაგვიკარგავსო. ამ დროს უკვე დაწყებული ჰქონდა გაუთავებელი ექსპერიმენტები: ნაკრების კარს ხან ერთი მეკარე იცავდა, ხან მეორე, ხანაც - მესამე; დაცვაში, ასე თუ ისე, სტაბილურ ოთხეულს მიაგნო და მათი კანდიდატურებიც საკამათო არავისთვის იყო; სამაგიეროდ, ნახევარდაცვასა და თავდასხმაში ყოველ მატჩში ახალ-ახალ სახეებს ვხედავდით. ბევრს, სრულიად დაუმსახურებელსაც - საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საშუალო დონის გუნდის 18-კაციან განაცხადში ფეხბურთელი რომ ვერ მოხვდება, ახალგაზრდულ ნაკრებში რატომ უნდა გამოეძახებინათ? ასეთი „რამეები" მერეც გაგრძელდა, როცა ზედიზედ ორჯერ დიდი ანგარიშით წავაგეთ. ესპანეთთან წაგებაზე ხმა არავის ამოგვილია; თუმცა, იმ მატჩში მონაწილეობა ორმა კონკრეტულმა ფეხბურთელმა რა კრიტერიუმით დაიმსახურა, დღემდე ვერ აგვიხსნია. სამაგიეროდ, ყაზახეთთან, მართლაც სამარცხვინო ნაგების (1:4) მერე შეგრტის ავტორიტეტი ქვემოთ და ქვემოთ წამოვიდა. აი, მაშინ გაისმა პირველად ქართულ მედიაში მოწოდებები, რომ შეგრტს საქართველოს ნაკრები უნდა დაეტოვებინა. თუმცა, რუსეთის ნაკრებთან გამარჯვებამ სკამიც შეუნარჩუნა და ლამის „ეროვნულ გმირადაც" გამოვაცხადეთ. კი, ძმები ტოპმიოლერებისა თუ მინგესგან განსხვავებით სისტემატურად ესწრებოდა საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს, მაგრამ ნაკრებში სელექციასთან დაკავშირებით კვლავაც რჩებოდა უამრავი უპასუხო კითხვა. მერე კი ისე მოხდა, რომ საქართველოდან მისი პროტეჟე წავიდა; ერთი მხრივ, შეგრტი მართალი გახლდათ, აქ რომ დარჩა - ბოლოს და ბოლო კონტრაქტი აკავშირებდა; თუმცა, მეორე მხრივ, ადამიანური, გნებავთ, კაცური პრინციპებიდან გამომდინარე, ჩამომყვანს გერმანიაში უნდა წაჰყოლოდა. მაგრამ, სად წავიდოდა, როცა, თურმე, გულში ეროვნული ნაკრების გაძღოლაზე ფიქრობდა. აკი ვანდეთ კიდეც ორ ამხანაგურ მატჩში ეს საპასუხისმგებლო პოსტი და ჩვენმა „ჯიგარომაც" იფიქრა, სხვაზე ნაკლები რითი ვარო და ნაკრებში დამტოვეთო!

... ალარ გვინდა იმ ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებისა თუ ფსევდო-პატრიოტული სიტყვების გახსენება, რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩის წინ შეგრტი აქეთ-იქით რომ აფრქვევდა. ყველაზე უცნაური ის იყო, იმ სამარცხვინო შეხვედრის მერე სხვანაირად რომ „აჭიკჭიკდა" - სათქმელი დამიგროვდა და თბილისში რომ ჩამოვალ, ყველაფერს ვიტყვიო. ვინ დაუშალა, თქვას - ჩვენც ეგ გვაინტერესებს. თუმცა, ამით მის გაფუჭებულ საქმეს არაფერი ეშველება...

პეტარ შეგრტის ხელმძღვანელობით საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ათი მატჩი (8 ოფიციალური, 2 ამხანაგური) ჩაატარა. ბალანსი აშკარად უარყოფითია: 3 მოგება და 7 ნაგება, ბურთების სხვაობა: 11-24. ამ ათ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 44-მა ფეხბურთელმა:

მეკარეები: **თევდორაძე** - 5 მატჩი (გაუშვა 11 გოლი), **ლორია** - 3 (5), **ალავიძე** -2 (5), **მაკარიძე** -1 (3).

მცველები: **ნავალოვსკი** -10 (გაიტანა 1 გოლი), **ფოფხაძე** -7, **ლობჟანიძე** - 6, **გ. კაშია** - 6, **თომაშვილი** - 6, **ღვინიანიძე** - 4 (1), **ელბაქიძე** - 4, **სანაია** - 4, **მჭედლიშვილი** - 2, **გვაძაბია** - 2, **ხუბუტია** - 1 (1), **თავბერიძე** - 1;

ნახევარმცველები: **მერებაშვილი** - 7 (1), **კობახიძე** - 7, **გრიგალაშვილი** - 6, **ბჟალავა** - 5, **ხიდეშელი** - 5, **დაუშვილი** - 4, **კლიმიაშვილი** - 3 (1), **ყენია** - 2, **დევდარიანი** - 2, **შონია** - 2, **ბეგლარიშვილი** - 2, **თარგამაძე** - 2, **ბენაშვილი** - 1, **ჩირიკაშვილი** - 1, **აფრიამაშვილი** - 1.

თავდამსხმელები: **ბ. გოცირიძე** - 5 (2), **დვალიშვილი** - 5, **რ. ბარაბაძე** - 4 (3), **კახელიშვილი** -3, **გ. ნოდ. ჭელიძე** - 3, **წინამძღვრიშვილი** - 2, **ვაწაძე** - 2, **ივანიშვილი** - 2, **ჩიმაკაძე** - 1, **ფანცხავა** - 1, **ხაჭიპერიძე** - 1, **ლიპარტია** - 1, **ბ. ჟღენტი** - 1. (ერთი გოლი საკუთარ კარში ლატვიელმა სმირნოვსმა გაიტანა).

**გია ტუხაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

FRIEDEN FUR GEORGIEN

მოსაზრება

# მშვიდობა საქართველოს!




კარგად დააკვირდით ამ ფოტოებს. ალბათ, გეცნობათ. ეს ის კაცია, ვინც ირლანდია-საქართველოს მატჩის დროს, მაინცელმა რეჟისორმა კადრში ორჯერ გვიჩვენა. ამ კაცის მელოტ თავზე ქართველებისთვის მნიშვნელოვანი წარწერაა: „მშვიდობა საქართველოს" (Frieden fur Georgien)!

ეს კაცი გერმანელია, მაინცელი. „როგორც ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგმა" დაწერა, მას ფეხბურთი არასდროს აინტერესებდა და სტადიონზეც მხოლოდ ერთი-ორჯერაა ნამყოფი - ისიც, სულ სხვა მიზნებით. ამჯერადაც ასე მოხდა - **თომას კლაინე** „შტადიონ ამ ბრუხვეგზე" მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო მივიდა, რომ საქართველოსთვის სოლიდარობა გამოეცხადებინა. გამოუვიდა კიდეც! ჰერ კლაინე მთელი მატჩის განმავლობაში მოედნისკენ ზურგით იდგა და მხოლოდ თავისი მელოტი თავის დემონსტრირებას ახდენდა. ამიტომაც მოხვდა ადგილობრივი ოპერატორების ყურადღების ცენტრში.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ პირადად ჩემთვის, სწორედ ეს იყო მატჩის ყველაზე მაგარი, ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი.

...და რაც შეეხება ყველაზე მძიმე ეპიზოდს...

როდესაც **გიორგი ლორიამ** უელსთან ის სამარცხვინო გოლი გაუშვა, თვალები დავხუჭე და გავიფიქრე: „მერამდენედ?" მერამდენედ შეიძლება, რომ საქართველოს ნაკრების მეკარემ მეტოქეს მინიმუმ ერთი გოლი აჩუქოს? ნუთუ ვალდებულები ვართ, ნებისმიერ მეტოქეს მინიმუმ ერთბურთიანი ფორა მივცეთ? ნუთუ დაწყევლილები ვართ და საქართველოში არ მოიძებნება მეკარე, რომელიც მინიმუმ ასეთ ბურთებს არ გაუშვებს? რატომ უნდა ვიწყდებდეთ ზეიმს, როცა ჩვენი ნაკრების კარის დარაჯი აბსოლუტურად ჩვეულებრივი დარტყმის შემდეგ, ბურთს ხელში იმაგრებს? და რატომ უნდა ვიზეიმოთ ჩვენი მეკარის მიერ ჩამოხსნილი ნებისმიერი მაღალი ბურთი ისე, როგორც გატანილი გოლი? ეს ხომ არაა პირველი შემთხვევა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არც უკანასკნელი იქნება. საქართველოს ნაკრების მეკარეების გასაოცარ ქმედებებზე უკვე შეიძლება ერთი დიდი ფილმის გაკეთება. შეცდომა ვის არ მოსვლია? და უელსთან მატჩის შემდეგ ასი პროცენტით დარწმუნებული გახლდით იმაში, რომ **ექტორ კუპერს** ირლანდიასთანაც ლორია უნდა დაეყენებინა.

...იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს, ქართველი მეკარეც უნდა გახდეს თავდაჯერებული. ვიღაცამ დაიყვირა, **გიორგი ლომაია** დავაბრუნოთო, თითქოს აღარ გვახსოვს **ანდრეა პირლოსა** და **დანიელე დე როსის** გოლები. ვიღაცამ, ისო, სხვამ - ესო. მაგრამ იცით, უკვე დაუჯერებელია, რომ საქართველოს ნაკრებს ისეთი მეკარე ეყოლება, რომლის იმედიც მართლა ექნება პირველ რიგში გუნდს და მერე მთელ ქვეყანას.

ლორიას აუცილებლად უნდა ეთამაშა ირლანდიასთან!

...**უილანის** გოლის შემდეგ, არც თვალები დამიხუჭავს და არც შოკში ჩავარდნილვარ. ცოდვა გამხელილი სჯობს და... სიცილი ამივარდა! ისტერიული სიცილი! შემეცოდა მთელი გუნდი, მცველები, შემეცოდა ქართული ფეხბურთი, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ლორია შემეცოდა.

მაგრამ:

დაუწერელი კანონია: ეროვნული ნაკრების კარს ახალგაზრდა მეკარეები არ იცავენ ხოლმე!

**ჯანლუიჯი ბუფონს** კოჭებშივე ეტყობოდა, სასწაულმოქმედი რომ გახდებოდა, მაგრამ 1998 წლის მუნდიალზე იტალიის ნაკრების კარს **ჯანლუკა პალიუკა** იცავდა. კოჭებში ეტყობა **რენე ადლერს**, რომ დიდი შანსი აქვს, **ოლივერ კანის** დონის კიპერი გახდეს, მაგრამ გერმანიის ნაკრების კარს დღეს **რობერტ ენკე** იცავს. საშუალო დონის, „ჰანოვერის" მეკარე. რატომ? იმიტომ, რომ მას მეტი გამოცდილება აქვს. მეკარისთვის გამოცდილება და სათამაშო პრაქტიკა (!) ნომერ პირველი კრიტერიუმებია. ლორიას არც ერთი აქვს და არც მეორე. **გიორგი მაკარიძეს** არც ერთი აქვს და არც მეორე. და ლოგიკურად ჩნდება კითხვა: რატომ ვუშვებთ ნიჭიერ მეკარეებს სასაკლაოზე?

მატჩის მეორე დღე. და ინფორმაცია: **მალხაზ ასათიანმა** ნაკრები დატოვა. რატომ? როგორ? თურმე კუპერისთვის უკითხავს, იტალიასთანაც სკამზე დამსვამ თუ ძირითად შემადგენლობაში მათამაშებო? არგენტინელმა ჩემი აზრით, სავსებით ლოგიკური პასუხი გასცა: სასტარტო შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვერცერთ ფეხბურთელს ვერ მივცემო. კუპერს გადაწყვეტილიც რომ ჰქონოდა, რომ ასათიანს ათამაშებდა, მაინც ასე უნდა ეპასუხა! ისევე, როგორც **კლაუს ტოპმიოლერმა** უპასუხა თავის დროზე **გოგიტა გოგუას**.

...და ასათიანი ნაკრებიდან არ უნდა წასულიყო!

მალხაზი საქართველოს ნაკრებისთვის მართლაც ფასდაუდებელი ფეხბურთელია და ამაზე არავინ დაობს. ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა კარგ ფორმაშია (თუმცა, ცუდ ფორმაში მყოფსაც შეუძლია ბევრზე უკეთესი თამაშის ჩვენება). მაგრამ დავანებოთYთავი იმას, თუ როგორ ფორმაშია ასათიანი, აქვს თუ არა მას წონა მომატებული და ა.შ. აქ მთავარი მიდგომაა!@საქართველოს ეროვნული ნაკრებისადმი მიდგომა, სადაც შეიძლება, ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა იყოს, მაგრამ არც ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მწვრთნელის სიტყვა კანონი უნდა იყოს, ბოლოს და ბოლოს!

*„არ იცი, მათამაშებ თუ არა, მაშინ წავედი!"* - რა ვქნა, რომ აქ მართლა არ ჩანს საქართველოს ნაკრების სიყვარული. ეს ბავშვური მიდგომაა. ვის ებუტები, რატომ?

მალხაზი დღესდღეობით მართლა ცუდ ფორმაშია და ირლანდიასთან ძირითადში ასპარეზობას არ იმსახურებდა. მაგრამ ეჭვგარეშეა ის, რომ ასათიანი საქართველოს ნაკრებს ძალიან სჭირდება. ყველას კარგად გვახსოვს მის მიერ შექმნილი გენიალური მომენტები, იდეალური პასები, დაცვაში გაუვალი კედელივით დგომა, თავდადება და რუსეთის ნაკრების კარში გატანილი გოლი. მაგრამ როცა საჭიროა, სკამზე ჯდომა არავის უნდა ეთაკილებოდეს. და ამაში არც არაფერია სათაკილო. მაგრამ რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, ამ შემთხვევაში ასათიანს, სხვა შემთხვევებში კი კიდევ ძალიან ბევრს, ეს არ ესმის!

ოლივერ კანზე ამაყი ფეხბურთელი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში არ არსებულა. ვკითხოთ ერთი, რას ნიშნავდა მისთვის მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის წინ **იურგენ კლინსმანის** გადაწყვეტილების მოსმენა, მუნდიალზე გერმანიის ნაკრების კარს არა შენ, არამედ **იენს ლემანი** დაიცავსო. ეს კანისთვის პირადი ტრაგედია იყო, ყველაზე დიდი დარტყმა, რაც კი ცხოვრებაში მიუღია. კლინსმანმა მაშინ ოლის ოცნების კოშკები დაუნგრია და თავსლაფი დაასხა - შეარცხვინა სწორედ იმ მომენტში, როცა ეს კანს ყველაზე ნაკლებად უნდოდა.

...და როგორ მოიქცა ოლი?

კუპერს ასათიანისთვის არ უთქვამს, არ გათამაშებო. კლინსმანმა კი კანს სწორედ ეს უთხრა - ის ხომ მეკარეა და ფაქტი იყო, რომ მთელ მუნდიალს სკამზე გაატარებდა. კანს ნაკრები არ დაუტოვებია, მიუხედავად იმისა, რომ მაინც აპირებდა სანაკრებო კარიერის დასრულებას, ოღონდ მუნდიალის შემდეგ. ის ბუნდესგუნდში დარჩა და მთელი მუნდიალი (თუ არ ჩავთვლით მატჩს მესამე ადგილისათვის, სადაც ათამაშეს) სკამზე გაატარა. მეტიც, ოლიმ არგენტინასთან მატჩის დროს, თერთმეტმეტრიანების სერიის წინ ლემანს ხელი ჩამოართვა და წარმატებები უსურვა...

ასათიანსა და კანს შორის პარალელების გავლება ცოტა უხერხული კია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ორ ფეხბურთელზე ვსაუბრობთ. კანი ტიტანია... ამაშია საქმე!

როდესაც ფეხბურთელები (იქნება ეს ასათიანი, თუ ვინმე სხვა) ეროვნულ ნაკრებზე მაღლა საკუთარ თავს აყენებენ, იმ გუნდის წარმატება გამორიცხულია. შესაძლოა, ერთი-ორი გამონათება იყოს, მოუგო შოტლანდიას, ფრე გაახერხო რომელიმე სუპერგრანდთან, მაგრამ ასეთი სულისკვეთებით ზოგადად ვერაფერს მიაღწევ.

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, მატჩის დროს და მატჩის შემდეგ განვითარებული მოვლენებიდან, ყველაზე კარგი ეპიზოდის მთავარი გმირი გერმანელი იყო, ცუდი ეპიზოდებში კი... არადა, საქართველოს ნაკრებზე ვსაუბრობთ...

**გოტფრიდ ლენცი**




ქართველების აქცია მაინცში

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსალოდნელი გადაადგილება

# ვენგერი მილანში?

საფეხბურთო სამყარო ახალმა სპეკულაციამ ააფორიაქა. მომავალი სეზონიდან „მილანის" მწვრთნელი შეიძლება **არსენ ვენგერი** გახდეს. ინფორმაცია იტალიურმა „ილ ჯორნომ" გაავრცელა. ვენგერმა წლეულს მრგვალი თარიღი აღნიშნა. 10 წელი გავიდა მას მერე, რაც სახელოვანმა ფრანგმა სპეციალისტმა „მონაკოდან" ბრიტანეთს მიაშურა და „არსენალის" მწვრთნელი გახდა. ყველაფერს აქვს დასასრული. ვენგერის ლონდონურ დეკადასაც, შეიძლება, ამ სეზონის ბოლოს დაესვას წერტილი. პრინციპში, საკმარისია ის, რაც მან ჯერ „ჰაიბერიზე", მერე კი „ემირითსზე" გააკეთა. საკმარისი იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა საიმისო რესურსი, რათა ყოველ წელს დიდი ტიტული მოეგო.

ბოლო ჩემპიონატების განმავლობაში ვენგერი მუდმივად ფორსმაჟორში მუშაობდა. ფაქტობრივად, ყოველ მომდევნო სეზონში მას ახალი გუნდის მშენებლობა უწევდა, იმიტომ, რომ ის მუდმივად წამყვანი მოთამაშეების გარეშე რჩებოდა. „მილანში" გადასვლის შემთხვევაში, მას მეტი სტაბილურობის გარანტია ექნება. „მილანი" სხვა პოლიტიკით ცხოვრობს, მაშინ, როცა „არსენალი" ევროსაფეხბურთო ბაზრის მთავარ მომმარაგებლად იქცა.

წელს მისი მიზანი ჩემპიონობაა, მაგრამ ჩემპიონობა „ჩელსის", „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ლივერპულის" ტრადიციულ გარემოცვაში, და ჩემპიონობა უკვე მეტ რამდენედ განახლებული შემადგენლობის პირობებში... ვენგერს ურთულესი ამოცანა დაუსახეს. პრინციპში, მას დასაკარგიც არაფერი აქვს. „არსენალიდან" ნებისმიერ შემთხვევაში პატივით გააცილებენ...

საფეხბურთო ფილოსოფიის თვალსაზრისით, მოსიე არსენს „როსონერიში" არ უნდა გაუჭირდეს. მისეული ფეხბურთი სწორედ ისეთია, როგორიც **სილვიო ბერლუსკონისა** და **ადრიანო გალიანის** მოსწონთ. მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ვენგერი ამ კოლორიტული დუეტის სიაში მარტო არ არის - აქ არიან **მარკო ვან ბასტენიცა** და **ფრანკ რაიკაარდიც**, იმ დიდი „მილანის" სახელოვანი შვილები. მაგრამ თუ არჩევანზე მიდგა საქმე, ვფიქრობთ, ვენგერი ხელიდან არ უნდა გაუშვან. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ფრანგს იტალიაში გადაბარგების შანსი აქვს. 2005 წელს **მასიმო მორატი** მას „ინტერში" ინვევდა, ვიდრე **რობერტო მანჩინის** დაიქირავებდა...

გავითვალისწინოთ ისიც, რომ „მილანსა" და „არსენალს" შორის თბილი ურთიერთობაა. ამ ზაფხულს ლონდონიდან „სან სიროზე" **მატიო ფლამინი** და **ფილიპ სენდეროსი** გადავიდნენ. იყო სერიოზული შანსი, ამათ შორის გვეხილა **ემანუელ ადებაიორიც**, მაგრამ ვენგერმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ტოგოელი „ემირითსზე" დაეტოვებინა. იქნებ, „მილანს" აქვს იმედი, რომ გაისად არსენი ადებაიორსაც გამოაყოლებს ხელს?

რაც შეეხება **კარლო ანჩელოტის** მომავალს. სერია A-ს პირველ მატჩში „ბოლონიასთან" საშინაო მარცხი (1:2) არ იყო კარგის ნიშანი. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ლაპარაკია მხოლოდ პირველი მატჩზე, ხოლო წინ კიდევ 37-ია. ანუ, უამრავი შანსი, იმისთვის, რომ „როსონერი" ჩემპიონი გახდეს. სკუდეტო ამ სეზონის ზეამოცანაა. ეს შეკვეთა ანჩელოტის უკვე მიღებული აქვს. მისთვის ეს არ არის ახალი გამოწვევა. „მილანი" ყოველთვის ჩემპიონობისთვის იბრძოდა და იბრძვის, მაგრამ ახლა წნეხია გამორჩეულად დიდი. ანჩელოტის **რონალდინიო** და **ანდრეი შევჩენო** მიუყვანეს. პა, ბურთი, პა, ვარსკვლავები! ის უბრალოდ ვალდებულია, რომ პირველი ადგილი არავის დაუთმოს.

მაგრამ „არსენალის" არ იყოს, კონკურენცია აქაც დიდია: „ინტერი", „რომა", „იუვენტუსი"... არ იქნება სკუდეტო იოლი ამოცანა. ამიტომ, „როსონერის" მესვეურთ უნდა ჰქონდეთ მზად გეგმა B, რათა კარლეტო უმალ შეცვალონ. არ გამოვრიცხავთ, ანჩელოტი ნებისმიერი შედეგის შემთხვევაშიც კი თავად წავიდეს. ჩვენ უკვე ვწერდით ორ მოსალოდნელ გადაადგილებაზე - ანჩელოტი „რომაში", **ლუჩანო სპალეტი** „იუვენტუსში". ამას ემატება ვენგერი „მილანში". ესეც ერთი დიდი მოძრაობის ნაწილია...

**გიორგი გელაშვილი**

---

რეალი

# ლენონი რობინიოს ნაცვლად?

## სამეფო კლუბმა პოდოლსკიც მოიკითხა, სნეიდერი მოსალოდნელზე სწრაფად გამოჯანმრთელდა

მადრიდის „რეალი" ტოტენჰემელი **აარონ ლენონით** დაინტერესდა. ამ ინფორმაციას „დეილი მეილი" ავრცელებს. სამეფო კლუბი ინგლისელ გარემარბს **რობინიოს** შემცვლელად განიხილავს. მის გარდა, მადრიდელთა სიაშია „ბენფიკის" არგენტინელი ლეგიონერი **ანხელ დი მარია**. ამ უკანასკნელმა პეკინის ოლიმპიადაზე მიიქცია სპეციალისტების ყურადღება. ლისაბონური კლუბი დი მარიას დათმობას არ აპირებს. თუ „რეალი" მაინც შეუჩნდება, 24 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევს. ფეხბურთელის ფასი მისივე კონტრაქტითაა განსაზღვრული.

ლენონით ესპანური გრანდის დაინტერესებას სენსაცია უწოდეს. ხუთი წლის წინ აარონი პრემიერლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტი გახდა. 2003 წლის აგვისტოს, როდესაც მან „ლიდსის" ღირსება „უაით ჰართ ლეინზე" „ტოტენჰემის" წინააღმდეგ 16 წლისა და 129 დღისა იყო. ჯერჯერობით მისი რეკორდი ვერავინ დაამხო. ლენონს კიდევ ერთი მიღწევა ეკუთვნის. ის 14 წლისა იყო, როდესაც „ადიდასმა" სპონსორული კონტრაქტი გაუფორმა და სახელობითი ბუცები შეუკერა. ამ ასაკში მსგავსი ხელშეკრულება არავის დაუდია.

ამჟამად აარონ ლენონი 21 წლისაა. მას მთელი კარიერა წინ აქვს. ლენონმა ინგლისის ნაკრებში 9 მატჩი ჩაატარა. ის „ტოტენჰემის" ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად ასპარეზობს. აარონი ინგლისის ერთ-ერთ საუკეთესო ახალგაზრდა გარემარბად მიიჩნევა.

დავუბრუნდეთ „რეალს". გაზეთი „ასი" წერს, რომ **ბერნდ შუსტერი** ზაფხულის ტრანსფერებით უკმაყოფილოა. მთავარმა მწვრთნელმა ერთი სასურველი ფეხბურთელიც კი ვერ იყიდა. სიაში, რომელიც შუსტერმა სპორტულ დირექტორ **პრედრაგ მიატოვიჩს** გადასცა, **კრისტიანო რონალდო** მხოლოდ მეოთხე ადგილზე ეწერა. გერმანელი სპეციალისტისათვის პრიორიტეტი თავდამსხმელის შეძენა იყო. ის სევილიელ **ლუიშ ფაბიანოსა** და ვალენსიელ **დავიდ ვილიას** უმიზნებდა. შუსტერს გამთამაშებელიც სჭირდებოდა. ამიტომ რომაელ **დანიელე დე როსის** აკვირდებოდა. ჰერ ბერნდს განაპირა მცველების საიმედოობაშიც ეჭვი ეპარება. მას ბაიერნელი **ფილიპ ლამისა** და სევილიელი **დანიელ ალვეშის** შეძენა სურდა. „რეალის" ხელმძღვანელობამ მთელი ზაფხული კრისტიანო რონალდოსთვის ვაჭრობაში გაატარა. მადრიდელთა თავკაცი კი, ფაქტობრივად, შარშანდელი შემადგენლობის ამარა დარჩა.

შუსტერი მთელ იმედებს იანვრის ფანჯარაზე ამყარებს. ის **ლუკას პოდოლსკის** შეძენას შეეცდება. გერმანელი ფორვარდი არ მალავს, რომ „ბაიერნიდან" აბარგება სურს. მას თადარიგში ჯდომა ყელში ამოუვიდა. მოსალოდნელი გარიგების დეტალები უცნობია. „რეალის" გარდა, პრინც პოლდის ყიდვა „მანჩესტერ სიტისაც" სურს. გამდიდრებული მანჩესტერული კლუბი იანვრისათვის აქედანვე ემზადება. ის მიუნხენელთათვის საარაკო წინადადებას ამზადებს. 23 წლის პოდოლსკიმ გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში 56 მატჩი ჩაატარა და 30 გოლი შეაგდო.

და ბოლოს, "რეალის" ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა **ვესლი სნეიდერმა** ვარჯიში განაახლა. „არსენალთან" წინასასეზონო მატჩისას ფეხბურთელმა მუხლი იტკინა. ექიმები შიშობდნენ, რომ მას რამდენიმე თვე გაუცდებოდა. მაგრამ ტრავმის მიღებიდან 37 დღის შემდეგ სნეიდერი უკვე მოედანზეა. მისი გამოჯანმრთელების პროცესი გართულებების გარეშე მიმდინარეობს. ვესლი ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებას ოქტომბრის შუა რიცხვებში აპირებს.

**შალვა ბიბილაშვილი**



აარონ ლენონი შეიძლება რეალში აღმოჩნდეს

---

ნიუკასლი

# პოიეტი თუ ოლირი?

## ჯორდებმა ჯერ ისიც არ იციან, თუ ვინ იქნება კლუბის მომავალი მეპატრონე

„ნიუკასლი" გუსტავო პოიეტს ეპატიჟება. ინფორმაცია ურუგვაელი სპეციალისტის მოსალოდნელი დანიშვნის თაობაზე რამდენიმე დღეა, მუსირებს. სპეკულაციების თანახმად, „ტოტენჰემის" მეორე მწვრთნელმა **კევინ კიგანის** ადგილი უნდა დაიკავოს. მიმომხილველები კი ეჭვობენ, რომ პოიეტს გულშემატკივართა გულის მოგება გაუჭირდება. გუსტავო „ნიუკასლის" აღმასრულებელი დირექტორის, **დენის ვაიზის** ფავორიტად მიიჩნევა. ვაიზი და პოიეტი „ჩელსიში" ერთად თამაშობდნენ. მოგვიანებით, როდესაც ვაიზს „ლიდსის" მთავარი მწვრთნელის პოსტი შესთავაზეს, პოიეტი თავის ასისტენტად წაიყვანა. ისინი იორკშირული კლუბიდან ერთდროულად წამოვიდნენ. დენისმა „ნიუკასლისაგან" სარფიანი წინადადება მიიღო, ხოლო გუსტავო „ტოტენჰემში" მისულმა **ხუანდე რამოსმა** მიიწვია.

პოიეტი „ნიუკასლში" წასვლას არ ჩქარობს. სპეკულაციების თანახმად, ჯორდების ბოსი **მაიკ ეშლი** კლუბის გაყიდვას აპირებს. ინგლისურ სააგენტოებს თუ დავუჯერებთ, „ნიუკასლის" შეძენა ინდოელ მილიარდერ **ანილ ამბანის** სურს. პოიეტის თაობაზე მისი პოზიცია უცნობია. გუშინ გუსტავომ პირველი კომენტარი გააკეთა: „ტოტენჰემში" ძალიან კარგად მოვეწყვე. „ნიუკასლთან" დაკავშირებული ამბავი წმინდა წყლის სპეკულაციაა. სპეკულაციის ავტორებს კარგად მოეხსენებათ, რომ დენის ვაიზთან ვმეგობრობ. მაგრამ გარწმუნებთ, „ნიუკასლიდან" არავინ დამკავშირებია. მე „ტოტენჰემის" მეორე მწვრთნელი ვარ და ძველებური შემართებით ვმუშაობ."

გუშინ "დეილი მეილმა" გვაუწყა, რომ „ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე კიდევ ერთი კანდიდატურა განიხილება. საუბარია ირლანდიელ სპეციალისტ **დევიდ ოლირიზე**, რომელიც „ასტონ ვილისა" და „ლიდს იუნაიტედის" ყოფილი დამრიგებელია. „ნიუკასლის" დირექტორატში ოლირისაც გავლენიანი მხარდამჭერები ჰყავს. მასთან დაკავშირებით რაიმე სახის კომენტარი არ გაკეთებულა.

**შალვა ბიბილაშვილი**



გუსტავო პოიეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ინტერვიუ კაკასთან

# მე და რონალდინიო ცხოვრებას სხვადასხვანაირად ვუყურებთ

## მთავარია, ანჩელოტიმ ბალანსი მოძებნოს

**რიკარდო იზეკსონ კაკას** გამოჯანმრთელებას „მილანის" ტიფოზები მოუთმენლად ელოდნენ. მის გარეშე იტალიურმა გრანდმა ვერც ამხანაგურ მატჩებში ივარგა და ვერც სერია A-ს სტარტი გამოუვიდა ხეირიანი: კარლო ანჩელოტის გუნდმა საკუთარ მოედანზე „ბოლონიასთან" 1:2 წააგო. რამდენიმე დღის წინ, „როსონერის" ექიმებმა ფანებს ნახდენილი ხასიათი გამოუკეთეს: კაკა სრულ მზადყოფნაშია და შეუძლია, ჩემპიონატის მეორე ტურში, „ჯენოას" წინააღმდეგ ითამაშოს. ნაოპერაციევ ბრაზილიელს კარლეტო ძირითადშიც უპირებს გამწესებას. მანამდე კი კაკას იტალიელი ჟურნალისტი ესტუმრა და ინტერვიუ ჩაიწერა. ამ ინტერვიუს „ლელოს" მკითხველს ვთავაზობთ...

**- გილოცავთ გამოჯანმრთელებას. თქვენი ტრავმის გამო „მილანის" გულშემატკივრები დიდხანს ნერვიულობდნენ...**

- დიახ, ვიცი და მათი თანადგომით დიდად მადლიერი ვარ. წელინადზე მეტი, ტრავმით ვითამაშე. ოპერაცია რამდენჯერმე გადაიდო მნიშვნელოვანი მატჩების გამო. ჯერ ევროპის სუპერთასის გამო გადავდეთ მკურნალობის დაწყება, მერე იყო მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი, სადაც გამაყუჩებლებით ვითამაშე... შედეგად, არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოვჩნდი. მართალია, ტრავმა მოშუშდა, მაგრამ დროულად რომ მიმეხედა, ამხელა პრობლემა არ იქნებოდა და გაცილებით ადრე მოვიშორებდი.

**- გამოდის, რომ ექიმებმა შეცდომა დაუშვეს?**

- არა, ამას არ ვგულისხმობ. მათ იცოდნენ და თქვეს კიდეც, რომ უმჯობესი იყო, ოპერაცია „სევილიასთან" სუპერთასის მატჩამდე გამეკეთებინა, მაგრამ იქვე უთხრეს კლუბის ხელმძღვანელობასა და მწვრთნელს: ამ ეტაპზე საგანგაშოც არაფერია და შესაძლებელია, გამაყუჩებლით ითამაშოსო. პრინციპში, ისინი მართლები აღმოჩნდნენ: „მილანმა" თასი მოიგო, მე კი ზაფხულის პერიოდი მკურნალობას მოვანდომე.

**- სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა და კვლავ „მილანის" ფეხბურთელი ხარ. არადა, ქომაგები იმაზეც ნერვიულობდნენ, რომ შენზე ნადირობა იყო გამოცხადებული......**

- შარშან „რეალი" აქტიურობდა. მისი პრეზიდენტი რამონ კალდერონი ჩემზე ყოველდღიურად აკეთებდა განცხადებებს. წელს კი ინგლისური კლუბები მიწვევდნენ და დიდძალ თანხასაც იხდიდნენ... ეს ჩვეულებრივი ამბავია თანამედროვე ფეხბურთში. განა, „მილანი" არ იწვევს დიდ ფეხბურთელებს? ჰოდა, „მილანიდანაც" ცდილობენ უმაღლესი კლასის მოთამაშეთა გადაბირებას. მე წასვლა ერთი წუთითაც არ მიფიქრია. „როსონერის" მხოლოდ იმ შემთხვევაში დავტოვებ, თუ ამას თავად კლუბი მოისურვებს.

**- „მილანში" რონალდინიოსა და პატოსთან ერთად მოგიწევთ შეტევაში თამაში. უნდა ველოდეთ თუ არა სასწაულებს ჯადოსნური ტრიოსგან?**

- სიმართლე გითხრათ, ჯადოსნურ ტრიოზე ლაპარაკი აღარ მსიამოვნებს. გახსოვთ, ალბათ, რა ამბავი იყო ატეხილი კა-პა-რო-ს (კაკა-პატო-რონალდო) სამეულზე, რეალობა კი სხვაგვარი აღმოჩნდა. რონალდო ფენომენია, მაგრამ „მილანში" დამკვიდრება გაუჭირდა. მოდი, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და ნუ დაგვავიწყდება, რომ გუნდში კიდევ გვყავს მაღალი დონის ფორვარდები ინძაგისა და ბორიელოს სახით.

**- და მაინც, „მილანისგან" სპექტაკლებს ელიან. ეს ფსიქოლოგიურ წნეხში ხომ არ მოგაქცევთ?**

- ჯერ სხვა მიზნებს ვისახავთ. პირველ რიგში, ბალანსის მოძებნაა საჭირო. თითოეულმა ფეხბურთელმა მოედანზე თავისი ადგილი უნდა იპოვნოს და სპექტაკლიც თავისთავად შედგება.

**- რთული იქნება ამ ბალანსის პოვნა?**

- კი, რთული იქნება, რადგან „მილანში" უამრავი მაღალი დონის ფეხბურთელია და ყველას არა უბრალოდ თამაში, არამედ საუკეთესო ფეხბურთის დემონსტრირება სურს. ანჩელოტის შეუძლია, ერთდროულად შეტევაზე ორიენტირებული ხუთი ფეხბურთელი დააყენოს ძირითადში, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ამგვარი სქემა შედეგის უპირობო გარანტია ვერ იქნება. მწვრთნელმა ფუნქციები უნდა გადაანაწილოს და მჯერა, ამას წარმატებით გააკეთებს.

**- „ახალი" შევჩენკო ძველია?**

- შევა „დამშეულია" და გაორმაგებული მოტივაციით ვარჯიშობს. ვგრძნობ, როგორ უნდა ძველ სიმაღლეზე დაბრუნდეს და დარწმუნებული ვარ, ეს გამოუვა კიდეც. მისი დაბრუნებით ძალიან გახარებული ვარ. ანდრეის ჩინებულად ვუგებ მოედანზეც და ცხოვრებაშიც.

**- რომელი იყო წლის ტრანსფერი?**

- იოლი კითხვაა: რა თქმა უნდა, რონალდინიო.

**- და რას იტყოდით მასზე? ამბობენ, კაკა და რონალდინიო ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიანო...**

- დიახ, მართლაც სხვადასხვანაირად ვუყურებთ ცხოვრებას. ბევრ საკითხზე მას აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულება აქვს, თუმცა ეს სულაც არ გვიშლის ხელს იმაში, რომ მოედანზეც და მის მიღმაც ჩინებული ურთიერთობა გვქონდეს. „მილანში" რონი აუცილებლად გაიხსნება და იმედი მაქვს, რამდენიმე წლის განმავლობაში უმაღლეს დონეზეც ითამაშებს.

**- სერია A-ს პირველ ტურს როგორ შეაფასებთ?**

- გრანდებმა ქულები დაკარგეს და ეს ლოგიკურია. დიდი გუნდები სატრანსფერო პერიოდისას აქტიურობენ, ბევრ ფეხბურთელს ყიდულობენ, მათ კი შესათამაშებლად დრო სჭირდებათ. ასეთი სიტუაციაა „მილანშიც" და, სხვათა შორის, „ინტერშიც", სადაც ახალი მწვრთნელია. მის ტაქტიკას მოთამაშეებმა ფეხი უნდა აუწყონ. ამასაც ხომ დრო სჭირდება?

**- მოგწონთ ჟოზე მოურინიო?**

- ერთი შეხედვით, ის აგრესიულია, მკვახე განცხადებებს აკეთებს და იშვიათად იღიმის, მაგრამ რატომღაც, არ მგონია, ცუდი ადამიანი იყოს. ამის თქმის საფუძველს ისიც მაძლევს, რომ შეგირდებიც მუდამ აქებენ. ასე იყო „პორტუში", „ჩელსიში" და ასეა „ინტერშიც". ეს ბევრს ნიშნავს.

**- „ჩელსი" ახსენეთ და, ყველაზე აქტიურად მაინც ეს კლუბი გეპატიჟებოდათ. ანუ, გქონდათ შანსი, კვლავ სკოლარის შეგირდი ყოფილიყავით...**

- ფილი დიდად მესიმპათიურება, მისი ხელმძღვანელობით ბრაზილიის ნაკრებში ვთამაშობდი. სკოლარიმ უამრავი რამ მასწავლა. მას დღემდე ვგულშემატკივრობ და გამიხარდება, თუ „ჩელსის" ჩემპიონთა ლიგას მოაგებინებს.

**- რადგან ინგლისურ ფეხბურთს გადავწვდით, გვითხარით: მოგწონთ პრემიერლიგაში უცხოელი მილიარდერების გამოჩენა?**

- არ მგონია, არაბული მილიარდებით ფეხბურთის საქმე უკეთესობისკენ წავიდეს, თუმცა თქვენი ნებართვით ამ საკითხზე ვრცელ კომენტარს არ გავაკეთებ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ სერია A ვარსკვლავების რაოდენობითა და საერთო დონით, პრემიერლიგას სულაც არ ჩამოუვარდება. იტალია უცხოურ მილიარდებს ნამდვილად არ საჭიროებს.

**- სამაგიეროდ, იტალიურ ფეხბურთში ძალადობა მძვინვარებს. დაიწყო სერია A და უკვე პირველი არეულობის მომსწრენიც გავხდით...**

- ეს მართლაც დიდი პრობლემაა. მშობლები ბავშვებს სტადიონზე აღარ უშვებენ, რაც განგაშის საფუძველს იძლევა. კი მაგრამ, ვისთვის ვთამაშობთ ჩვენ? თუ ბავშვი სტადიონზე ვერ მოვიდა და ფეხბურთს ვერ უყურა, რა აზრი აქვს ასეთ თამაშს? პრობლემის გადაჭრის გზებს რაც შეეხება, ამის რეცეპტი არ მაქვს, ეს ჩემი კომპეტენცია არ არის. ერთი კი ვიცი, რომ რაღაც უნდა ვიღონოთ.

**- და მაინც, ჩემპიონატი გრძელდება, „მილანს" სკუდეტო უნდა. მთავარი კონკურენტები „ინტერი და „იუვე" არიან?**

- „ინტერი" ძალიან ძლიერია და ამას ბოლო წლებში სტაბილურად ამტკიცებს, „იუვენტუსი" კი მონწოდებით ჩემპიონია. ეს გუნდი სკუდეტოს თავისკენ იზიდავს და მის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის რთულია. არ უნდა დავივიწყოთ „რომაც", სპალეტის კრებული წელსაც ძლიერი იქნება. იმედი მაქვს, „ჯალოროსი" კვლავინდებურად ლამაზ ფეხბურთს ითამაშებს, რადგან ეს საერთოდ ჩემპიონატს გაალამაზებს. რაც შეეხება „მილანს", ჩვენში ეს ყველაფერი უნდა გაერთიანდეს და მაშინ პირველობაში ველარავინ შეგვეცილება.

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუმინეთი

# მუტუმ ნაკრები დატოვაო...

**ადრიან მუტუ** რუმინეთის ეროვნულ გუნდს დაემშვიდობა. ინფორმაციის პირველწყარო ბუქარესტში გამომავალი გაზეთი „ლიბერტატეა". შესაძლოა, ამ შემთხვევაში კატალიზატორის როლი ითამაშა შესარჩევი ციკლის სტარტზე რუმინეთის ნაკრების კატასტროფულმა (0:3 ლიტვასთან) საშინაო მარცხმაც.

ბოლო ხანებში მუტუს ტრავმა აწუხებდა. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მას ახალი სეზონისთვის მოსამზადებელი პერიოდი გაუცდა. ადრიანმა სერია A-ს სტარტიც გამოტოვა. ამას გარდა, ნაკრების მარცხმა რუმინულ ფეხბურთში სიტუაციაც აურ-დაურია. ფედერაციის პრეზიდენტი **მირჩა სანდუ** მწვრთნელ **ვიქტორ პიცურკას** მისდგა, ფანები კი ამ უკანასკნელთან ერთად სანდუს გადადგომასაც ითხოვენ.

ამ სპეკულაციების პარალელურად, პრესა პიცურკასა და მუტუს შორის დაპირისპირებაზეც მიანიშნებს. ლიტვასთან ნაგების შემდეგ მწვრთნელს ჰკითხეს, მუტუ რომ ყოფილიყო, ხომ მოვიგებდითო? პიცურკამ ჟურნალისტს უცნაური პასუხი გასცა - არაფერიც არ შეიცვლებოდაო. გამოდის, რომ რუმინეთი ყველა ვარიანტში განწირული ყოფილა. ეს უკვე დამრიგებლის პასუხისმგებლობაა.

პიცურკას მუტუს ნასვლაზე არაფერი გაუგია: *„ნამდვილად არ ვიცი, რა გადაწყვეტილება მიიღო ადრიანმა. მე არაფერი მსმენია. როგორც ვიცი, საქმის კურსში არ არის ფეხბურთის ფედერაციაც. სიმართლე გითხრათ, გაკვირვებული ვარ".*

მოკლედ, ჭორია ეს ყველაფერი თუ მართალი, მალე გამოჩნდება. მანამდე კი შეგახსენებთ, რომ მუტუს ნაკრებში დებიუტი 2000 წელს ჰქონდა. ამ ხნის განმავლობაში „ტრიკოლორის" მაისურით მან 64 მატჩი ჩაატარა და 29 გოლი გაიტანა.

**გიორგი ბელაშვილი**





ვერსია

# საბოტაჟი?

## სერია A-ს ფრანგი ვარსკვლავები დომენეკის წინააღმდეგ

ავსტრიის ნაკრებთან მარცხის შემდეგ ფრანგების მწვრთნელი **რაიმონ დომენეკი** დიდი ზეწოლის ქვეშაა. საინტერესოა, რომ ნაგებას აბრალებენ „რომას" მცველ **ფილიპ მექსეს**, რომელმაც ორი მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და ორჯერვე ფრანგებს ეს გოლებად დაუჯდათ. ამას დაემატა ნაკრებიდან **დავიდ ტრეზეგესა** და მეკარე **სებასტიან ფრეის** წასვლა. ნუთუ, სერია A-ში მოთამაშე ფრანგების მხრიდან საბოტაჟის მოწმენი ვხდებით?

ფრანგულმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა" გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ევრო 2008-ზე „ლურჯების" ფიასკოს შემდეგ, ნაკრების მწვრთნელად დომენეკის დარჩენის ერთადერთი მოტივი საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პოლიტიკა იყო. აშკარაა, რომ ფედერაციას სურდა, პოსტზე დაეტოვებინა უნებისყოფო მწვრთნელი, ვიდრე შეეცვალა ის, მაგალითად, **დიდიე დეშამით**, რომელსაც ვერ გააკონტროლებდნენ.

ამაში სიურპრიზი არ ყოფილა და დიდი გენიოსობაც არ სჭირდება იმის გააზრებას, რომ დომენეკი სამწვრთნელო ნიჭის გამო არ დაუტოვებიათ. ახლა მის მხარდამჭერად მოგვევლინა ფედერაციის მხოლოდ რამდენიმე მაღალჩინოსანი. 3 ივლისის საგანგებო შეხვედრაზე, რომლის დროსაც მოსიე რაიმონის მომავალი უნდა გარკვეულიყო, ოფიციალურად მოწვეული 19 პირიდან არსებულ „რეჟიმს" ხმა 18-მა მისცა.

ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებზე 20 დელეგატიდან ძველ მმართველს მხოლოდ ორმა არ დაუჭირა მხარი. ვიცე-პრეზიდენტმა **ბერნარ ბუკურმა** ოთახი შეკრების დასრულებამდე, უხმაუროდ დატოვა, **კრისტიან ტენტურიემ** კი - ხმის მიცემაზე უარი თქვა. დომენეკისთვის თანამდებობის შენარჩუნება ნეპოტიზმის გამოვლინებაა და სწორედ ეს აძლევს ძალას საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ჟან-პიერ ესკალეტს**, რომელიც ამტკიცებს, რომ - „ფედერაცია ოჯახია და არა კლანი".

მაგრამ ქვეყნის მთავარი ფრანგული გუნდი ცალკეული სუბიექტია და არა რომელიმე კლანის საკუთრება. „კლანში" მან მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონი გუნდი და მისი წევრი დეშამი იგულისხმა. საინტერესოა, როგორ მოახერხებს დომენეკი ამ პოლიტიკურ ბრძოლაში საკუთარი მოვალეობის შესრულებას? ერთ-ერთი, რაც მან უნდა გააკეთოს, ისაა, რომ საბოტაჟს შეებრძოლოს, უამრავი ადამიანი განაწყოს იტალიელების წინააღმდეგ განსაკუთრებით, ეს სერია A-ს ვარსკვლავებს ეხება.

ტრეზეგე, ბოლო რვა წლის განმავლობაში „იუვეს" თავდასხმის ლიდერი, ერთ-ერთი მათგანია, რომელსაც იგნორირება გაუკეთეს. მეორე კი მეკარე ფრეია, რომელიც, დომენეკის გარდა, ყველას ევროპის საუკეთესო მეკარედ მიაჩნია. ამ ზაფხულს „ტრეზეგოლმა" ნაკრებიდან წასვლის შესახებ განაცხადა, და ეს მოხდა მას მერე, რაც დომენეკი პოსტზე დატოვეს. მოგვიანებით ანალოგიური ნაბიჯი გადადგა ფრეიმაც. ეს იყო პროტესტი მწვრთნელის მიმართ. ამავე დროს, ტრეზეგემაც და ფრეიმაც აღნიშნეს, რომ გადაწყვეტილებას შეცვლიან მაშინვე, როგორც კი დომენეკს გაათავისუფლებენ.

ზემოხსენებული წყვილი ცდილობს, რაც შეიძლება ქმედითი ზეწოლა მოახდინოს ნაკრების დღევანდელ დამრიგებელზე, იმ იმედით, რომ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია საკუთარ მარიონეტს მალე შეცვლის. მაგრამ ნუთუ დაავიწყდათ ტრეზეგესა და ფრეის ფილიპ მექსეს არსებობა? ის ხომ სიამოვნებით მოაწერდა ხელს ამ გეგმაში მონაწილეობას? და ეს ხომ ის მექსეა, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში არ სცნობდა დომენეკი?

26 წლის ცენტრალური მცველი „რომაში" 2004 წელს „ოსერიდან" გადავიდა. გასული სამი სეზონის განმავლობაში მას სერია A-ს ერთ-ერთ საუკეთესო მცველად მიიჩნევდნენ და სპეციალისტებს აზრი არც დღეს შეუცვლიათ. ახლახან იყო, **ზინედინ ზიდანმა** რომ აღნიშნა - მექსეს შეუძლია ახალი **ლილიან ტურამი** გახდესო. დომენეკი მას მთელი ამ ხნის განმავლობაში აკვირდებოდა. თითქოს აპირებდა კიდეც მის წაყვანას ევრო 2008-ზე, მაგრამ ბოლო მომენტში **ჟან-ალენ ბუმსონგით** შეცვალა.

წლეულს, თებერვალში, ფედერაციის პრეზიდენტმა ესკალეტმა საქვეყნოდ გაკიცხა მექსე, როცა ის... „რომა"-„ინტერის" მატჩიდან უსამართლოდ გააძევეს. *„ასეთი გამოცდილი ფეხბურთელი ასე არ უნდა იქცეოდეს"* - დაასკვნა ესკალეტმა და იქვე დასძინა, რომ მექსემ ევრო 2008-ზე გამგზავრების შანსი დაკარგა.

*„ის უყვართ ფრანგ გულშემატკივრებს, საფეხბურთო ხელისუფლებას კი - არა. საევროპო სიაში მისი მოხვედრა ნულის ტოლია. მას ცუდი ურთიერთობა აქვს დომენეკთან. ტექნიკურად, ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ არ უნდა გამოიძახონ ის. ყველასათვის ნათელია, რომ მექსეს იგნორირებას სპორტული მოტივი არ უდევს საფუძვლად"* - ესეც ესკალეტის სიტყვები გახლავთ.

ამიტომ, ავსტრიასთან მატჩისთვის მისი მიწვევა უცნაური გადაწყვეტილება იყო. მექსეს ბრალი გახლავთ ავსტრიელთა პირველი გოლი, როცა მან საჯარიმო დარტყმისას სიტუაცია ვერ გააკონტროლა და მისი ფეხიდან ბურთი კარში აღმოჩნდა. ასევე, გავიხსენოთ მასპინძელთა სასარგებლოდ დანიშნული 11-მეტრიანის ეპიზოდიც, როცა „რომას" მცველმა პირდაპირ არბიტრის თვალწინ ერთ-ერთი ავსტრიელი რაგბის წესებით შეაჩერა.

იმის მტკიცება, რომ ორივე გოლი მხოლოდ მექსეს ბრალი იყო, არ იქნება მართალი, მაგრამ ვინ იცის, იქნებ კონსპირაციული მოქმედების შედეგია ჯოხის მცველზე გადატეხა? იმ ფეხბურთელს, რომელსაც დომენეკი პირისპირ მანამდე არასდროს ენახა, ეწყინება მწვრთნელის წასვლა? საეჭვოა.

მოკლედ, ტრეზეგე წავიდა, ფრეიც... მექსემ ავსტრიას გაამარჯვებინა. როგორ ფიქრობთ, სერია A-ს ფრანგული ლეგიონი დომენეკს საბოტაჟს არ უწყობს?

მოამზადა
**დავით ჩუბინიძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა


რობინიო

უცნაური შემთხვევა

# რობინიომ ჩილეს უპასუხა

გასულ უქმეებზე ბრაზილიის ნაკრები ჩილეს ეწვია. მუნდიალის შესარჩევი მატჩი პენტაკამპეონების უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა, 3:0. ბრაზილიელებმა გასახდელის კედელზე წარწერა დატოვეს - მსოფლიოს საუკეთესო გუნდს მეტი პატივისცემით უნდა მოპყრობოდითო.

ჩილელებმა სტუმრებს საუცხოო პირობები შეუქმნეს. გულშემატკივრებმა ბრაზილიელი ვარსკვლავები გულთბილად მიიღეს. მაშ, რას ნიშნავდა ეს წარწერა? **რობინიომ** აღიარა, რომ ეს მისი ნახელავი იყო. „მანჩესტერ სიტის" ახალწვეულმა განმარტა, რომ ამ ფორმით მან ჩილელი ფეხბურთელების მედიდურობას გასცა პასუხი: *„სანტიაგოში რომ ჩამოვედით, დაიქადნეს, ბრაზილიას კუდით ქვას ვასროლინებთო. ეგონათ, ჩვენთან იოლი გასეირნება ელოდათ. ყველამ ნახა, თუ როგორ დასრულდა მატჩი. მეტოქეს მეტი პატივისცემა და მოკრძალება უნდა გამოეჩინა."*

ჩილეში სტუმრობამდე ბრაზილიამ ზედიზედ სამი უგოლო მატჩი ჩაატარა. უფრო მეტიც, მან ვენესუელასთან ამხანაგური და პარაგვაისთან მუნდიალის შესარჩევი შეხვედრები წააგო. **კარლოს დუნგას** პოზიციები საგრძნობლად შესუსტდა. მის შეგირდებს ჩილეში ქულები რომ დაეკარგათ, მთავარ მწვრთნელს დათხოვნა არ ასცდებოდა. გუშინ ბრაზილიამ ბოლივიას უმასპინძლა. რობინიომ იმედი გამოთქვა, რომ დუნგა ნაკრებში მუნდიალის დასრულებამდე დარჩება.

უსიამოვნება

# ვესტ ჰემმა ეთერინგტონი სიკვდილს გადაარჩინა


ვესტ ჰემი მეთიუ ეთერინგტონს ვალის გადახდაში დაეხმარება

„ვესტ ჰემის" გარემარბი **მეთიუ ეთერინგტონი** დიდ შარში გაეხვა. 27 წლის ფეხბურთელმა ტოტალიზატორში დიდი ფული წააგო. „დეილი მეილს" თუ დავუჯერებთ, საუბარია 800 ათას გირვანქაზე, ანუ მილიონ-ნახევარ დოლარზე. ეთერინგტონს, რომელსაც კვირაში 30 ათას გირვანქას უხდიან, ერთბაშად ამხელა თანხა არ გააჩნია. მეთიუს სახლში მუქარის ზარები გაისმა. ორიოდე დღის წინ მას მოკვლითაც კი დაემუქრნენ, თუ თანხის ნაწილს ერთი კვირის განმავლობაში არ დაფარავდა.

ფეხბურთელმა სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, დახმარებისათვის კლუბის დირექტორატს მიმართა. „ვესტ ჰემის" ხელმძღვანელობამ მას ყურადღებით მოუსმინა და უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო. „ჩაქუჩებმა" ფეხბურთელს ვალების გასასტუმრებლად 300 ათასი გირვანქა (600 ათასი დოლარი) ასესხეს. ამავე დროს, „ვესტ ჰემმა" ეთერინგტონს კატეგორიულად მოსთხოვა ფსიქოლოგთან კონსულტაციებზე სიარული. კლუბის მესვეურთა აზრით, აზარტული თამაშების მიმართ ავადმყოფური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება მხოლოდ ამ გზით შეიძლება.

ლონდონური კლუბის ერთ-ერთმა მოხელემ „დეილი მეილის" მიმომხილველს ასეთი კომენტარი მისცა: *„მეთიუს სერიოზული პრობლემები აქვს. დირექტორებმა გადაწყვიტეს, რომ მას აუცილებლად უნდა დაეხმარონ. წარმოიდგინეთ, რამხელა ვაჟკაცობა დასჭირდა მას, რათა ჩვენთან ასეთი სათხოვარით მოსულიყო. მეთიუს სურს, ვალი რაც შეიძლება სწრაფად გადაიხადოს და ეს კოშმარი საბოლოოდ დაივიწყოს. კლუბმა თავი ვალდებულად ჩათვალა, რომ მას პრობლემის გადაწყვეტაში დაეხმაროს."*

"ვესტ ჰემის" პრესსამსახურმა ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა. კლუბი ფეხბურთელს სრულ მხარდაჭერას უცხადებს და ავადმყოფობისაგან განკურნებაშიც დახმარებას ჰპირდება. ეთერინგტონი ფსიქოლოგებთან ორი წლის წინაც ინტენსიურად დაიარებოდა. ერთი ხანობა, მან აზარტულ თამაშებს ზურგი შეაქცია, მაგრამ შემდეგ ისევ აიშვა და სავალალო მდგომარეობაში ამოჰყო თავი. გასულ წელს, ლონდონის პოლიციამ მეთიუ ავტომანქანის საჭესთან ნასვამ მდგომარეობაში დააკავა. ის 2 ათასი გირვანქით დააჯარიმეს და **ტონი ადამსის** ნარკოლოგიურ კლინიკაში მოათავსეს, რათა ალკოჰოლიზმისაგან განეკურნათ.

ავტობიოგრაფია

# კარაგერი მთელი ლივერპულის წინააღმდეგ

დღეიდან ინგლისის წიგნის მაღაზიებში **ჯეიმი კარაგერის** ავტობიოგრაფია გაიყიდება. გამომცემელთა ნებართვით, "დეილი მეილის" მიმომხილველი წიგნს ყველაზე ადრე გაეცნო და მკითხველს მისი მოკლე ანოტაცია შესთავაზა. 30 წლის მცველი "ლივერპულის" ბოსებს, **ტომ ჰიკსსა** და **ჯორჯ ჯილეტს** მიწასთან ასწორებს. ამერიკელი მილიარდერები ასე ძალიან ჯერ არავის გაუკრიტიკებია: *"სამწუხაროა, რომ "ლივერპული" ორ გულქვა ბიზნესმენს მივყიდეთ. მათთვის ჩვენი კლუბი მხოლოდ ფულის კეთების საშუალება იყო. მათ "ლივერპული" საქველმოქმედო მიზნით არ შეუძენიათ. იმთავითვე ნათელი იყო, რომ ეს ადამიანები 50 წლის განმავლობაში დაგროვებულ მილიონებს "ლივერპულის" კეთილდღეობისათვის არ დახარჯავდნენ. მათ გვიყიდეს იმიტომ, რომ ახალი სტადიონი აეშენებინათ, მეტი ფული მოეხვეჭათ და კლუბის ფასი გაზრდილიყო."*

კარაგერმა "ენფილდზე" სადებიუტო მატჩი შორეულ 1997 წელს ჩაატარა. ჰიკსმა და ჯილეტმა "ლივერპული" 2007 წლის მარტში შეიძინეს. მათ კლუბში მისვლისთანავე პირობა დადეს, რომ ახალ არენას ააშენებდნენ, თანაც პროექტის გასახორციელებლად პირად სახსრებს დახარჯავდნენ და კლუბს ვალს არ დაადებდნენ. სინამდვილეში, ყველაფერი პირიქით მოხდა. ამერიკელებმა "ლივერპულის" აქციებიც საბანკო სესხით იყიდეს. თანხის გასტუმრებას განვლილ ერთ წელიწადში 30 მილიონი გირვანქა მოხმარდა.

*"განგაშის ზარი მაშინ უნდა შემოგვეკრა, როდესაც ინვესტორებმა პირობა დაარღვიეს. არც ახალი სტადიონის პროექტი ჩანს, რაც მე პირადად ძალიან მაღიზიანებს,"* - ამბობს კარაგერი. კლუბში ახალი მფლობელების მისვლისას სტადიონის პროექტი უკვე შექმნილი იყო, მაგრამ ამერიკელებმა მის განხორციელებაზე უარი განაცხადეს და ეს საქმე მათ ნაცნობ ტეხასელ არქიტექტორს დაავალეს. ჰიკსი და ჯილეტი სტადიონის გარშემო შექმნილ გაურკვევლობას მსოფლიოს ეკონომიკაში დაწყებულ სტაგნაციას აბრალებენ. ახალი არენა, წესით, 2011 წელს უნდა გახსნილიყო. "ლივერპულის" ბოსები ამბობენ, რომ სტადიონის დასრულება მცირე ხნით გადაიდება.

კარაგერი იხსენებს, რომ კლუბის ბოსებისა და რაფა ბენიტესის ურთიერთობა 2007 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ დაიძაბა. იმ ფინალში "ლივერპულმა" "მილანთან" წააგო. მწვრთნელმა ინვესტორებისაგან შემადგენლობის გაძლიერება მოითხოვა. ჰიკსმა და ჯილეტმა ჯიბეზე ხელის გაკვრა არ ინდომეს. უთანხმოება აშკარა კონფლიქტში გადაიზარდა. ბენიტესს კინაღამ კარისაკენ მიუთითეს. "ლივერპულის" ერთ-ერთი ბოსი, ტომ ჰიკსი **იურგენ კლინსმანს** შეხვდა და გუნდის გაძღოლა შესთავაზა. ენფილდელმა ფანებმა ჰიკსი და ჯილეტი ჭირის დღესავით შეიძულეს.

კარაგერი ბენიტესსაც აკრიტიკებს. მისი აზრით, მწვრთნელი უტაქტოდ მოიქცა, როდესაც დირექტორებთან უთანხმოების თაობაზე საჯაროდ ისაუბრა: *"მწვრთნელი შეეცადა, მათთვის ძირი გამოეთხარა. მათ კი, საპასუხოდ, მწვრთნელის დასამარება სცადეს. ეს ბრძოლა პოლიტიკურ დაპირისპირებას დაემგვანა. გულშემატკივარი მოვლენებს თეთრ და შავ ფერებში ხედავდა. თეთრი ბენიტესი იყო, შავი - ჯილეტი და ჰიკსი, თუმცა ჩემს თვალში ორივე მხარე დამნაშავე იყო, რის გამოც ყველაფერი ნაცრისფრად მეჩვენებოდა."*


რაფა ბენიტესი და ჯეიმი კარაგერი

ინციდენტი

# რობი კინი, მეშვიდე გაძარცვული ლივერპულელი

ბრიტანელი ყაჩაღები "ლივერპულის" ვარსკვლავებს ემტერებიან. მათი მორიგი მს[illegible]პლი **რობი კინი** გახდა. ქურდები ირლ[illegible]ლი თავდამსხმელის ბინაში გასულ შაბათს შეიპარნენ. იმ დროს რობი ნაკრებში იმყოფებოდა და საქართველოს წინააღმდეგ თამაშობდა. ბოროტმოქმედებმა სახლიდან ძვირფასი საათი და სამკაულები წაიღეს. კინი ამ სახლში დროებით ცხოვრობდა. ლონდონიდან ლივერპულში ტრანსფერის შემდეგ მას შესაფერისი საცხოვრებელი ჯერაც არ უპოვია.

უცნაურია, მაგრამ ბოლო ორი წლის განმავლობაში კიდევ ექვსი ლივერპულელი ფეხბურთელის სახლი გაიქურდა იმ დროს, როდესაც ვარსკვლავები მინდორზე იმყოფებოდნენ. გასული წლის დეკემბერში დამნაშავეებმა გუნდის კაპიტნის, **სტივ ჯერარდის** საცხოვრებელში შეაღწიეს. ამ დროს ინგლისელი ვარსკვლავი ჩემპიონთა ლიგის მატჩის ჩასატარებლად მარსელში იმყოფებოდა. ოთხ ბოროტმოქმედს შინ სტივის მეუღლე, **ალექს კურანი** დახვდა. ამ შემთხვევამ ფეხბურთელი ისე შეაშინა, რომ სახლის უსაფრთხოება კიდევ უფრო გააძლიერა. 2006 წელს ქურდებმა **პიტერ კრაუჩისა** და **იერჟი დუდეკის**, 2007 წელს კი - **დირკ კუიტის**, **დანიელ აგერისა** და **პეპე რეინას** სახლები გატეხეს.

## კაპელოს სტუმრად თამაში ურჩევნია

ხორვატიასთან გუშინდელი მატჩის წინ **ფაბიო კაპელომ** უცნაური განცხადება გააკეთა - ინგლისის ნაკრები სტუმრად უფრო კარგად თამაშობს, ვიდრე მშობლიურ „უემბლიზეო". ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის მაღალჩინოსნებმა კომენტარისაგან თავი შეიკავეს. ასოციაციას ახალი „უემბლის" აშენება სარეკორდო თანხა, 800 მილიონი გირვანქა დაუჯდა. ინგლისელთა უმთავრესი არენა, სადაც მხოლოდ ნაკრების საშინაო მატჩები და სათასო ფინალები იმართება, მსოფლიოს უძვირესი სტადიონია. ინგლისი ევროპის ჩემპიონატზე ვერ გავიდა. წინა შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩში, გუნდმა „უემბლიზე" ხორვატიასთან წააგო. მაყურებელმა საყვარელ გუნდს სტვენა აუტეხა. გულშემატკივარი ფეხბურთელებს იმ წარუმატებლობას დღემდე ვერ პატიობს. საშინაო მატჩებისას ნაკრები წარმოუდგენელი წნეხის ქვეშ ექცევა. კაპელო: *„ამ ეტაპზე სტუმრად უკეთ ვთამაშობთ, ვიდრე შინ. სტუმრად ფეხბურთელები საკუთარ ძალებში უფრო დარწმუნებულები არიან. იმედია, ესაა უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც შინ თამაშს მეტოქის მოედანზე თამაში მირჩევნია. როდესაც „უემბლიზე" გამოვდივართ, საკმარისია ერთი უმნიშვნელო შეცდომა და მაყურებელი მაშინვე გამაყრუებლად გვისტვენს."*

## მანჩინი ინგლისში მიდის

„ინტერის" ყოფილი თავკაცი **რობერტო მანჩინი** ინგლისში მიემგზავრება. ეს ინფორმაცია იტალიელი მწვრთნელის მეგობარმა, **დარიო მარკოლინიმ** გაავრცელა. მარკოლინი ამჟამად „მონცაში" მოღვაწეობს. მისი მტკიცებით, მანჩინი ნისლიან ალბიონს უახლოეს მომავალში მიაშურებს. ცნობილია, რომ მანჩინის „ვესტ ჰემი" ეპატიჟებოდა. რობერტომ ლონდონელთა შეთავაზება თავიდანვე უარყო. მარკოლინი ამბობს, რომ მანჩინის სხვა კლუბები არ დაკავშირებიან. მას სურს, რამდენიმე თვე ინგლისში გაატაროს და საფუძვლიანად შეისწავლოს ინგლისური ენა. დღესავით ნათელია, რომ მწვრთნელი ინგლისში სამუშაოს შოვნასაც აპირებს. იტალიელი მიმომხილველების ვარაუდით, მანჩინის მომავალი კლუბი აუცილებლად უცხოური იქნება.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალბურთი. ინტერვიუ ირაკლი კიკალიშვილთან

# კიკალიშვილი მაისურაძესთან მოვიდა და მაისურაძესთან ერთად წავა

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის ალბათ, ყველაზე რეალურმა კანდიდატმა **გია ნაცვლიშვილმა** თავისი პრიორიტეტები გაახმოვანა. თუკი იგი სეოკ-ის პრეზიდენტი გახდება, ლონდონის ოლიმპიადისთვის გუნდური სათამაშო სახეობებიდან, წყალბურთსა და ხელბურთზე გააკეთებს აქცენტს.

ეს ალბათ დიდი შვება იქნება ჩვენი წყალბურთელებისთვის, რომლებსაც წლების განმავლობაში უჭირთ და იშვიათი გამონათებების გარდა, თითქმის ყოველთვის ბედის ანაბარა იყვნენ. გუშინ საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ნაკრების დროებით თავკაც **ირაკლი კიკალიშვილს** გავესაუბრეთ. როგორც იცით, სამიოდე თვის წინ, **სოსო მაისურაძემ** გუნდი დატოვა და ახალი მწვრთნელის დანიშვნამდე, იგი მისმა ასისტენტმა ირაკლი კიკალიშვილმა შეცვალა.

- გია ნაცვლიშვილი შეხვდა საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ხელმძღვანელობას და საკუთარ გეგმებზე ისაუბრა. მე იმ შეხვედრაზე არ ვყოფილვარ, მაგრამ როგორც გავიგე, ისნის სტანდარტული აუზის გარემონტებასა და ეროვნული ნაკრების ლონდონის ოლიმპიადაზე გასვლის პერსპექტივებზე ყოფილა ლაპარაკი.

- **კარგი, ვთქვათ ჩაიბარა ნაკრები** ვეტს, ამას რა სჯობია. ნეტავ ჩამოვიდეს, ჩაიბაროს ნაკრები და ყველა ულაპარაკოდ დავუდგებით გვერდით. მისი დონის სპორტსმენი და სპეციალისტი რომ აუცილებლად ნაგვადგება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ საქართველოს ნაკრებში მხოლოდ დროებით ვარ მწვრთნელად. ახლახან სპორტის დეპარტამენტმა თანხა გამოგვიყო, „ლაგუნა ვერეს" აუზზე ვარჯიშის საშუალება მოგვეცა და გუნდს ჯერ ვერ დავტოვებდი. ბიჭებს ოქტომბრამდე ვავარჯიშებ და მერე წავალ. მე სოსო მაისურაძის გაზრდილი ვარ, ნაკრებში ერთად მოვედით და მინდა, მასთან ერთადვე წავიდე. რომ მინდოდეს, უპრობლემოდ დავრჩებოდი, მაგრამ ასე ვერ მოვიქცევი. თანაც, ამჟამად საქართველოში ერთადერთი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვარ და ნაკრების თავკაცობით გუნდს პრობლემა შეექმნება. საქმე ის არის, რომ ყველა ნაკრები ვალდებულია შეჯიბრებაზე საკუთარი მსაჯი ჰყავდეს. თუკი არბიტრი მწვრთნელია, მაშინ იგი ველარ იმსაჯებს. ადრე იყო საშუალება, რომ უცხოელი მსაჯისთვის გადაგეხადა გარკვეული თანხა და შენი ქვეყნის სახელით ემსაჯა, მაგრამ ახლა ესეც აკრძალეს.

კობრივი ჩემპიონატების რეგულარულად ჩატარება.

**- ახლახან, „ლაგუნა ვერეს" ბაზაზე წყალბურთის კლუბი „ივერია" ჩამოყალიბდა.**

- კარგი წამოწყებაა, მაგრამ მხოლოდ ამით ფონს ვერ გავალთ. თანაც „ივერია" უმცროსების გუნდია, რომლის გაყვანაც 2010 წლის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე იგეგმება. გაცილებით მასშტაბური სამუშაოების ჩატარება გვჭირდება. მოკლედ, წყალბურთში სოლიდური ფინანსები უნდა ჩაიდოს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ წყალბურთელები და მწვრთნელები წლების განმავლობაში შიშველი ენთუზიაზმის ხარჯზე, გასამრჯელოს გარეშე ვმუშაობთ. ასეთ ვითარებაში სერიოზულ წარმატებებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. წავიდა ის პოსტსაბჭოური დრო, როდესაც არავის უჭირდა და სპორტსმენებს თავისუფლად შეეძლოთ მხოლოდ საზღვარგარეთული შეჯიბრებებისთვის ევარჯიშათ. ახლა სხვა დროა, წყალბურთელებს ოჯახები აქვთ შესანახი და თუ გასამრჯელო არ აილეს, მხოლოდ უცხოურ ტურნირებზე სიარულით როგორ უნდა ირჩინონ თავი?

**- საწყლოსნო სახეობათა ფედერაციას საარჩევნო ყრილობა როდის**



საქართველო ნაკრები. მეორე რიგში მარცხნიდან პირველი ირაკლი კიკალიშვილი; მარჯვნიდან პირველი სოსო მაისურაძე

**- ამას გარდა, ნაცვლიშვილის თქმით, მას რუსეთის ნაკრების ვეტერან ვარსკვლავ რეზო ჩომახიძის ეროვნული ნაკრების მოთამაშე მწვრთნელად ხილვა სურს. რეზო წლის ბოლოს აპირებს თბილისში ჩამოსვლას...**

- დიახ, ესეც გავიგე, მაგრამ როგორც ვიცი, რეზოს ჯერჯერობით სხვა გეგმები აქვს. ორიოდე თვის წინ, მას პირადად ველაპარაკე და მითხრა - ისე ვარ დაღლილი წყალბურთით, რომ დასვენების მეტი არაფერი მინდაო. ამას გარდა, მას რუსეთის „შტურმთან" კიდევ ერთი წლით აკავშირებს კონტრაქტი და სამშობლოში რომ დაბრუნდეს, ხელშეკრულება უნდა გაწყვიტოს. თუმცა, თუკი რეზო დაბრუნებას გადაწყვიტს, ამას რა სჯობია.

**ჩომახიძემ ან სხვა სპეციალისტმა. რა არის საჭირო იმისთვის, რომ უახლოეს წლებში გუნდმა წარმატებებს მიაღწიოს?**

- უამრავი საკითხის მოგვარებაა აუცილებელი. პირველ რიგში კი, ბაზის პრობლემა უნდა გადაიჭრას. წლების განმავლობაში, ერთადერთი სტანდარტული აუზი „ლაგუნა ვერეა" და იქაც მხოლოდ თბილ ამინდებში შეიძლება ვარჯიში. დანარჩენ დროს იძულებულები ვართ, მოკლე აუზში ვივარჯიშოთ. ეს იგივეა, რომ ფეხბურთელები ფუტსალში ავარჯიშო და მერე ფეხბურთში გაიყვანო შეჯიბრებაზე. ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კლუბების ჩამოყალიბება და საქართველოს ეროვნული თუ ასაკობრივი ჩემპიონატების რეგულარულად ჩატარება.

**აქვს და პრეზიდენტობის კანდიდატები ხომ არ გამოჩენილან?**

- არჩევნები, წესით, ათ ნოემბრამდე უნდა ჩატარდეს. ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატზე, ჯერ არაფერი გამიგია. ალბათ, განაცხადების შეტანის ვადის ამოწურვამდე ერთი-ორი კვირით ადრე გამოჩნდებიან მსურველები. სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ახალი თავკაცი შეძლებული და გავლენიანი კი უნდა იყოს, მაგრამ სპონსორების მოძიებაც უნდა შეეძლოს. არა მგონია, აბრამოვიჩისნაირი შეძლებული კაცი გახდეს ჩვენი პრეზიდენტი, რომელიც საკუთარი ჯიბიდან უხვად დახარჯავს ფულს.

**კობა ხატისაშვილი**

ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი

ქამრიანი ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი

# კორეაში პრეზიდენტი იჭიდავებს

**აკაკი ბორცვაძე** ასაკის მიუხედავად, საკმაოდ ენერგიული, ენთუზიასტი და ორიგინალური კაცია. იგი საქართველოს ქამრიანი ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტია და მიუხედავად იმისა, რომ სპონსორების ყურადღებით განებივრებული არ არის, მაინც ახერხებს ჩვენი სპორტსმენების თითქმის ყველა ოფიციალურ შეჯიბრებაზე წაყვანას. ხშირად, ამას საკუთარი ჯიბიდან გაღებული ფულითაც აკეთებს. 25 სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე, კორეის ქალაქი ბუსანი მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს, სადაც ბორცვაძე და ერთი მოჭიდავე საკუთარი ხარჯით მიდიან.

- ფინანსურად აქამდეც არ ვიყავით დალხენილები. დღეს კი ისეთი ვითარებაა და ისე უჭირს ქვეყანას, რომ კაციშვილი ვერ ვნახეთ, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე წასვლაში ფინანსურად რომ დაგვეხმარებოდა. ისე, მეც არ ვარ დალხენილი. ომის დროს, ერედვში სახლი ისე დამიბომბეს, ნანგრევების გარდა ალარაფერი დარჩა. თუმცა მაინც გადავწყვიტე, თუკი არავინ დამაფინანსებს, მსოფლიო ჩემპიონატზე როგორმე საკუთარი ხარჯით წავალ.

წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე, საკმაოდ კარგი შედეგი ვაჩვენეთ. სამი კაცი ვაჭიდავეთ და უმედლოდ არც ერთი არ დარჩენილა. **ბელდუხ გავაშელიშვილი** (+90 კგ) ჩემპიონი გახდა, **მალხაზ ქურდიანი** (66) და **მალხაზ ჯორბენაძე** (90) მესამე ადგილზე გავიდნენ. იმედი მაქვს, რომ თავს არც კორეაში ...ჭრცხვენთ.

სამწუხაროდ, ჩემი მწირი შესაძლებლობები მხოლოდ იმის საშუალებას მაძლევს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთადერთი მოჭიდავე - ბელდუხ გავაშელიშვილი წავიყვანო. იგი მძიმე წონაში იჭიდავებს. მართალია, უკვე ასაკოვანი ვარ, მაგრამ რაკიღა ამხელა გზაზე მივდივარ, არც მე ვიქნები უქმად და აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ვიჭიდავებ. ამის გამოცდილება უკვე მაქვს - შარშან ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე.

აღსანიშნავია, რომ ქამრიანი ჭიდაობა იანვრიდან ოფიციალურადაა შესული ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოლიმპიურ სახეობად გახდომის პერსპექტივა აქვს. ჩემი აზრით, სხვანაირად, ფილა თავის შემადგენლობაში არ შეგვიყვანდა.

**კობა ხატისაშვილი**

ჩოგბურთი



ლეილა მესხი

# ქალთა ჩაგვეშალა, ვაჟთათვის ვემზადებით

აგვისტოს ომმა ბევრ რამეში დაგვხია ქართველები უკან. ცხადია, თავისი მსახვრალი ხელი სპორტსაც დაატყო და რამდენიმე მნიშვნელოვანი ტურნირისა თუ მატჩის ჩაშლა-გადატანა გახდა საჭირო. სექტემბრის დასაწყისში, თბილისში 13 წლის განმავლობაში საჩოგბურთო ტურნირი იმართებოდა, რომელსაც ბათუმის ტურნირიც ემატებოდა და საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა - მრავალი ქვეყნის ჩოგბურთელები სტუმრობდნენ თბილისს.

წლეულს ასეთი ფუფუნება დედაქალაქელებს აღარ ექნებათ და მიზეზიც გასაგებია - ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მიზანშეუწონლად მიიჩნია თბილისში საერთაშორისო ტურნირის ჩატარება. ცხადია, ამ საკითხში ყველაზე კომპეტენტური საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ლეილა მესხია** და ჩვენც მას დავეკითხეთ ტურნირის პერსპექტივაზე.

- ომის გამო, იძულებული გავხდით, თბილისისა და ბათუმის ტურნირები გაგვეუქმებინა. გადაწყვეტილება საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად მივიღეთ. ტურნირის გაუქმების შესახებ, წესით, საერთაშორისო ფედერაციას ორგანიზატორმა 3 თვით ადრე უნდა აცნობოს. თუ ასე არ მოიქცევი, საკმაოდ დიდ ჯარიმას დაგაკისრებენ. ჩვენი შემთხვევა განსხვავებული იყო და ანგარიში გაგვიწიეს. ის კი არადა, საწევრო ფულიც კი უკან დაგვიბრუნეს. კარგი და საქმიანი ურთიერთობები შენარჩუნებულია, - საერთაშორისო ფედერაციაში ჩვენი პროფესიონალიზმის სჯერათ და კვლავაც გვიცხადებენ ნდობას, რაც იმის ნიშანია, რომ მომავალ წელს აღნიშნული ტურნირები იმავე ვადებში ისევ ჩატარდება.

საბედნიეროდ, ზურგი არც ჩვენს სპონსორებს შეუქცევიათ: „ბორჯომის", „ავსტრიის ავიახაზებისა" და ბათუმის ტერმინალის ხელმძღვანელების თანადგომისა და ერთგულებისათვის მადლობა გადავუხადეთ. მათი მხარდაჭერის იმედი მომავალშიც გვექნება.

**- ერთ კვირაში საქართველოს ვაჟთა ნაკრები დევისის თასზე ბელარუსს უნდა შეხვდეს. ამ შეჯიბრებისთვის როგორ ემზადებით?**

- ბელარუსთან მატჩი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. საქმე პირველ ჯგუფში დარჩენა-გავარდნას ეხება და დიდი ძალისხმევა გვმართებს, რომ პირველ ჯგუფში ორწლიანი ყოფნა მინიმუმ ერთი წლით კიდევ გავიხანგრძლივოთ. ბელარუსს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავს, მიუხედავად ამისა, გამარჯვებას ვგეგმავთ. საბედნიეროდ, ირაკლი ლაბაძე ნელ-ნელა შედის ფორმაში, სათამაშო პრაქტიკაც აქვს და მისი დიდად გვეიმედება. უკეთესობისკენ მისდის საქმე ლადო ჩიხლაძესაც - ტრავმის შემდეგ, იცით, რომ გაზაფხულზე ბაქოსა და თბილისის ტურნირში ითამაშა, მერე კი უქმობდა, თუმცა ინტენსიურ წვრთნას გადიოდა მიუნხენში. მართალია, სათამაშო პრაქტიკა არა აქვს, მაგრამ მისი ძალის გვჯერა და უთუოდ იტყვის თავის სათქმელს. გუნდის სხვა წევრები არიან: ნოდარ ითონიშვილი და გიორგი ხრიკაძე. კაპიტანია ვლადიმერ გაბრიჩიძე, მწვრთნელი - ვიქტორ ბაკში. როგორც იცით, ამ ტანდემმა გუნდს სლოვაკეთთან მატჩში უხელმძღვანელა პირველად. მათი მუშაობით კმაყოფილი დავრჩით და კვლავაც ვანდეთ ნაკრების მესაჭეობა.

**- გუნდი თბილისში იკრიბება თუ ბელარუსში წასვლამდე ვერ მოხერხდება ერთობლივი ვარჯიშები?**

- ხვალიდან ნაკრების ყველა წევრი თბილისში შეიკრიბება და რამდენიმე დღე ერთად ივარჯიშებენ. ვფიქრობ, რომ ასეთი წვრთნა ნაყოფიერი აღმოჩნდება.

**- ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გაუქმებულია. ახალ წლამდე საკმაო ხანია დარჩენილი და ამ დროის განმავლობაში თუ აპირებთ ტურნირების გამართვას თბილისში?**

- 7 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ჩატარდება ვაჟთა და ქალთა შორის. ჩემპიონატს გენერალური სპონსორი ჰყავს - კომპანია „რაკინი", რომელიც ჩოგბურთის ფედერაციის სპონსორიც არის და მისი ხელშეწყობით მრავალი ტურნირის გამართვას ვგეგმავთ.

„რაკინის" მეშვეობით საქართველოს ჩემპიონატს სოლიდური საპრიზო ფონდი ექნება - 5000 ამერიკული დოლარის ექვივალენტი ლარებში. რა თქმა უნდა, ფულადი პრიზი მონაწილეთათვის საკმაოდ მიმზიდველია და, ალბათ, ლაბაძისა და ჩიხლაძის გარდა ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი ითამაშებს. „რაკინმა" ერთ კარგ წამოწყებასაც ჩაუყარა საფუძველი: ხვალიდან ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე საჩოგბურთო ტურნირი გაიმართება მოყვარულთა შორის. შეჯიბრება სამ დღეს გასტანს და მონაწილენი და გამარჯვებულები მრავალი პრიზით დაჯილდოვდებიან.

**- ოქტომბრის შემდეგ უქმობა ხანგრძლივი დროით გიწევთ...**

- საქართველოში საერთაშორისო ტურნირს ვერ ჩავატარებთ, მაგრამ ჩვენს ჩოგბურთელებს უქმობა ნამდვილად არ მოუწევთ. ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ ჩვენი ყურადღება ამერიკისკენ იქნება მიპყრობილი - დეკემბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში „ორანჯ ბოულის" ტრადიციული ტურნირი იწყება, რასაც ახალგაზრდათა (18 წლამდე) შორის არაოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატსაც უწოდებენ. დიდი სურვილი გვაქვს, ამერიკაში რამდენიმე ქართველი გაემგზავროს, ფედერაცია ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ჩოგბურთელებს, თუმცა ამის საშუალება ფინანსებმა უნდა მოგვცეს. იმედია, საჭირო თანხა გამოინახება.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეოკ-ი. წინასაარჩევნო კამპანია

# გია ნაცვლიშვილი გადადგა და კონკურენტებსაც იმავესკენ მოუწოდა

## ოლიმპიური ჩემპიონი კიდევ ერთი ბინით დაასაჩუქრეს



მარცხნიდან: გია ნაცვლიშვილი, გიორგი სიჭინავა, დილარ ხაბულიანი, დავით ნამგალაური და ირაკლი ცირეკიძე

ზანდუკელის ხუთში, ძიუდოს ფედერაციის ოფისში ჩვენი შეკრების მიზეზი სასიხარულო იყო – ოლიმპიურ ჩემპიონს, ძიუდოისტ **ირაკლი ცირეკიძეს** საზეიმოდ გადასცეს მორიგი საჩუქარი. თუმცა ფედერაციაში ჩატარებული თავყრილობა მხოლოდ ამით არ ამოწურულა, საგულისხმო განცხადება გააკეთეს, ჯერ **გია ნაცვლიშვილმა**, შემდეგ კი - **შოთა ხაბარელმა**.

ირაკლი ცირეკიძე მოგვიანებით გამოჩნდა და პრესკონფერენციაც დაიწყო, ჟურნალისტების წინაშე წარდგნენ ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი **დილარ ხაბულიანი**, ძიუდოს ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავჯდომარე **დავით ნამგალაური**, არქიტექტურულ სამშენებლო კომპანია „სასკოს" პრეზიდენტი **გიორგი სიჭინავა** და თავად ოლიმპიური ჩემპიონი. თავდაპირველად სიტყვით დილარ ხაბულიანი გამოვიდა:

*„ძიუდოს ფედერაციაში ბოლო წლებში იმდენი საქმე შესრულდა წარმატებით, რაც მანამდე ერთად აღებული არ გაკეთებულა. სწორედ ამ შრომის შედეგია, რომ დღეს თქვენ წინაშე ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი ზის. როდესაც ვიწყებდით, დავუშვათ, საგარეჯოს რაიონში, საიდანაც არის წარმოშობით გია ნაცვლიშვილი, მხოლოდ ერთი დარბაზი იყო, ახლა კი იქ ძიუდოს ცხრა კეთილმოწყობილი დარბაზია, ტატამით, ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილი. ფედერაციის ოთხი წლის მუშაობის ერთგვარი შეჯამებასავით გამოვდის. მინდა გითხრათ, რომ ძალიან დიდი სამუშაო გაკეთდა და რომ არა საქართველოში შექმნილი ვითარება, კიდევ უფრო მეტ მედალს მოვიპოვებდით პეკინში. ოკუპაციამ პეკინში ყველაზე მეტად ძიუდოისტები აზარალა, ჩვენ 9 აგვისტოდან გვიხდებოდა ასპარეზობა, ზუსტად ამ დროს კი დაიწყეს საქართველოს ქალაქების დაბომბვა. ასეთ სიტუაციაში ძალზე რთულია სპორტზე იფიქრო. თუმცა ირაკლი ცირეკიძემ ეს შეძლო და ნამდვილი გმირობა ჩაიდინა, მან საქართველოს ოქროს მედალი მოუპოვა. დღეს თქვენ წინაშეა კომპანია „სასკოს" პრეზიდენტი გიორგი სიჭინავა, რომელიც ირაკლის საჩუქარს გადასცემს".*

გიორგი სიჭინავა „სასკოს" პრეზიდენტი: *„ირაკლის ოლიმპიადის მოგებისთვის გვსურს გადავცეთ საჩუქარი ჩვენი კომპანიისგან. ეს არის ბინა უკვე აშენებულ სახლში, მოსკოვის გამზირზე. ამ ოროთახიან ბინაში ირაკლის უკვე ორ თვეში შეეძლება ცხოვრება. ამას გარდა ჩვენ მას შევთავაზებთ ოთხწლიან სპონსორულ კონტრაქტს, თუკი სურვილი ექნება ჩვენთან თანამშრომლობის"*. გიორგი სიჭინავამ ირაკლი ცირეკიძეს საზეიმოდ გადასცა ბინის ორდერი.

ამით პრესკონფერენციის საზეიმო ნაწილი დასრულდა. შემდეგ განცხადება გააკეთა გია ნაცვლიშვილმა, რომელიც სეოკ-ის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატია: *„დღეს მსურს ორი განცხადება გავაკეთო, თუმცა ამ საკითხებზე მოგვიანებით სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებ. ამ დღეებში, როგორც ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის კანდიდატს, შეხვედრები მქონდა სხვადასხვა ფედერაციის წარმომადგენელთან. ამ შეხვედრების შემდეგ ერთ დასკვნამდე მივედი, რომ ობიექტურობის თვალსაზრისით, აჯობებს, მე დავტოვო თანამდებობა ძიუდოს ფედერაციაში. ვაცხადებ, რომ დღეიდან აღარ ვარ ძიუდოს ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი და არც ძიუდოს ფედერაციის აღმასკომის წევრი. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ყველანი თანაბარ პირობებში ვიყოთ. ასევე მოვუწოდებ სხვა კანდიდატებს, მოიქცნენ ანალოგიურად, დატოვონ თანამდებობები თავიანთ ფედერაციებში. ვფიქრობ, ასე უფრო სამართლიანი იქნება ჩვენი გაჯიბრება. მეორე განცხადება კი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ჩვენი სეოკ-იდან გაგზავნილ ოფიციალურ წერილს ეხება. ძალზე დამამწუხრა ამ წერილის ერთმა ფრაზამ, თითქოს, საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო ფედერაციები ვერ ფუნქციონერიბენ სრულად, რის გამოც უპრიანია, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევნები მოგვიანებით ჩატარდეს. ჩემთვის გაუგებარია, რატომ გაიგზავნა ასეთი ტექსტის წერილის სოკ-ში. რბილად რომ ვთქვათ, ეს არასწორია და ქართულ სპორტს კარგს არ მოუტანს".*

დავით ნამგალაური: *„სპორტული ფედერაციები უკვე ჩვეულ რეჟიმში მუშაობენ. ზოგან შემაჯამებელი სხდომებია, ზოგან დელეგატებს ირჩევენ. ასე რომ, გაუგებარია წერილის შინაარსი. ან ტექნიკურ შეცდომასთან გვაქვს საქმე, ან ვინმეს პირად ინიციატივასთან".*

ის იყო, პრესკონფერენცია უნდა დასრულებულიყო და გია ნაცვლიშვილმა დეტალებზე სასაუბროდ დეპარტამენტის სააქტო დარბაზში მიგვიწვია, რომ სიტყვა ითხოვა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა, რომელიც არ მჯდარა პრესკონფერენციის პრეზიდიუმში. ხაბარელმა აღნიშნა, რომ ცირეკიძის გამარჯვება ნაკრების მწვრთნელთა, ფუნქციონერთა ოთხწლიანი ძალისხმევის შედეგია. ხაბარელმა აღნიშნა, რომ როგორც მწვრთნელი, მაინც არ არის ბოლომდე კმაყოფილი, რადგან მეტის მიღწევაც შეიძლებოდა. ამის შემდეგ მან საგულისხმო განცხადება გააკეთა: *„როგორც აქ ითქვა, ეს შეკრება ერთგვარი შეფასებაცაა ოთხწლიანი მუშაობისა, თუმცა თუ ასეა, გაუგებარია, რატომ გავიგე მე ასეთი შეკრების შესახებ მხოლოდ დილის ათ საათზე. ძალიან კარგია, როცა სპორტსმენებს აჯილდოებენ, მაგრამ მწვრთნელები არ უნდა დარჩნენ ხელცარიელნი. ნაკრების წარმატება თუ წარუმატებლობა ხომ უპირველესად ჩვენზეა დამოკიდებული".*

ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა მთავარ მწვრთნელს შეახსენა, რომ აქ შეკრების უმთავრესი მიზეზი „სასკოს" მიერ ირაკლი ცირეკიძის დასაჩუქრება იყო და რომ ეს საკითხი მხოლოდ წინა საღამოს გადაწყდა. სხვა საკითხებზე კი ის ხაბარელს დეტალურად გასაუბრებას შეჰპირდა. ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე შეხვედრის შემდეგ კმაყოფილი იყო საჩუქრით. მას გავეხუმრეთ კიდეც, ბინების კოლექციონერობა ხომ არ გადაწყვიტე-თქო? პეკინიდან ჩამოსვლს შემდეგ ირაკლი მესამე ბინით დაასაჩუქრეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ერთი აქტიურობს, ოთხი პასიურობს...


გია ნაცვლიშვილი (მარჯვნივ) და ელგუჯა ბერიშვილი

გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის კანდიდატი **გია ნაცვლიშვილი** სპორტულ ჟურნალისტებს შეხვდა. ასეთი შეხვედრა უპრეცედენტო იყო და თავისთავად იწვევდა ინტერესს. კანდიდატმა ხაზი გაუსვა მასმედიის როლს სპორტის განვითარებაში. სეოკ-ის პრეზიდენტად მისი არჩევის შემთხვევაში, გამოთქვა მასმედიასთან აქტიური თანამშრომლობის სურვილი.

*„მინდა ყველამ იცოდეს, ოლიმპიურ კომიტეტს და სპორტის დეპარტამენტს, თუმცა ერთ მიზანს ემსახურებიან, ფუნქციები განსხვავებული აქვთ, ფედერაციების მოთხოვნებიც აქედან უნდა გამომდინარეობდეს. შეიძლება როდესმე დადგეს დრო, მაგრამ დღეს ოლიმპიური კომიტეტის და დეპარტამენტის გაერთიანება ერთ სტრუქტურაში, როგორც ზოგიერთი მიიჩნევს, შეუძლებლად მიმაჩნია"* - თქვა გია ნაცვლიშვილმა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა გაიმეორა ის, რაც ფედერაციებთან შეხვედრებისას არა ერთხელ განაცხადა. ესაა ლონდონის ოლიმპიადისთვის მინიმუმ 60 ლიცენზიის, თამაშებზე კი 5 ოქროს მედლის მოპოვება, სპორტის სათამაშო სახეობაში გუნდის მომზადება - უპირველესად ეს ეხება ხელბურთს და წყალბურთს, პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენების წახალისება, მათთვის პერსონალური სპონსორების გამონახვა და ა.შ.

ამავე შეხვედრაზე გია ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ დღეს ის გადადგა ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობიდან და იგივე მოუწოდა სხვა კანდიდატებს, რათა შეიქმნას თანაბარი საკონკურენციო გარემო.

ამასთან, გია ნაცვლიშვილმა თავისი მოსაზრება გამოთქვა იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს გაეგზავნა სეოკი-დან. განცხადება ეხება სოჭის ოლიმპიადას, მაგრამ, რატომღაც იქვე ქვეტექსტში იკითხება, რომ საქართველოში შექმნილი მდგომარეობის გამო შეუძლებელია სპორტული ფედერაციების ყრილობების და სეოკ-ის სესიის ჩატარება. ეს მაშინ, როცა ქვეყანაში ზოგიერთ ოლქში ტარდება პაარლამენტის დეპუტატების და აჭარაში უზენაესი საბჭოს არჩევნები, გაუქმებულია საომარი მდგომარეობა. საით ვუბიძგებთ ქართულ სპორტს? ვინ ჩამოვა საასპარეზოდ სხვადასხვა ტურნირებში, თუკი მათ იციან, რომ ოლიმპიური მოძრაობის უმაღლესი ორგანო სოკ-ი გაფრთხილებულია, თითქოს საქართველოში ფედერაციების ყრილობის და სეოკ-ის სესიის ჩატარებაც კი შეუძლებელია. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ წლის ბოლოს, პარლამენტი 2009 წლის ბიუჯეტს დაამტკიცებს. ზაფხულისთვის სეოკ-ის სესიის გადატანით კი დაფინანსების საკითხს ცალკე აღარავინ დაუბრუნდება...

**საკუთარი ინფორმაცია**

ჩოგბურთი

# პერსპექტივაში ქართული დუელია


ეკა გორგოძე

19 წლის **სოფიო შაფათავამ** (257) ბრძოლით გაალწია ათენის საერთაშორისო ტურნირის (100 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში, თუმცა იქ პირველ წრეში დამარცხდა. მისი მეტოქე მე-6 ნომრად განთესილი ესპანელი **ლურდეს დომინგეს-ლინო** (114) იყო, რომელიც ქართველს რეიტინგში 150 საფეხურით უსწრებს. მიუხედავად ამისა, შაფათავამ პირველ სეტში დიდი ბრძოლა გამოუცხადა ფავორიტს – 6:7 (6), 2:6.

ესპანურ ლეიდიაში, მცირე საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) ქართველმა ჩოგბურთელებმა იოლად დასძლიეს პირველი ბარიერი. მე-4 ნომრად განთესილმა **სოფიო ქვაცაბაიამ** მასპინძელ **ფარა აბუგეიბ-სელოს** 6:1, 6:2 მოუგო. **ეკა გორგოძემ** (მე-7 ნომრად განთესილი) „უაილდ ქარდით" მიწვეული ესპანელი **გარბინ მუგურუზა-ბლანკო** დაამარცხა – 6:4, 6:3. მერვედფინალში ქვაცაბაია ესპანელ **კარმენ ლოპესს** დაუპირისპირდება, ხოლო გორგოძე **ირინე სანტოს-ბრავოს** (ესპანეთი) შეხვდება. თუკი ორივე მოიგებს, ჩვენი გოგონები მეოთხედფინალში კორტზე ერთმანეთის წინააღმდეგ დადგებიან.


სოფიო შაფათავა

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭიდაობა

# ტურნირი არ იქნება

კიდევ ერთი სპორტული ღონისძიება შეიწირა რუსეთის აგრესიამ საქართველოში – წლეულს, ოქტომბერში აღარ გაიმართება **გივი კარტოზიას** და **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირი. ეს შეჯიბრება ოლიმპიადის გამო იყო გადმოტანილი ოქტომბრისთვის, თუმცა ფინანსურმა პრობლემისა და აგრეთვე იმის გამო, რომ უცხოელთა დიდი ნაწილი ნაომარ საქართველოში ჩამოსვლას ვერ გაბედავდა, ტურნირი წლეულს აღარ გაიმართება. უახლოეს ხანებში ჭიდაობის ფედერაცია ფილას ოფიციალურად მიმართავს ამის შესახებ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძიუდო

# ოთხი ძიუდოისტი გოგონა ვარშავაში

12-14 სექტემბერს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ჩვენ უკვე გაგაცანით ბიჭების გუნდის შემადგენლობა, რომელსაც **ბორის ფირცხელიანი** უთავკაცებს. ახლა კი გოგონათა შემადგენლობას შემოგთავაზებთ. **გია თენაძის ნაკრები** ამაღამ გაემგზავრება პოლონეთში. ჩვენები სულ ოთხ წონით კატეგორიაში გამოვლენ: **ნაია ვეშაგური** (48 კგ.), **მარიამ ტარუაშვილი** (52 კგ.), **თინათინ ქულუსაშვილი** (63 კგ.) და **ნინო ოძელაშვილი** (78 კგ.).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი. ეროვნული ნაკრები. B დივიზიონი. C ჯგუფი

# სამყურებს ყურები ავუწიეთ



ზაზა ფაჩულია

| ირლანდია-საქართველო | 77:94 |
|---|---|

13:23, 20:14, 13:23, 31:34

ირლანდია: მაკგრათი (32ქ), ორეილი (15ქ), მატაცზი (10ქ)...

საქართველო: ცინცაძე (4ქ), ელისი (20ქ), სანიკიძე (31ქ), ვ. ბოისა (12ქ), ფაჩულია (16ქ), ცქიტიშვილი (8ქ), გამყრელიძე (3ქ), ა. ბოისა, ტულუში, შერმადინი, ბერიშვილი

მსაჯები: დ. ჩამბონი (საფრანგეთი), ფ. როჩა (პორტუგალია)

## როდის გველირსება ტელერეპორტაჟები?

საქართველოს ნაკრებმა ლუქსემბურგის შემდეგ ირლანდიაშიც მოიგო – 94:77. როგორც ყოველთვის, კლასით მაღალ გუნდებს შედარებით სუსტები თავიდან უძალიანდებიან, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში კლასს თავისი გააქვს და გამარჯვება უკეთესად დაკომპლექტებულ გუნდს რჩება. ასე დაგვემართა აგვისტოში საფრანგეთთან ამხანაგურ მატჩში - ბოლო პერიოდამდე თანაბრად ვიბრძოლეთ, მაგრამ გადამწყვეტ მეოთხედში NBA-ის ფრანგმა ვარსკვლავმა ტონი პარკერმა პირში ჩალაგამოვლებულები დაგვტოვა. გუშინ ადგილობრივი ქომაგის თვალწინ ირლანდიაც გაგვიძალიანდა, დიდ შესვენებაზე მხოლოდ ოთხქულიანი ჩამორჩენით გავიდა, მაგრამ შედარებით უკეთესი შემადგენლობის საქართველომ მეორე ტაიმში მასპინძლებს შანსი არ დაუტოვა. ასეთი შედარების შემდეგ არ გვსურდა გაგჩენოდათ აზრი თითქოს ირლანდიას იმდენად ვუსწრებთ, რამდენადაც საფრანგეთს ჩამოვრჩებით. მხოლოდ იმის თქმა გვსურდა, რომ "ა" დივიზიონში თამაშს ვიმსახურებთ, მერე რა რომ სხვაობაა ტონი პარკერსა და დანარჩენი ევროპელი გამთამაშებლების კლასში...

ვიდრე მატჩის მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით საჭირბოროტო თემას. ქართული ტელეარხები საქართველო-იტალიის საფეხბურთო მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს რომ გადმოსცემენ, ამას რა სჯობს? მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ნაგებით დამძიმებული ქართველების გულები საკალათბურთო მატჩის მოგებას ცოტა გაეხალისებინა? მით უმეტეს, რომ **ვიქტორ სანიკიძემ** და მისმა მეგობრებმა ირლანდიაში დამაჯერებლად გაიმარჯვეს. მართალია, კალათბურთელები ჯერ B დივიზიონში თამაშობენ, მაგრამ მეტოქედ არცთუ სუსტი ნაკრებები ჰყავთ. მთავარი კი ისაა, რომ ციკლში 8 მატჩიდან მინიმუმ ექვსს იგებენ და ასეთი ტელერეპორტაჟების ჩვენებას რატომ არ შეიძლება? ამ დღეებში არაერთმა ადამიანმა მკითხა, ნაკრების თამაშებს რომელი ტელეარხი გადასცემსო. ამ კითხვით "ალავერდს" ტელემაუწყებლებთან გადავდივართ... 13 სექტემბერს სლოვაკეთს ვესტუმრებით, ხოლო 17-ში შვედეთს.

### თვითმხილველის თვალით

იმის გამო, რომ საქართველოში შეხვედრისთვის თვალის დევნების საშუალება არ გვქონდა, სხვა გზა არ დაგვრჩა - ირლანდიელი ჟურნალისტის მონათხრობს უნდა დავეყრდნოთ, რომელიც მატჩს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იხილავს:

*"საქართველოს ნაკრებმა ანგარიში ვლადიმერ ბოისას ერთი ქულით გახსნა. სულ მალე ირლანდიელებმა რიტმი "იპოვეს" და ერთმანეთის მიყოლებით 5 ქულა ჩააგდეს – 5:1. სტუმრები პირველი მეოთხედის ბოლოს შეტევაში კარგად ამუშავდნენ და მალე ათქულიანი ფორაც მოიპოვეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მიხეილ ბერიშვილმა ბურთი დაცვაში მოხსნა, ხოლო ვიქტორ სანიკიძემ სამქულიანი გამოიყენა – 13:23.*

*მეორე პერიოდის დასაწყისში მოთამაშე-მწვრთნელმა ჯეი ლარანგამ სამქულიანით სხვაობა ცოტა შეამცირა, მაგრამ ქართველთა გამთამაშებლის გიორგი ცინცაძის კარგი გარჯის წყალობით კავკასიელები დიდ შესვენებაზე მაინც მშვიდად გავიდნენ – 37:33. მასპინძლებს ძალიან გაუჭირდათ ფორვარდ ვიქტორ სანიკიძის შეჩერება, რომელმაც ტაიმი სამქულიანით გახსნა. ეს შეხვედრის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტყორცნა იყო. მას შემდეგ მასპინძლებმა ვერც დაცვაში თამაში დაალაგეს და ვერც შეტევაში. ერთადერთი, ვინც ქართველთა კალათისკენ ზუსტად ისროდა მაკგრათი იყო. ბოლო მეოთხედის წინ სტუმრები 60:46 დაწინაურდნენ.*

*ბოლო პერიოდის სტარტზე ბოისამ და მაკგრათიმ ორქულიანები გაცვალეს. ირლანდია 15-ქულიან სხვაობას ინარჩუნებდა, მაგრამ გადამწყვეტი ტყორცნა ქართველთა სნაიპერმა ვიქტორ სანიკიძემ შეასრულა და სტუმრებს 17-ქულიანი სხვაობით მოაგებინა – 94:77."*

### მატჩის შემდეგ

მატჩს ესწრებოდა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი**, რომელიც შედეგითაც კმაყოფილი დარჩა და თამაშითაც:

*„დადებითად შევაფასებ ამ შეხვედრას. ჩვენმა გუნდმა გამოავლინა მტკიცე ხასიათი და ძალიან მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სტუმრად. თუმცა არ მინდა ახლა ხმამაღალი განცხადების გაკეთება და დასკვნის გამოტანა. წინ ორი ურთულესი მატჩი გველის და მას შემდეგ შევეძლება უფრო კონკრეტულად საუბარი...*

*...ირლანდიაში ჩვენებმა კარგად ითამაშეს. ცოტა კრიზისული მომენტი მეორე მეოთხედში გვქონდა, როცა მეტოქე კუდში მოგვდევდა, მაგრამ მეორე ნახევარში ყველაფერი გამოვასწორეთ. რაც მთავარია, საქართველოს ნაკრებმა გუნდური თამაშის ხარჯზე მოახერხა წარმატების მიღწევა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ხვალ ჩვენი გუნდი სლოვაკეთში მიემგზავრება, სადაც 13 სექტემბერს გაცილებით რთული მატჩი გველოდება".*

**დავით უსტიაშვილი (მწვრთნელი):**

- ირლანდია ძალიან მებრძოლი გუნდია და მოდუნების საშუალება არ მოუცია. საბოლოოდ დამაჯერებელი სხვაობით კი მოვიგეთ, მაგრამ ეს არ იყო ადვილად მოპოვებული გამარჯვება. ყველა კალათბურთელმა მაქსიმუმი გაიღო თამაშისთვის.

- თავიდანვე შეგვეძლო, საიმედო სხვაობით დავწინაურებულიყავით, მაგრამ მასპინძლები სამქულიანებს კარგად ისროდნენ და ამის საშუალებას არ გვაძლევდნენ. მეორე მეოთხედში ცოტა წამოგვეწივნენ, სხვაობა 4 ქულამდეც შეამცირეს. შესვენების შემდეგ ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ წარიმართა. ვიქტორ სანიკიძემ ძალიან მნიშვნელოვანი ქულები ჩააგდო, რომ ალარაფერი ვთქვათ მოხსნილ ბურთებზე. ვიქტორმა ფარიდან ასხლეტილი ყველა ბურთი მოიხელთა და მეტოქის გატეხვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მიუხედავად ამისა, ირლანდიას მაინც გუნდური თამაშის წყალობით ვაჯობეთ, ელისმა, ფაჩულიამ, ვლადიმერ ბოისამ და ცქიტიშვილმა საკმაოდ მაღალ დონეზე ითამაშეს.

- ცქიტიშვილი რომ ხუთეულში არ იყო, ეს ჩვეულებრივი მომენტია. ის სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო თამაშში და მოედანზეც საკმაოდ ბევრი დრო დაყო. ნამდვილად არა აქვს მნიშვნელობა, ვინ დაიწყებს თამაშს, მთავარი შედეგია და ეს ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული. დღეს ასე იყო საჭირო, მომავალ მატჩში შეიძლება განსხვავებული სასტარტო ხუთეული ვიხილოთ.

- რა თქმა უნდა, გვქონდა ხარვეზები, თუმცა ამისგან არავინაა დაზღვეული. მთლიანობაში კარგი თამაში გამოვიდა. ახლა უკვე სლოვაკეთზე გადავერთეთ, სადაც ხვალ დილას მივემგზავრებით და მატჩისთვის მოსამზადებლად საკმარისი დრო გვექნება.

- აუცილებლად უნდა აღვნიშნო ატმოსფერო, რაც დარბაზში სუფევდა. უამრავი ქართული დროშა და ჩვენი თანამემამულე. „საქართველო-საქართველო" მთელი მატჩის განმავლობაში ისმოდა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ უფრო მხურვალე ქომაგობა გვქონდა, ვიდრე მასპინძლებს. ვინც კი დუბლინში ქართველი იყო, უმეტესობა ჩვენს მხარდასაჭერად მოვიდა, რისთვისაც დიდი მადლობა მათ. ყველას ძალიან გაგვეხარდა, რომ ქომაგები არ გავანბილეთ. წინ უფრო რთული მატჩები გველის და მათში საბრძოლველად საკმაოდ კარგად ვართ მომზადებულნი. გუნდში ძალიან კარგი განწყობაა, ყველა ერთი მუშტადაა შეკრული.

**გუშინ**

| სლოვაკეთი-შვედეთი | 88:89 |
|---|---|

23:20, 17:26, 19:19, 29:24

სლოვაკეთი: პანდულა (7ქ), მიკა (5ქ), პოვანაკი (10ქ), გავლაკი (10ქ, 6მ), სიკორა (5ქ), სზალაი (2ქ), რანჩიკი (34ქ, 9მ), ლესკო (15ქ)

შვედეთი: მასამბა (19ქ, 5მ), ლინდკვისტი (6ქ), პლეიკი (2ქ), ჟერებკო (10ქ, 12მ), ინანი (3ქ), გრანტი (4ქ), კიელბომი (7ქ), ბლომი (6ქ), რინგსტრომი (13ქ, 7მ), სკოლდებრანდი (19ქ)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. შვედეთი | 2 | 2 | 0 | 4 |
| 3. ირლანდია | 2 | 0 | 2 | 2 |
| 4. სლოვაკეთი | 1 | 0 | 1 | 1 |
| 5. ლუქსემბურგი | 1 | 0 | 1 | 1 |

**C ჯგუფის განრიგი:**

**10 სექტემბერი. დუბლინი**

| | |
|---|---|
| ირლანდია-საქართველო | 77:94 |
| სლოვაკეთი-შვედეთი | 88:89 |

**13 სექტემბერი. ნოვი ვსი**

სლოვაკეთი-საქართველო

ლუქსემბურგი-ირლანდია

**17 სექტემბერი. უმეო**

შვედეთი-საქართველო

სლოვაკეთი-ლუქსემბურგი

**20 სექტემბერი**

ლუქსემბურგი-შვედეთი

ირლანდია-სლოვაკეთი

ვაჟა სიმონიშვილი

რაგბი. ევროპის ჩემპიონატი. U-19

# საპოლონეთო შემადგენლობა გაირკვა

საქართველოს ცხრამეტწლამდელ მორაგბეთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისის ბოლო ეტაპზე გადავიდა. შეგახსენებთ, რომ პატარა ბორჯღალოსნები 20-27 სექტემბერს, პოლონეთის საკურორტო ქალაქ სოპოტში FIRA AER-ის ევროპის ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას. ჩვენი მორაგბეების პირველი მეტოქე მეოთხედფინალურ შეხვედრაში პოლანდიის ნაკრები იქნება.

ამასთან უკვე გაირკვა, რომ საქართველოს ნაკრების მეტოქე ნახევარფინალში რუსეთისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის გამარჯვებული იქნება. ეს შეხვედრა 24 სექტემბერს, თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება. აქ გამარჯვებული ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებს. ტურნირის საუკეთესო გუნდი კი მომავალ წელს ოცწლამდელთა შორის „ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში იასპარეზებს. რომელიც თავის მხრივ, 2010 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირია ოცდაერთწლამდელთა შორის.

ნაკრების მწვრთნელებმა **დავით ჩავლეიშვილმა** და **დიმიტრი ფულარიამ** 26 მორაგბე შეარჩიეს. ამათგან ორი წამყვანი მოთამაშის,, **გოდერძი ჯოგლიძისა** და **ვასილ კვერნაძის** პოლონეთში გამგზავრების საკითხი, ბოლო მომენტში გადაწყდა, რადგან ორივე მათგანს ტრავმა აწუხებდა. საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და როგორც ვარაუდობენ, შეჯიბრებისთვის ორივე მწყობრში იქნება.

გუნდში დღესდღეობით ყველაზე გამოცდილნი ლელოელი **ვიქტორ კოლელიშვილი** და ლოკომოტიველი **ბექა ნიკლაურია**, რომლიც თითო მატჩში ეროვნული ნაკრების შემადგენლობაშიც მონაწილეობდნენ. აღსანიშნავია, რომ სწორედ ისინი იქნებიან ლიდერები: კოლელიშვილი - შერკინებაში, ხოლო ნიკლაური - უკანა ხაზში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმების გამო რამდენიმე მორაგბის პოლონეთში წაყვანა არ მოხერხდა, გუნდი მაინც დაბალანსებულადაა დაკომპლექტებული და რეალურად შესწევს ძალა, ტურნირზე პირველი ადგილისთვის იბრძოლოს.

ცხრამეტწლამდელებმა სრულყოფილი მომზადების გავლა ვერ მოახერხეს. ცნობილი მოვლენების გამო არ შედგა საწვრთნელი შეკრება ზღვისპირეთში. გუნდმა თბილისში რამდენიმე საწვრთნელი შეხვედრა გამართა უმაღლესი ლიგის გუნდებთან. სოპოტში კი შეჯიბრების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გაემგზავრება და მზადების პროცესში შესაძლოა, ერთი შეხვედრა რომელიმე ადგილობრივ გუნდთან გამართოს.

**საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრები:**

პირველი ხაზი: **გიორგი ცირეკიძე (არმაზი), ვასილ კაკოვინი (უნივერსიტეტი), თორნიკე ლომიძე (აია), დავით ბარბაქაძე (ყოჩები), გიორგი გაბელია (ლელო), მიხეილ ნარიაშვილი (აია).**

მეორე ხაზი: **ბექა ნიკოლაიშვილი (ყოჩები), მიხეილ გაჩეჩილაძე (აკადემია), ერეკლე მეტრეველი (ყოჩები).**

მესამე ხაზი: **ირაკლი რევიშვილი (აია), ვასილ კვერნაძე (ლელო), ლადო გუნიავა (უნივერსიტეტი), ვიქტორ კოლელიშვილი (ლელო).**

**№9: შალვა მახარაშვილი (ყოჩები), ლევან გოგია (ლელო).**

**№10: გიგი გაბუნია (არმაზი), ზურაბ გოგლიჩიძე (აია).**

**№12-13: გიგა კორკელია (ლელო), გიორგი ლომინაძე (ლელო), დავით გრძელიშვილი (ყოჩები).**

**№11-14: სანდრო ინაშვილ(ყოჩები) რატი ხუციშვილი(უნივერსიტეტი), გიორგი ნოზაძე (ლოკომოტივი).**

**№15: გოდერძი ჯოგლიძე (ლელო), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი), ვახტანგ კავთიძე (უნივერსიტეტი).**

ბესიკ ჯანგავაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუნდიალი 2010. საკვალიფიკაციო მატჩები


ბრაუნი და უოლკოტი. ინგლისმა ხორვატიაზე შური იძია

## ევროპა

### I ჯგუფი

**შვედეთი–უნგრეთი 2:0**

**შვედეთი:** ისაქსონი, მ. ნილსონი, მელბერგი, მაისტოროვიჩი, ჰანსონი, ს. ლარსონი, ჰოლმენი, ანდერსონი, კალსტრიომი, იბრაჰიმოვიჩი (81. როსენბერგი), ჰ. ლარსონი.

**უნგრეთი:** ბაბოში, ბოდნარი (80. ბუჟაკი), ვანჩაკი, იუჰაში, ჟელეში, ვადოხი, დარდაი (70. რუდოლფი), გერა, ჰაინალი, დჟუდჩაკი, ჰუშტი.

**გოლები:** 1:0 კალსტრიომი (55), 2:0 ჰოლმენი (65)

**მაყურებელი:** 28 137

**ალბანეთი–მალტა 3:0**

**ალბანეთი:** ბეკაი, დალკუ, კური, კანა, დურო, ლალა, აგოლი, ჰიკა, ბულკუ (53. ბეკირი), სკელა, ბოგდანი (72. სალიჰი).

**მალტა:** ჰაბერი, ქსუერები, ბრიფა, დიმეში, სამუტი, ბახადა, აგიუსი, პეისი, მიხ. მიფსუდი, შემბრი, ბარბარა (46. ფრენდო).

**გოლები:** 1:0 ბოგდანი (45), 2:0 დურო (84), 3:0 დალკუ (89)

**მაყურებელი:** 13 000

**პორტუგალია–დანია 2:3**

**პორტუგალია:** კუიმი, პაულო ფერეირა, რიკარდო კარვალიო, ბოსინგვა, პეპე, სიმაო (70. დანი), დეკუ, მანიშე, რაულ მეირელესი, ნანი (87. ჟოაო მუტინიო), უგო ალმეიდა (70. ნუნუ გომეში).

**დანია:** ანდერსენი, იაკობსენი (46. ზილბერბაუერი), ლაურსენი, აგერი, დ. იემნსენი, ანდრეასენი (87. ბერნბურგი), პოულსენი, ტომასონი, ლოვენკრანდსი (70. ბორინგი), რომედალი, ბენდტნერი.

**გოლები:** 1:0 ნანი (42), 1:1 ბენდტნერი (82), 2:1 დეკუ (85-პენ), 2:2 პოულსენი (89), 2:3

**მაყურებელი:** 33 505

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალბანეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| 2. შვედეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| 3. დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 6-3 | 3 |
| 5. უნგრეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 6. მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |

### II ჯგუფი

**მოლდოვა–ისრაელი 1:2**

**მოლდოვა:** ნამასკო, ეპურეანუ, ლაშენოვი, გოლოვატენკო, რებეჟა, კომლენიოკი, სუვოროვი, კორნეენცოვი (27. სავინოვი), ბორდიანი, ფრუნზა (68. ალექსეევი/75. ანდრონიჩი), პიკუშიაკი.

**ისრაელი:** ავატე, კეინანი, ზივი, კოზოკინი (35. შაბანი), ბენ ჰაიმი, კოენი, ბენაიოუნი, ტომა, ოჰაიონი, გოლანი, საჰარი (5. ბარ ბუძალო).

**გოლები:** 1:0 პიკუშიაკი (1), 1:1 გოლანი (40), 1:2 შაბანი (45)

**მაყურებელი:** 19 000

**ლატვია–საბერძნეთი 0:2**

**ლატვია:** ვანინსი, გორკსი, კაჩანოვსი, კლავა, სტეპანოვსკი, ასტაფიევსი, ლაიზანსი, პერეპლიოტკინი (79. ვიშნიაკოვსი), სოლონიცინსი (65. რუბინსი), ვერპაკოვსკისი, კარლსონსი (60. გრებისი).

**საბერძნეთი:** ხალკიასი, სეიტარიდისი, დელასი, კირგიაკოსი, პაპადოპულოსი, ტოროსიდისი, კაცურანისი, კარაგუნისი (61. ბასინასი), სამარასი (88. ლიბეროპულოსი), ხარისტეასი, გეკასი (76. სალპიგიდისი).

**გოლები:** 0:1 გეკასი (10), 0:2 გეკასი (49)

**მაყურებელი:** 15 000

**შვეიცარია–ლუქსემბურგი 1:2**

**შვეიცარია:** ბენალიო, გრიშტინგი, ჯურუ, მანინი, ბარნეტა, ნეფი (72. ფონლანტენი), ინლერი, შტოკერი, იაკინი (65. აბდი), ფრაი (65. ლუსტრინელი), ნკუფო.

**ლუქსემბურგი:** ჟუბერი, მუტში, შტრასერი, ჰოფმანი, კინტციგერი, პეტერსი, პეიალი, ბეტმერი, ლანგი (46. ლევეკი), ლომბარდელი (76. კროგი), კიტენგე (66. იოახიმი).

**გოლები:** 0:1 შტრასერი (28), 1:1 ნკუფო (43), 1:2 ლევეკი (86)

**მაყურებელი:** 20 500

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. ისრაელი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 3. ლატვია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. ლუქსემბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 5. შვეიცარია | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 6. მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |

### III ჯგუფი

**სან მარინო–პოლონეთი 0:2**

**სან მარინო:** ა. სიმონჩინი (72. ვალენტინი), ვალენტინი, მიკელე მარანი, ალბანი, დ. სიმონჩინი, ბერეტი (77. მაურო მარანი), ბუგლი, ვიტაიოლი, ბოლინი (46. ვანუჩი), სელვა, მანუელ მარანი.

**პოლონეთი:** ფაბიანსი, იოპი, ბრონოვიცკი, გერეირო, მიხ. ჟევლაკოვი, კოვალჩიკი (27. კრჟინოვეკი), ლევანდოვსკი, ბლაშჩიკოვსკი, სმოლიარეკი, პიშჩეკი (88. მურავსკი), საგანოვსკი (61. ლევანდოვსკი).

**გოლები:** 0:1 სმოლიარეკი (36), 0:2 ლევანდოვსკი (68)

*მე-3 წუთზე სელვამ (ანდორა) ვერ გამოიყენა პენალტი*

**მაყურებელი:** 2 374

**ჩრ. ირლანდია–ჩეხეთი 0:0**

**ჩრ. ირლანდია:** ტეილორი, მაკარტნი, ევანსი, ჰიუზი, კრეიგანი, ბერდი, გილესპი (84. შილსი), კლინგენი (46. ო'კონორი), ბრუნტი, ჰილი, ფინი (72. პატერსონი).

**ჩეხეთი:** ჩეხი, გრიგერა, იანკულოვსკი, როზენალი, უიფალუში, კოვაჩი, პლასილი, პოლაკი, სიონკო (67. პოსპეჩი), შირლი, ბაროში (78. შლეპიჩკა).

**მაყურებელი:** 14 000

**სლოვენია–სლოვაკეთი 2:1**

**სლოვენია:** ჰანდაროვიჩი, ბრეჩკო, შულერი, სესარი, ილიჩი, შაშიჩი, კომაცი, კირმი (90. მატიჩი), კორენი, ნოვაკოვიჩი, დედიჩი (76. ლიუბიანკიჩი).

**სლოვაკეთი:** შენეკი, პეტრაში, შკრტელი, პეკარიკი, დურიცა (79. კოზაკი), კარჰანი, საპარა, შტრბა (57. იაკუბკო), ჰამსიკი, ვიტეკი, ჰოლოშკო (46. შვენტო).

**გოლები:** 1:0 ნოვაკოვიჩი (22), 2:0 ნოვაკოვიჩი (81), 2:1 იაკუბკო (83)

**მაყურებელი:** 11 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 2. სლოვენია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 3. სლოვაკეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 5. ჩრ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 6. სან მარინო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

### IV ჯგუფი

**რუსეთი–უელსი 2:1**

**რუსეთი:** აკინფეევი, ანიუკოვი, კოლოდინი, იგნაშევიჩი, ჟირკოვი, ზირიანოვი, ტორბინსკი (59. საენკო), სემშოვი, სემაკი (74. პოგრებნიაკი), არშავინი, პავლიუჩენკო (90. ბისტროვი).

**უელსი:** ჰენესეი, განტერი, მორგანი, უილიამსი, ბეილი, ფლეტჩერი, რობინსონი (46. რიკეტსი), ედვარდსი (77. ს. ევანსი), ლედლი, ვოკსი (62. ჩ. ევანსი).

**გოლები:** 1:0 პავლიუჩენკო (22-პენ), 1:1 ლედლო (67), 2:1 პოგრებნიაკი (81)

*მე-17 წუთზე ბეილიმ ვერ გამოიყენა პენალტი*

**მაყურებელი:** 28 000

**აზერბაიჯანი–ლიხტენშტაინი 0:0**

**აზერბაიჯანი:** აგაევი, მელიქოვი, სადიგოვი, აბასოვი, იუნის ოგლუ, ჩერტოგანოვი, ბაშიევი, ყურბანოვი (71. ნ. მამადოვი), ე. მამადოვი (64. გომეში), ჯავადოვი (46. ჰუსეინოვი), სუბასიჩი.

**ლიხტენშტაინი:** იელე, მარ. შტოკლასა, რიტცბერგერი (21. ოერი), დ'ელია, გერშტერი, ბურგმაიერი, პოლვერინო (46. რორერი), ბიუხელი, კრისტენი (68. ბეკი), ფიშერი, ფრიკი.

**მაყურებელი:** 25 000

**ფინეთი–გერმანია 3:3**

**ფინეთი:** იაასკელაინენი, პასანენი, კალიო, ჰიიპია, ლამპი, ვაირინენი (75. კუკი), ერიომენკო, კოლკა, ჰეიკინენი, ფორსელი (41. სიოლუნდი), იოჰანსონი.

**გერმანია:** ენკე, ფრიტცი (82. ჰინკელი), ვესტერმანი, ტაში, ლამი, როლფსი (82. ჰელმესი), შვაინშტაიგერი, ტროხოვსკი, ჰიტცლშპერგერი (68. გომესი), პოდოლსკი, კლოზე.

**გოლები:** 1:0 იოჰანსონი (33), 1:1 კლოზე (38), 2:1 ვაირინენი (43). 2:2 კლოზე (45), 3:2 სიოლუნდი (53), 3:3 კლოზე (83)

**მაყურებელი:** 36 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 2 | 1 | 1 | 0 | 9-3 | 6 |
| 2. რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 3. უელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. აზერბაიჯანი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 5. ლიხტენშტაინი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-6 | 1 |
| 6. ფინეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 3-3 | 1 |

### V ჯგუფი

**თურქეთი–ბელგია 1:1**

**თურქეთი:** ვოლქანი, ჩაგლარი, გიოქჰანი გიონული, სერვეთ ჩეთინი, გიოქჰან ზანი, არდა თურანი, ქაზიმ ქაზიმი (46. მეჰმეთ თოფუზი), თუნჯაი (13; ჰალილ ალთინთოფი), ემრე, მეჰმეთ თოფალი (70. მევლუთ ერდინგი), სემიჰ შენთურქი.

**ბელგია:** სტიინენი, ვერტონგენი, კომპანი, სვერტსი, ვერმაელენი, დეფური (46. მუდინგაი), ფელაინი, სიმონსი, ვიტსელი (76. დაემსი), დემბელე, სონკი (85. დე სუტერი).

**გოლები:** 0:1 სონკი (31), 1:1 ემრე (75-პენ)

**მაყურებელი:** 25 000

**ბოსნია–ესტონეთი 7:0**

**ბოსნია:** ჰასაგიჩი, ბრაშნიჩი, ბერბეროვიჩი, ბაიჩი (73. იბრიჩიჩი), სპაიჩი, ნადარევიჩი, დამიანოვიჩი, რაჰიმიჩი, მიშიმოვიჩი (66. პიანიჩი), მუსლიმოვიჩი (70. იბიშევიჩი), ძეკო.

**ესტონეთი:** ლონდაკი (70. აკსალუ), იააგერი, ბერენგრუბი, როობა, რანი, დმიტრიევი (55. სააგი), ლინდპერე (55. კრუგლოვი), ვუნკი, კლავანი, ოპერი, პურიე.

**გოლები:** 1:0 მიშიმოვიჩი (25), 2:0 მიშიმოვიჩი (30-პენ), 3:0 მიშიმოვიჩი (50), 4:0 მუსლიმოვიჩი (52), 5:0 ძეკო (54), 6:0 ძეკო (72), 7:0 იბრიჩიჩი (88)

**მაყურებელი:** 25 000

**ესპანეთი–სომხეთი 4:0**

**ესპანეთი:** კასილიასი, კაპდევილა, სერხიო რამოსი, რაულ ალბიოლი, პუიოლი, ინიესტა, ჩავი (73. ფაბრეგასი), მარკოს სენა, სანტი კასორლა (65. კრკიჩი), ვილია, გუისა (56. ჩაბი ალონსო).

**სომხეთი:** ბერეზოვსკი, ტადევოსიანი, ოვსეპიანი, არზუმანიანი, მხითარიანი, ალექსანიანი (80. ხაჩატრიანი), გაზარიანი (51. ანეარამიანი), მელქონიანი (46. მანუჩარიანი), პაჩაიანი, კარამიანი.

**გოლები:** 1:0 კაპდევილა (8), 2:0 ვილია (17), 3:0 ვილია (79), 4:0 მარკოს სენა (82)

**მაყურებელი:** 17 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. თურქეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. ბელგია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 4. ბოსნია | 2 | 1 | 0 | 1 | 7-1 | 3 |
| 5. ესტონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-10 | 0 |
| 6. სომხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

### VI ჯგუფი

**ყაზახეთი–უკრაინა 1:3**

**ყაზახეთი:** ლორია, სმაკოვი, აზოვსკი, კუჩმა, ირისმეტოვი, კარპოვიჩი, ასანბაევი (73. ბაიჟანოვი), სკორიხი, ბალტიევი (89. უზდენოვი), ჟუმასკალიევი, ოსტაპენკო.

**უკრაინა:** პიატოვი, იარმაში, კუჩერი, შევჩუკი, მიხალიკი (88. ვორონინი), ტიმოშჩუკი, ლევჩენკო, ნაზარენკო (83. კრავჩენკო), ალიევი, შევჩენკო, სელეზნიოვი.

**გოლები:** 0:1 ნაზარენკო (45), 0:2 შევჩენკო (53), 1:2 ოსტაპენკო (70), 1:3 ნაზარენკო (82)

**მაყურებელი:** 18 000

**ანდორა–ბელარუსი 1:3**

**ანდორა:** ალვარესი, ი. ლიმა, სონეხე, ა. ლიმა, ხიმენესი, პუიოლი (83. ტოსკანო), ესკურა, აიალა, ლორენცო, ვიეირა (63. ვალესი), სილვა(85. მორენო).

**ბელარუსი:** ვერემკო, ვერხოვცოვი (88. სიტკო), ფილიპენკო, ომელიანჩუკი, კორიტკო, სრახანოვიჩი, ა. გლები, პავლოვი (58. როდიონოვი), კულჩი, კუტუზოვი, ბულიგა (64. ვ. გლები).

**გოლები:** 0:1 ვერხოვცოვი (37), 1:1 პუიოლი (68-პენ), 1:2 როდიონოვი (79), 1:3 ვ. გლები (89)

**მაყურებელი:** 200

**ხორვატია–ინგლისი 1:4**

**ხორვატია:** პლეტიკოშა, შიმუნიჩი, რ. კოვაჩი, კორლუკა, პრანიჩი, რაკიტიჩი, ნ. კოვაჩი (62. პოკრივაცი), სრნა, მოდრიჩი, პეტრიჩი (56. კნეჟევიჩი), ოლიჩი (73. მანძუკიჩი).

**ინგლისი:** ჯეიმსი, ბრაუნი, ტერი (88. აპსონი), ფერდინანდი, ე. კოული, ბერი, ჯ. კოული (55. ჯენასი), უოლკოტი (84. ბექჰემი), რუნი, ჰესკი.

**გოლები:** 0:1 უოლკოტი (26), 0:2 უოლკოტი (59), 0:3 რუნი (63), 1:3 მანძუკიჩი (78), 1:4 უოლკოტი (82)

**გაძევება:** რ. კოვაჩი (53. ხორვატია)

**მაყურებელი:** 35 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 2. უკრაინა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 3. ბელარუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 4. ხორვატია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 5. ყაზახეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| 6. ანდორა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

### VII ჯგუფი

**ფარერები–რუმინეთი 0:1**

**ფარერები:** მიკელსენი, ბო, დანიელსენი, ი-რ. იაკობსენი, პ-დ. იაკობსენი, ტომასენი, ბორგი (90. ელიასენი), დავიდსენი, კ-ჰ. იაკობსენი, სამუელსენი, ფლოტუმი (76. ოლსენი).

**რუმინეთი:** ლობონტი, კონტრა, გოიანი, ნესუ, რადოი (18. გიონეა), კოდრეა, ლაზარი, ალიუტა (68. მოტი), კოჩიში, ნიკულაე (89. ბრატუ), კოსტეა.

**გოლი:** 0:1 კოჩიში (59)

**გაძევება:** გიონეა (49. რუმინეთი)

**მაყურებელი:** 1 000

**ლიტვა–ავსტრია 2:0**

**ლიტვა:** კარჩემარსკასი, ღედურა, სტანკევიჩუსი, ჟელმიკასი, კლიმავიჩუსი, შემბერასი, მიკოლიუნასი, კსანავიჩუსი (74. ზალიუკასი), დ. ჩესნაუსკასი (66. კალონასი), დანილევიჩუსი, პილიბაიტისი (72. ე. ჩესნაუსკასი).

**ავსტრია:** მანინგერი, შტრანცლი, პოგატეტცი, გარიჩი, პრიოდლი, ფუხსი, აუფჰაუზერი (54. ჰოფერი), ივანშიტცი, ჰარნიკი, შარნერი (66. ოზქანი), მაიერჰოფერი.

**გოლები:** 1:0 დანილევიჩუსი (53), 2:0 დანილევიჩუსი (58)

**მაყურებელი:** 3 500

**საფრანგეთი–სერბეთი 2:1**

**საფრანგეთი:** მანდანდა, სანია, შალასი, აბიდალი, კლიში, ლ. დიარა, ტულალანი, გოვუ (82. ა. დიარა), გურკუფი (90. ფლამინი), ბენზემა (46. ანელკა), ანრი.

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, ტოშიჩი, კრსტაიჩი, ვიდიჩი, ივანოვიჩი, კუჟმანოვიჩი, სტანკოვიჩი (5. კასარი), ერგიჩი (57. ჟიგიჩი), იანკოვიჩი, სულეიმანი (69. კრაშიჩი), პანტელიჩი.

**გოლები:** 1:0 ანრი (54), 2:0 ანელკა (64), 2:1 ივანოვიჩი (76)

**მაყურებელი:** 53 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიტვა | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2. სერბეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 3. ავსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 5. რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| 6. ფარერები | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

### VIII ჯგუფი

**ჩერნოგორია–ირლანდია 0:0**

**ჩერნოგორია:** პოლეკშიჩი, პავიჩევიჩი, ბატაკი, ტანაშიევიჩი, იოვანოვიჩი, ჟვეროტიჩი, დრინჩიჩი, პეკოვიჩი, ბოჟოვიჩი (54. ვუკჩევიჩი), იოვეტიჩი, ვუჩინიჩი.

**ირლანდია:** გივენი, ფინენი, ო'ში, დანი, კილბეინი, მაკგიდი, ველანი, რიდი, ჰანტი, დოილი, კინი.

**მაყურებელი:** 12 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. ირლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. ჩერნოგორია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 4. ბულგარეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 5. კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 6. საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

### IX ჯგუფი

**ისლანდია–შოტლანდია 1:2**

**ისლანდია:** სტურლუსონი, საევარსონი (77. ვ-პ. გუნარსონი), ეირიქსონი (46. ი. სიგურდსონი), კ-ო. სიგურდსონი, სტეინსონი, ჰრეიდარსონი, ა. გუნარსონი (63. პალმასონი), გისლასონი, ჰალფრედსონი, გუდიონსენი, ჰელგუსონი.

**შოტლანდია:** გორდონი, ბროუდფუტი, ნეისმიტი, მაკმანუსი, კოლდული, ბრანი, ფლეტჩერი, მელონი (78. ალექსანდერი), რობსონი, კომონსი (62. მილერი), მაკფადენი (80. ჰარტლი).

**გოლები:** 0:1 ბროუდფუტი (18), 0:2 რობსონი (59), 1:2 გუდიონსენი (77-პენ)

*59-ე წუთზე მაკფადენმა ვერ გამოიყენა პენალტი*

**გაძევება:** მაკმანუსი (76. შოტლანდია)

**მაყურებელი:** 10 000

**მაკედონია–ჰოლანდია 1:2**

**მაკედონია:** მილოშევსკი, ნოვესკი, სედლოსკი, მიტრესკი, ლაზარევსკი (57. პეტროვი), გეორგიევსკი, სუმულიკოსკი, ტრაიანოვი (82. რისტიჩი), მაზნოვი (61. ტასევსკი), პანდევი, ნაუმოსკი.

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი, ჰეიტინგა, ოოიერი (28. ბულარუზი), მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, ვან ბომელი, დე იონგი, ვან დერ ვაარტი, რობენი (81. აფელეი), ვან პერსი (69. კუიტი), ჰუნტელაარი.

**გოლები:** 0:1 ჰეიტინგა (47), 0:2 ვან დერ ვაარტი (59), 1:2 პანდევი (77-პენ)

**მაყურებელი:** 11 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 2. შოტლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. მაკედონია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 5. ისლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |

## სამხრეთ ამერიკა

ურუგვაი-ეკვადორი 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პარაგვაი | 8 | 5 | 2 | 1 | 16-6 | 17 |
| 2. ურუგვაი | 8 | 3 | 3 | 2 | 16-6 | 12 |
| 3. ბრაზილია | 7 | 3 | 3 | 1 | 11-4 | 12 |
| 4. არგენტინა | 7 | 3 | 3 | 1 | 10-4 | 12 |
| 5. კოლუმბია | 7 | 2 | 4 | 1 | 4-3 | 10 |
| 6. ჩილე | 7 | 3 | 1 | 3 | 9-12 | 10 |
| 7. ეკვადორი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-14 | 9 |
| 8. ვენესუელა | 8 | 2 | 1 | 5 | 9-13 | 7 |
| 9. პერუ | 7 | 1 | 3 | 3 | 4-15 | 6 |
| 10. ბოლივია | 7 | 1 | 1 | 5 | 8-20 | 4 |

## აზია

### I ჯგუფი

უზბეკეთი-ავსტრალია 0:1

კატარი-ბაჰრეინი 1:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კატარი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 2. იაპონია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 3 |
| 3. ავსტრალია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 4. ბაჰრეინი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 5. უზბეკეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

### II ჯგუფი

ჩრ. კორეა-ს. კორეა 1:1

საემიროები-ს. არაბეთი 1:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩრ. კორეა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 2. ს. არაბეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 3. ირანი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 4. ს. კორეა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 5. საემიროები | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |

## კონკაკაფი

### III ჯგუფი

სურინამი-სალვადორი 0:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოსტა რიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 2. სალვადორი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-1 | 6 |
| 3. ჰაიტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-7 | 1 |
| 4. სურინამი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-11 | 1 |

## აფრიკა

### X ჯგუფი

ჩადი-სუდანი 1:3

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალი | 5 | 3 | 0 | 2 | 11-7 | 9 |
| 2. კონგო | 5 | 3 | 0 | 2 | 7-6 | 9 |
| 3. სუდანი | 5 | 2 | 0 | 3 | 7-9 | 6 |
| 4. ჩადი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-9 | 6 |

### XI ჯგუფი

ზამბია-ტოგო 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზამბია | 4 | 2 | 1 | 1 | 2-1 | 7 |
| 2. სვაზილენდი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 3. ტოგო | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |

## ოკეანეთი

ვანუატუ-ფიჯი 2:1

ზელანდია-ახ. კალედონია 3:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზელანდია | 5 | 5 | 0 | 0 | 14-3 | 15 |
| 2. ახ. კალედონია | 6 | 2 | 2 | 2 | 12-10 | 8 |
| 3. ფიჯი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-11 | 4 |
| 4. ვანუატუ | 6 | 1 | 1 | 4 | 5-13 | 4 |

ჩოგბურთი

# ამერიკას ბლეიკი გამოაკლდა, ესპანეთს რაფა გაუძღვება

19-21 სექტემბერს დევისის თასის ნახევარფინალური მატჩები იმართება. ესპანეთი მადრიდში მოქმედ ჩემპიონ ამერიკას უმასპინძლებს, ხოლო არგენტინა ბუენოს აირესში რუსეთის ნაკრებს დაუხვდება.

ამ გუნდებს შორის ყველაზე ადრე, შემადგენლობა ამერიკის ნაკრების კაპიტანმა **პატრიკ მაკინროიმ** დაასახელა. მან გუნდში ყველა ის ჩოგბურთელი მიიწვია, რომლებმაც შარშანდელ ფინალში გამარჯვებას მიაღწიეს. მაგრამ გუშინ გაირკვა, რომ მაკინროის ერთი იძულებითი ცვლილების განხორციელებამ მოუწია. ნახევარფინალში თამაშს ვერ შეძლებს **ჯეიმს ბლეიკი** და მის ნაცვლად გუნდში მსოფლიოს 40-ე ჩოგანი **სემ კუერი** მიიწვიეს. მის გარდა, ამერიკელთა რიგებში **ენდი როდიკი** და ტყუპი ძმა - **ბობ** და **მაიკ ბრაიანები** ითამაშებენ.

*"მომქანცველი ზაფხულის შემდეგ, ჯეიმსი ფიზიკურად და მორალურად არის გამოფიტული"*, - განაცხადა მაკინროიმ. - *მან მითხრა, რომ დასვენება სჭირდება და ჩვენც გაგებით მოვეკიდეთ მის თხოვნას. ამავდროულად, ეს სემ კუერისთვის თავის გამოჩენის კარგი შანსი იქნება, მით უმეტეს, რომ ის წელს სტაბილურ შედეგებს აჩვენებდა თიხისსაფრიან კორტებზე".*



■ ■ ■

გუშინვე ცნობილი გახდა ესპანეთის ნაკრების კაპიტნის **ემილიო სანჩესის** არჩევანიც. მადრიდის Las Ventas-ის არენაზე მასპინძლები უძლიერეს შემადგენლობას გამოიყვანენ. განაცხადში მოხვდნენ **რაფაელ ნადალი, დავიდ ფერერი, ფერნანდო ვერდასკო** და **ფელისიანო ლოპესი**.

*"ამერიკის ნაკრები ძალიან სახიფათო გუნდია. მათ ბოლო წლებში სტაბილური შემადგენლობა ჰყავთ და ამიტომაც ყველა მატჩი ურთულეს ბრძოლაში ჩაივლის"*, - ამბობს ემილიო სანჩესი.

ესპანეთის ნაკრების სათადარიგო მოთამაშე იქნება **ნიკოლას ალმაგრო. ტომი რობრედო** კი საბოლოო განაცხადში ვერ მოხვდა.

კალათბურთი

# კობი ოპერაციას არ თანხმდება

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საუკეთესო მოთამაშემ, "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** ისევ გადაიფიქრა ტრავმირებულ თითზე ოპერაცია.

ბრაიანტმა ეს დაზიანება 5 თებერვალს, "ნიუ ჯერსისთან" მატჩში მიიღო. მიუხედავად ამისა, კობიმ სეზონის ყველა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 28.3 ქულა დააგროვა (ამ მაჩვენებლით ბრაიანტი მხოლოდ კლივლენდელ **ლებრონ ჯეიმსს** ჩამორჩა), შემდეგ პლეი ოფის ფინალში გავიდა, ბოლოს კი პეკინის ოლიმპიადაზეც იასპარეზა.



ნინა დღეებში ოკეანისგაღმელი ჟურნალისტები წერდნენ, რომ კალათბურთელი უახლოეს მომავალში აპირებდა ოპერაციის გაკეთებას, რათა ახალი სეზონის სტარტისთვის (28 ოქტომბერი) მოესწრო მწყობრში ჩადგომა.

ოპერაციაზე უარის თქმის მიზეზებს თავად ბრაიანტი გვიხსნის: *"როცა ექიმებმა მითხრეს - აღდგენით პროცესს სამი თვე დასჭირდებოდაო, მივხვდი, რომ ახლა ოპერაციის დრო არ იყო. არ მინდოდა წინასასეზონო შეკრების გამოტოვება. გუნდის შეთამაშებისთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია, მით უმეტეს, რომ მომავალი სეზონისთვის "ლეიკერსს" დიდი მიზნები აქვს"*.

# რივერსი სამი წლით დარჩა

NBA-ის ჩემპიონის "ბოსტონ სელტიქსის" მთავარი მწვრთნელი **დოკ რივერსი** უახლოეს ხანში ახალ კონტრაქტს გააფორმებს, რომლის მიხედვითაც ის გუნდში 2010-11 წლების სეზონის ბოლომდე დარჩება. გარიგების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა, თუმცა Yahoo Sports სანდო წყაროზე დაყრდნობით იტყობინება, რომ მწვრთნელის ყოველწლიური ხელფასი დაახლოებით 5.5 მილიონი დოლარი იქნება. პრემიალურების გათვალისწინებით კი ამ თანხამ შეიძლება 7 მილიონს მიაღწიოს.



შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში რივერსის ხელმძღვანელობით "ბოსტონმა" არნახულ პროგრესს მიაღწია - წინა წლისგან განსხვავებით 42 გამარჯვებით მეტი მოიპოვა. ამასთან, 2006-07 წლების სეზონის ყველაზე უარესმა გუნდმა, მომდევნო წელს თავისი არსებობის ისტორიაში ჩემპიონის მე-17 ტიტული მოიგო. ფინალში ბოსტონელებმა 4:2 მოუგეს "ლოს ანჯელეს ლეიკერსს".

ჰოკეი

# უბერებელი ჩელიოსი

46 წლის ამერიკელმა ჰოკეისტმა **კრის ჩელიოსმა** ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა სტენლის თასის მფლობელ "დეტროიტ რედ უინგზთან". უბერებელი მცველი ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 25-ე სეზონს ჩაატარებს. ხელშეკრულების თანახმად, ლიგის ყველაზე ასაკოვანი ჰოკეისტი სეზონში 850 ათას დოლარს გამოიმუშავებს.

ჩელიოსმა გასულ წელს, რეგულარულ ჩემპიონატში 69 მატჩი ჩაატარა და 12 ქულა დააგროვა. პლეიოფში ის 14 მატჩით შემოიფარგლა და ტრავმის გამო "პიტსბურგთან" ფინალურ სერიაში საერთოდ არ გასულა ყინულზე. ამერიკელი მესამედ გახდა სტენლის თასის მფლობელი. მანამდე ეს პრიზი 1986 წელს "მონრეალის" და 2002 წელს "დეტროიტის" შემადგენლობაში მოიპოვა.

"მონრეალისა" და "დეტროიტის" გარდა ჩელიოსს "ჩიკაგოშიც" უთამაშია. სულ რეგულარულ ჩემპიონატში 1616 მატჩი ჩაატარა და 948 ქულა (185 გოლი + 763 შედეგიანი გადაცემა) დააგროვა. 11-ჯერ ითამაშა "ყველა ვარსკვლავის მატჩში".

რაც შეეხება სანაკრებო კარიერას, კრისი ოთხი ოლიმპიადის (1984, 1998, 2002, 2006) მონაწილეა. 2002 წელს, სოლტ-ლეიკ-სიტის თამაშებზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

**გია თვალაბეიშვილი**

## ვუელტა. XI ეტაპი

| კალაორა-ბურგოსი (178.0 კმ) | |
|---|---|
| 1. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი") | 4.19,28 |
| 2. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქუიქ სტეპი") | იგივე დრო |
| 3. ხუან ხოსე ჰაედო (არგენტინა, CSC) | იგივე დრო |
| 4. ერიკ ცაბელი (გერმანია, „ტიმ მილრემი") | იგივე დრო |
| 5. ლოიდ მონდორი (საფრანგეთი, AG2R) | იგივე დრო |
| 6. ფდეს დე ლარეა (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | იგივე დრო |
| 7. ხავიერ ფლორენსიო (ესპანეთი, „ბუიგეს ტელეკომი") | იგივე დრო |
| 8. გრეგ ვან ავერმაეტი (ბელგია, „საილენს ლოტო") | იგივე დრო |
| 9. დანილო ნაპოლიტანო (იტალია, „ლამპრე") | იგივე დრო |
| 10. ჰაინრიხ ჰაუსლერი (გერმანია, „გეროლშტაინერი") | იგივე დრო |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. ეგოი მარტინესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | 41.05,45 |
| 2. ლევი ლაიფჰაიმერი (აშშ, „ასტანა") | +0,11 |
| 3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა") | +0,32 |
| 4. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კეს დ'ეპარნი") | +1,00 |
| 5. კარლო სასტრე (ესპანეთი, CSC) | +1,38 |
| 6. ეზეკიელ მოსკერა (ესპანეთი, „ხაკობეო") | +2,10 |
| 7. იგორ ანტონი (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | +2,23 |
| 8. დანიელ მორენო ფერნანდესი (ესპანეთი, „კეს დ'ეპარნი") | +2,32 |
| 9. იურგენ ვან გოოლენი (ბელგია, CSC) | +2.54 |
| 10. რობერტ გესინკი ფლეხა (ჰოლანდია, „რაბობანკი") | +3,22 |

# ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| ევრო 2009 | |
| Under 21 | |
| ალბანეთი-აზერბაიჯანი | 0:0 |
| ამხანაგური მატჩი | |
| სერბეთი (U21)-შვედეთი (U21) | 1:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| ევრობასკეტი 2009 | |
| შესარჩევი | |
| თურქეთი-საფრანგეთი | 77:65 |
| ესტონეთი-მაკედონია | 78:90 |
| კვიპროსი-შვეიცარია | 59:61 |
| ლატვია-პორტუგალია | 79:43 |
| ჩეხეთი-ისრაელი | 91:70 |
| ბულგარეთი-ფინეთი | 102:90 |
| ბელგია-უკრაინა | 72:61 |
| იტალია-უნგრეთი | 75:68 |
| ბრიტანეთი-ბოსნია | 82:74 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| კჰლ | |
| ავანგარდი-მეტალურგი (მ) | 6:0 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| ATP. ბუქარესტი | |
| მატიო-ნავარო პასტორი | 4:6, 7:6, 3:6 |
| ალმაგრო-გარსია ლოპესი | 4:6, 5:7 |
| სტარაჩე-სერა | 5:7, 6:0, 4:6 |
| მოია-ანდუხარი | 6:3, 7:6 |
| სიმონი-მონტანიესი | 6:3, 6:4 |
| WTA. ბალი | |
| კრეიბასი-დომახოვსკა | 3:6, 7:6, 4:6 |
| პანტუხოვა-სავჩუკი | 6:1, 7:5 |
| სკიავონე-ამანმურადოვა | 6:3, 6:2 |
| შნიდერი-იუანი | 6:2, 7:5 |

# TV სპორტი

### 11 სექტემბერი. ხუთშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ბრაზილია-ბოლივია.
**14:10** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. რუსეთი-უელსი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:15** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. საფრანგეთი-სერბეთი.
**18:05** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-დანია.
**19:50** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:10** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**20:20** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**21:05** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ბრაზილია-ბოლივია.
**22:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:10** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. იტალია-საქართველო.

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:45** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-აინტრახტი.
**09:25** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-რეალი.
**11:10** სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
**11:35** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-დანია.
**13:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**13:55** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. როვერატო. იტალია.
**15:55** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ფინეთი-გერმანია.
**17:40** ვეიკბორნინგი.
**18:50** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. მაკედონია-ჰოლანდია.
**20:35** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰერტა.
**22:15** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**22:40** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. დალასი-დეტროიტი.
**00:25** პეკინი 2008. ველოსპორტი.
**02:55** სპორტდოსიე. ვინდსერფინგი.
**03:15** ვეიკბორნინგი.
**04:30** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. როვერატო. იტალია.
**06:30** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

#### EUROSPORT

**10:30** ცხენოსნობა. სუპერლიგა. დუბლინი. ირლანდია.
**11:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
**14:15** მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. ზაგრები. ხორვატია.
**15:15** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
**18:00** ველოსპორტი. ვუელტა. XII ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
**19:30** მულტისპორტი.
**20:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:15** ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
**20:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
**22:45** პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. მჩატე წონა. დ. კირილოვი (რუსეთი)-ვ. დარჩინიანი (სომხეთი). აშშ.
**00:45** ბრძოლა წესების გარეშე.
**02:30** რალი-რეიდი. II ეტაპი. პორტუგალია.
**02:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.

#### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** სპიდვეი. შვედეთის გრანპრი.
**13:00** ახალი ამბები.
**13:30** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი იუნიორებში. ბრიტანეთი.
**14:30** ახალი ამბები.
**14:45** სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
**15:00** ახალი ამბები.
**16:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
**17:00** სპიდვეი. ჩეხეთის გრანპრი.
**18:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
**18:45** ახალი ამბები.
**19:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ექსტრემალური სპორტი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** სპიდვეი. შვედეთის გრანპრი.
**23:00** სპიდვეი. ჩეხეთის გრანპრი.
**00:00** სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
**00:15** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
**01:15** ახალი ამბები.
**01:45** სერფინგი. ევროტური. ესპანეთი.
**02:00** ახალი ამბები.

ჭადრაკი

# ვითომ სენსაცია?

გუშინ ნალჩიკში განახლდა მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის. ოლიმპიური სისტემით მიმდინარე ტურნირზე ოთხი მონაწილეა შემორჩა. ისინი ნახევარფინალურ ბრძოლაში ჩაებნენ. რუსი **ალექსანდრა კოსტენიუკი** შვედ **პია კრამლინგს** ხვდება, ჩინელი **იფან ჰოუ** კი ინდოელ **ჰამპი კონერუს**. ამ კვარტეტში ფავორიტის დასახელება სარისკო საქმეა. თვალსაჩინო განსხვავება მხოლოდ რეიტინგში თუ იქნება, თორემ კლასში თითქმის თანასწორები არიან. გუშინდელმა დღემ სწორედ რომ ეს მოსაზრება დაადასტურა. კრამლინგის რეიტინგი (2544) 34 პუნქტით მეტია კოსტენიუკისაზე (2510); იფან ჰოუ კი (2557) 65 პუნქტით ჩამორჩება კონერუს (2622).

ნაკლებრეიტინგიანები პირველ პარტიაში თეთრებით თამაშობდნენ და საკმაოდ იოლადაც გაიმარჯვეს - კოსტენიუკმა 35 სვლაში გააჩერებინა საათი კრამლინგს, ჰოუმ კი ცოტა მეტი დრო და სვლა მოანდომა - 55. რუსის გამარჯვება არავის გაუკვირდება, მაგრამ ჩინელის მოგება, მიუხედავად მისი მაღალი რეიტინგისა და ნიჭისა, მაინც მოულოდნელობად შეიძლება შეფასდეს. იფანმა უმალ მოიპოვა უპირატესობა და შუა თამაშში ფიგურით დაწინაურდა. კონერუმ აშკარად ვერ გათვალა - მარტივ სიტუაციაში შეცდა და ყოვლად უპერსპექტივო პოზიცია მიიღო. მერე კი სცადა მეფის ფრთაზე კონტრთამაშის შექმნა, მაგრამ ჩამორჩენა იმდენად დიდი იყო, რომ მარცხის აცილება ვერ შეძლო.

დღეს მეორე პარტიებია. დამარცხებულები რევანშს ეცდებიან, რადგან ყაიმის უფლება აღარ აქვთ. ცხადია, ინტერესიც იზრდება და გულშემატკივარს მშვენიერი სანახაობა ელის.

მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ნახევარფინალები. პირველი მატჩები. **ალექსანდრა კოსტენიუკი** (რუს, 2510)-**პია კრამლინგი** (შვედ, 2544) 1:0; **იფან ჰოუ** (ჩინ, 2557)-**ჰამპი კონერუ** (ინდ, 2622) 1:0.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# რიკარდო პატრეზემ ახალგაზრდობა გაიხსენა




ლეგენდარული **რიკარდო პატრეზე** ფორმულა 1-ს დაუბრუნდა. როგორც იცით, იტალიელ პილოტს ყველა დროის რეკორდი ეკუთვნოდა მსოფლიო ჩემპიონატში ჩატარებული ეტაპების რაოდენობით. მისი მიღწევა წელს "ჰონდას" ბრაზილიელმა პილოტმა **რუბენს ბარიკელომ** გააუმჯობესა, როცა 257-ედ გავიდა ტრასაზე.

სწორედ "ჰონდამ" მიიწვია ხერესის ტესტებზე 54 წლის პატრეზე და მას ახალგაზრდობის გახსენების საშუალება მისცა. იტალიელმა დაახლოებით 25 წრე გაიარა და ერთ-ერთ წრეზე საკმაოდ კარგი დროც აჩვენა - 1.30,210.

*"15-წლიანი შესვენების შემდეგ, ისევ მივუჯექი ფორმულა 1-ის ბოლიდის საჭეს. ჩემი ოცნება ასრულდა - კვლავ ვიგრძენი ამ მანქანის სისწრაფე და მისი არაჩვეულებრივი დინამიკა.*

*უნდა გითხრათ, რომ ადაპტირება არ გამჭირვებია და არც მართვის სტილის შეცვლა დამჭირდა. პირველ წრეებზე სისწრაფემ გამაოცა, მაგრამ ამასაც სწრაფად მივეჩვიე. ალბათ, საღამოს კისერი ამტკივდება, რადგან არანორმალური დატვირთვა ვიგრძენი. მთავარი ის არის, რომ უდიდესი სიამოვნება მივიღე და მინდა მადლობა გადავუხადო "ჰონდას" ხელმძღვანელობას იმისთვის, რომ ფორმულა 1-ის თანამედროვე ბოლიდის გამოცდის საშუალება მომცა. ჩემს ასაკში სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ კიდევ შეგიძლია სწრაფად რბოლა და მანქანის შესაძლებლობების ზღვარზე მართვა",* - განაცხადა ტესტების შემდეგ ვეტერანმა პილოტმა.

ველოსპორტი

# ლენსი მართლა ბრუნდება




მართალი აღმოჩნდა გუშინ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლეგენდარული ამერიკელი ველომრბოლელი **ლენს არმსტრონგი** მომავალ სეზონში აპირებს დიდ სპორტში დაბრუნებას.

ტურ დე ფრანსის შვიდგზის გამარჯვებულმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ გაისად მართლა აპირებს აქტიური კარიერის განახლებას, ოღონდ ის "ასტანას" შემადგენლობაში არ ჩაირიცხება. ჯერჯერობით უცნობია, რომელი პროფესიული გუნდი შეიკედლებს ამერიკელ სპორტსმენს.

36 წლის არმსტრონგმა ოფიციალურ ვებგვერდზე ვიდეოგანცხადება გაავრცელა, საიდანაც ვიგებთ: *"ოჯახის წევრებთან და უახლოეს მეგობრებთან კონსულტაციის შემდეგ, 2009 წელს ველოსპორტში დაბრუნება გადავწყვიტე. ამ ნაბიჯით მინდა კიბოს დაავადებასთან ბრძოლის ახალი კამპანია წამოვიწყო. 2008 წელს ამ ავადმყოფობამ უკვე რვა მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა - იმაზე მეტი, ვიდრე შიდსმა, მალარიამ და ტუბერკულოზმა ერთად".*

როგორც ცნობილია, ლენს არმსტრონგმა კიბოს დაავადებას სძლია და შემდეგ შვიდჯერ მოიგო "ტურ დე ფრანსი", მოგვიანებით კი ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალური ფონდი დააარსა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ფოტო-ინფო



რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა**, რომელიც ბოლო დროს ტურნირებზე ტრავმის გამო არ თამაშობს, ხშირად ჩნდება შოუ-ბიზნესის სხვადასხვა ღონისძიებაზე.

ამ კვირას, რუსი ჩოგბურთელი ნიუ-იორკში, დიზაინერ **პიტერ სომის** 2009 წლის გაზაფხული/ზაფხულის კოლექციის ჩვენებას დაესწრო.





ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელის **პოლ გასკოინის** 12 წლის ვაჟი - **რიგან გასკოინი** ვერ იტანს თამაშს, რომელმაც მამამისს სახელი გაუთქვა. რიგანს ცეკვა იტაცებს და მალე ხელოვნების სკოლაში აპირებს შესვლას.




ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდის - "რედ ბულის" დიზაინერებმა სინგაპურის გრანპრის თავისებური პრეზენტაცია შემოგვთავაზეს.

როგორც ცნობილია, ეს ეტაპი "დიდი პრიზების" ისტორიაში შევა, რადგან აქ პირველად გაიმართება ღამის რბოლა. ფორმულა 1 სინგაპურს სექტემბერში ეწვევა, მანამდე კი დაახლოებით შეგიძლიათ შეიქმნათ წარმოდგენა იმაზე, თუ როგორია რბოლა ხელოვნური განათების ქვეშ.



ეს **მარკო დელვეკიოა**, რომელიც Lega Pro 1 B-ში (ყოფილი სერია C2) თამაშობს. ვეტერანი "პესკატორე ოსტიას" შემადგენლობაში ირიცხება და გასულ უიქ ენდზე გოლიც გაიტანა.